ფასი: 7 ლარი #1 ზამთარი 2015

NARGIS

საქართველო

ISSN 1512-2522

TBILISI FASHION WEEK®

ზაზა ჰადიდი

#followmeto

ფრედერიკ ბეგბედერი

First Lady

chaumet.com
“Double take” by Marine Vacth

Hortensia Collection

CHAUMET
PARIS

г. Баку, пр. Нефтяников, 13Б, Тел.: +994124970320

WEEKEND

MaxMara

MARINARINALDI.COM
MARINA RINALDI
ВОЗВРАЩЕНИЕ ЖЕНЩИНЫ
БАКУ
ПР. НЕФТЧИЛЯР, 83
УЛ. Р.БЕЙБУТОВА, 50
Тел. 012 492 6192 / 012 441 2242

RADO

SWITZERLAND

RADO HYPERCHROME
PLASMA HIGH-TECH CERAMIC

MONOBLOC CASE
AUTOMATIC UTC WITH SECOND TIME ZONE

ARTTIME

შენი შვეიცარიული საათი

www.arttime.ge

RADO
UTC
AUTOMATIC
SWISS MADE
WWW.RADO.COM

პირველი ლედი



108 გვ.

ჯადოსნური არქიტექტურა

162 გვ.

CDs REVIEW 2014

206 გვ.

NARGIS Georgia

42 გვ.

TBILISI FASHION WEEK®

ფრედერიკ ბეგბედერი

182 გვ.

სამკაულები თვითდაჯილდოებულებისთვის

158 გვ.

26 გვ.

WORLD TRENDS

Sam Raan

Spa & Wellness Center

152 გვ.

ახალი ტექნოლოგიები

209 გვ.

buddha-bar
RESTAURANT BAR ASIAN INSPIRATION
Tbilisi • Rikhe
+995 322 299 222
+995 557 999 222
info@buddhabar.ge
http://www.buddhabar.ge

202 გვ.

„საბა"
და ოთხი წელი
ფრანკფურტამდე

196 გვ.

მოდის
ილუსტრაციები
ინსტაგრამის
ეპოქაში

166 გვ.

ყოველწლიური
მოლოდინის მიზეზი

210 გვ.

ედემის ბალი

199 გვ.

ავტოპორტრეტი
საახალწლო
სათამაშოში

214 გვ.

ახალი წელი
თავად-აზნაურებთან

230 გვ.

SPECIAL PROJECT

96 გვ.

ჰოროსკოპი

254 გვ.

FONDÉ EN 1743

MOËT & CHANDON*

CHAMPAGNE

SUCCESS IS A MATTER OF STYLE**

ყდაზე მაკა ჩიჩუა
ფოტო გურამ წიბახაშვილი
Hat MAISON MICHEL (Pierrot le Fou)
Jacket SIMON MACHABELI
watch BREGUET
earnings CHOPARD (Chronograph boutique)

NARGIS Georgia

მთავარი რედაქტორი თაკო ჩხეიძე	Editor-in-Chief TAKO CHKHEIDZE
არტ დირექტორი ლიკა კვარაცხელია	Art Director LIKA KVARATSKHELIA
აღმასრულებელი დირექტორი მაკა ყუბუსიძე	Executive Director MAKA KUBUSIDZE
აღმასრულებელი რედაქტორი ბიძინა მაყაშვილი	Executive Editor BIDZINA MAKASHVILI
მოდის რედაქტორი ანანო დოლაბერიძე	Fashion Editor ANANO DOLABERIDZE
ფოტო რედაქტორი გურამ წიბახაშვილი	Photo Editor GURAM TSIBAKHASHVILI
ასისტენტი გიორგი პაიჭაშვილი	Assistant GIORGI PAICHASHVILI

დიზაინი 2ou.ge Design & Computer Layout

FIRST FLOOR GROUP

გამომცემელი / Publisher
FIRST FLOOR GROUP (FFG)
მის: ა.ხორავას ქ. #7, თბილისი, 0179, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 38 19 08

დირექტორი ნაზი გოშაძე	Director: NAZI GOSHADZE
რედაქტორი ნინო ჩლაიძე	Editor NINO CHLAIDZE
გაყიდვები და მარკეტინგი ქეთევან დონდუა თინათინ ჯანუაშვილი ანა ჟორდანია ეკატერინე სკოროხოდოვა	Sales & Marketing KETEVAN DONDUA TINATIN JANUASHVILI ANA JORDANIA EKATERINE SKOROKHODOVA
სტილი, კორექტურა მაია ღამბაშიძე	Copy Editing MAIA GHAMBASHIDZE
რუსული ენის თარგმანი დიმიტრი გამყრელიძე	Translation from Russian DIMITRI GAMKRELIDZE
ინგლისური ენის თარგმანი ნინო შუბითიძე	Translation from English NINO SHUBITIDZE
ფოტო ანა ბოკო	Photo ANA BOKO
სარეკლამო გვერდების დიზაინი: ნინო ჭინჭარაული	ADS Designer NINO CHINCHARAULI
ბეჭდვა შპს „კონტროლ პე“	Printing Ltd "CTRL P"

ფოტო:
გურამ წიბახაშვილი, დავით ერისთავი, საშა პრიშვინი, ირა კურმაევა, თინათინ კიღურაძე, ანა ბოკო, სტას ალექსეევი, ივან როდიჩი, AP Studio

ნომერზე მუშაობდნენ: ია ვეკუა, ნათია მაქაცარია, ირინა აბჟანდაძე, ანა მაყაშვილი, ტასო ჩხეიძე, ნანა კობაიძე, მარინა გოგსაძე, ნინო ხომერიკი, თეონა ჯაფარიძე, თამარ კიკნაველიძე, მანანა ანთელიძე

Photo:
GURAM TSIBAKHASHVILI, DAVID ERISTAVI, SASHA PRISHVIN, IRA KURMAEVA, TINATIN KIGURADZE, ANA BOKO, STASS ALEXSEEV, YVAN RODIC, AP STUDIO

Writers:
IA VEKUA, NATIA MAKATSARIA, IRINA ABJANDADZE, ANA MAKASHVILI, TASO CHKHEIDZE, NANA KOBAIDZE, MARINA GOGSADZE, NINO KHOMERIKI, TEONA JAPARIDZE, TAMAR KIKNAVELIDZE MANANA ANTELIDZE

BILNET MATBAACILIK
Bilnet Matbaacılık / Biltur Basım Yayın ve Hizmet A.Ş.
Dudullu Org. San. Bölgesi 1.Cad. No:16 Ümraniye-İST
Tel: 0216 444 44 03 / Fax: 0216 365 99 07-08
www.bilnet.net.tr

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს “NARGIS“-ის საკუთრებას.
ჟურნალში წარმოდგენილი ნებისმიერი მასალის გამოყენება რედაქციის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

გამოცემის სტატიებში გამოქვეყნებული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ჟურნალი „NARGIS“-ი არ იღებს პასუხისმგებლობას სარეკლამო ტექსტების შინაარსზე.

ყველაფერი იწყება ყავით ნესკაფე
It all starts with a NESCAFÉ.

photo by ERRIKOS ANDREOU

...ჟურნალი, რომელსაც ახლა ფურცლავთ და მის წასაკითხად მყუდრო ადგილს ეძებთ, რამდენიმე თვის წინ არ არსებობდა, შეიძლება მის შესახებ გაგონილიც არ გქონდათ, ახლა კი ხელში გიჭირავთ, ფურცლავთ და წასაკითხადაც ემზადებით. რამდენიმე თვის წინ თავადაც ვერ წარმოვიდგენდი, რომ რედაქტორის სვეტის წერა მომიწევდა, თუმცა ეს გამოწვევა მაინც მივიღე და უკვე საკუთარი ისტორიის მქონე NARGIS-ის ქართულენოვანი ვერსიის გამოცემა გადავწყვიტე.

სწორედ ასეთი გადაწყვეტილების მიღება მომიწია მაშინ, როდესაც აქტიურ და წარმატებულ სამოდელო საქმიანობას ჩამოვშორდი და საკუთარი სააგენტო დავაარსე. სწორედ ასეთი გამოწვევა იყო თბილისი Fashion Week-იც დღეისთვის ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა, რომლითაც ძალიან ვამაყობ.

დარწმუნებული ვარ, მალე დადგება დრო, როდესაც NARGIS-ითაც ვიამაყებ. ასე ფიქრის საფუძველს მაძლევს ჟურნალის წინამდებარე ნომერი, რომელიც აუცილებლად გახდება წარმატების საწინდარი.

NARGIS-ი წელიწადნახევრის წინ, ბაქოში სტუმრობისას „გავიცანი", თუმცა მანამდე არაერთხელ მსმენია ჩვენს რეგიონში ყველაზე მაღალი პოლიგრაფული ხარისხისა და პოპულარობის მქონე გამოცემის შესახებ. მას უცხოელებიც ახსენებდნენ – არაერთხელ უთქვამთ, რომ რეგიონს რეალურად გაუჩნდა შინაარსითა და ვიზუალურად მდიდარი ჟურნალი. მალე NARGIS-ის რედაქტორი ულვია რახმანოვაც გავიცანი, დავმეგობრდით და სწორედ მასთან ერთად მივიღე გადაწყვეტილება, რომ დრო იყო, ქართული NARGIS-იც გაეცნო მკითხველს.

NARGIS-ზე მუშაობა საპასუხისმგებლოც იყო და ემოციურიც. დაჩქარებული ტემპით მომიწია ჩემთვის აქამდე უცნობ სფეროში გარკვევა, ჟურნალის დაგეგმვა, რესპოდენტების შერჩევა, ჟურნალისტებთან და ფოტოგრაფებთან ურთიერთობა. ამ მხრივ ძალიან გამიმართლა და გამოცდილი პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი მყავს. მათთან მუშაობის პროცესი ჩემთვის საინტერესო იყო, ბევრი ახალი გავიგე, ერთმანეთს გამოცდილება გავუზიარეთ.

ეს NARGIS-ის პირველი ნომერია, ჩვენი პირმშო. ყველანაირად ვეცადეთ, მასთან მკითხველის შეხვედრა განსაკუთრებული ყოფილიყო, ამიტომ სტატიები და ფოტოპროექტები დიდი სიფრთხილით შევარჩიეთ. ჟურნალში არაერთ ექსკლუზივს, საინტერესო ინტერვიუს, რჩევას, სიახლეს თუ ფოტოპროექტს გაეცნობით, გაიგებთ, რა ხდება მსოფლიო და ქართული მოდის სამყაროში, როგორია თანამედროვე ცხოვრების სტილი, როგორ ჩაიარა კულტურულმა ცხოვრებამ შემოდგომის თბილისში და ა.შ.

ჟურნალს მთავარი თემაც აქვს – ინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტის მეუღლესთან, ქვეყნის პირველ ლედისთან, მაკა ჩიჩუასთან, რომელთანაც თავადაც უამრავი საუკეთესო მოგონება მაკავშირებს, მათ შორის, ჩემი დებიუტი პოდიუმზე. ჩვენს მიერ მომზადებული მასალა მაკა ჩიჩუას, არა მხოლოდ როგორც პრეზიდენტის მეუღლეს, არამედ, როგორც საინტერესო პიროვნებას, გაგაცნობთ.

ცხადია, ჟურნალი გვერდს ვერ აუვლიდა თბილისის მოდის კვირეულს, პირველი ნომერი კი კვირეულის სრულ მიმოხილვას, კოლექციების ამსახველ ფოტომასალას, უცხოელი სტუმრების შეფასებებს, ექსკლუზიურ ფოტოპროექტებსა და სხვა მასალას აერთიანებს.

ქართული NARGIS-ის პირველ ნომერს საახალწლო განწყობა აქვს და სიამოვნებით წარმოგიდგენთ ძველი თავადური ოჯახების საახალწლო ტრადიციების ამსახველ ფოტოპროექტს. აქვე უკეთ გაეცნობით პროექტს Follow Me-სა და მის ავტორ მურად ოსმანს, ასევე წინ გელოდებათ ექსკლუზიური მოგზაურობა ჰავაიში და ასე დაუსრულებლად...

თქვენ ახლა ხელში NARGIS-ის პირველი ნომერი გიჭირავთ და მის წასაკითხად მყუდრო ადგილს ირჩევთ. და სწორედ მაშინ, როდესაც ჟურნალის ბოლო გვერდს გადაფურცლავთ, მე და ჩემი გუნდი მეორე ნომრის სამზადისში ვიქნებით.

ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!
შევხვდებით 2015 წელს!

თაკო ჩხეიძე

LA PARIS

BEAUTY CENTER

You can buy the best Hair Care Products,
Mineral Make-up & Professional Nail Materials

KÉRASTASE PARIS

L'ORÉAL PROFESSIONNEL PARIS

MICABELLA cosmetics Mineral Makeup

MASURA

თბილისი ჯავჯავაძის #35ა | ბელ: 032 2 25 26 42 / 032 2 23 25 61
E-mail: info@laparis.ge | www.facebook.com/LaParis35

დღეს-დღე მიჰყვა, კვირას-კვირა, თვეს-თვე და ასე გავიდა ერთი წელი მას შემდეგ, რაც მშვენიერი საქართველო გავიცანი. ჩაცხრა პირველი ემოციები, გატაცება ჩაანაცვლა ღრმა ინტერესმა, „სიყვარულის ნაპერწკალმა“ კი ადგილი მიჯაჭვულობას დაუთმო.

Nargis-ის გუნდისთვის ცხადი გახდა – დადგა სერიოზული ნაბიჯის გადადგმის დრო იმისათვის, რომ სულიერად ასე ახლოს მყოფი ქვეყანა და ხალხი – ჩვენი ოჯახის წევრი გამხდარიყო. ასე დაიბადა იდეა – ქართული Nargis-ი.

თანამოაზრეების ძებნას დიდი დრო არ დასჭირვებია – თაკო ჩხეიძესთან შეხვედრა ბედისწერას ჰგავდა: „მოდი, ქართული Nargis-ი გამოვცეთ, ამ პროექტმა ხომ ასეთი მოწონება დაიმსახურა საქართველოში!“ და მწვანე შუქიც აინთო! სწორედ ასეთი გახსნილი, კეთილი, პატიოსანი და მიზანდასახული ადამიანი, როგორიც თაკოა, შეძლებდა ამ პროექტის ღირსეულად ხელმძღვანელობას.

ჟურნალი Nargis-ი განკუთვნილია მათთვის, ვისაც მოდის, სილამაზისა და ხელოვნების მრავალფეროვანი მიმდინარეობები აინტერესებს.

განსაკუთრებით მადლიერი ვარ გუნდის, რომელმაც ჩვენს ჟურნალზე იმუშავა – პროფესიონალების და ენთუზიასტების, ყველასი, ვინც ახალ ქართულ პროექტს დრო და ენერგია დაახარჯა.

დღეიდან, Nargis-ი აღარ არის საქართველოს ერთჯერადი სტუმარი, მისი მუდმივი თანამგზავრია, რომელიც ყოველი ახალი გამოცემით მკითხველს საინტერესო თემებითა და უმაღლესი ხარისხის ჟურნალებით გაანებივრებს.

საქართველო, კეთილი იყოს შენი მობრძანება Nargis-ის მეგობრულ ოჯახში!

UMAMI

აზიური რესტორანი

უმამი საუკეთესო აზიიდან

ვარდების რევოლუციის მოედანი 1, 0108 თბილისი, საქართველო

T:+995 322 402 200 info.tbilisi@radissonblu.com radissonblu.com/hotel-tbilisi Radisson Blu Iveria Hotel

#UmamiTbilisi

პანორამა

კლასიკა
ჰოუმ ფეშენ

თითოეული ადამიანისათვის მნიშვნელოვანია გარემო, რომელშიც ის ცხოვრობს და მუშაობს. ულამაზესი აქსესუარები, გემოვნებიანი და კომფორტული ავეჯი, თანამედროვე და დახვეწილი სანათები - ეს ის აუცილებელი კომპონენტებია, რომელიც ესაჭიროება მყუდრო და თანამედროვე საცხოვრებელ თუ სამუშაო ადგილს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სავაჭრო ცენტრმა "პანორამა"-მ ერთ სივრცეში მოაქცია ისეთი კომპანიები, როგორებიცაა CLASSICA, OFFICE 1 და TBILISI-LIGHTING-ი. აქ წარმოდგენილი კოლექციები მზადდება იტალიისა და ევროპის სხვა საწარმოებში.

კომპანია "კლასიკაში" თქვენ დაგხვდებათ უმაღლესი ხარისხისა და დიზაინის ავეჯის ფართო არჩევანი, საუკეთესო ტექსტილზე, ორიგინალურ სასაჩუქრე ნივთებსა და სხვადასხვა საინტერესო აქსესუარებზე.

"კლასიკა" - ბედნიერება კლასიკური აქცენტით!...

ოფის 1 OFFICE

21-ე საუკუნის რეალობის გათვალისწინებით, თანამედროვე ადამიანი გაცილებით მეტ დროს ატარებს სამუშაო ადგილსა თუ ოფისში ვიდრე სახლში. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი სამუშაო გარემო მაქსიმალურად კომფორტული და მყუდრო გახდეს. "ოფის 1" გთავაზობთ საუკეთესო საოფისე ავეჯს, საკანცელარიო ნივთებს, სეიფებსა და ორიგინალურ საათებს - ევროპული წამყვანი კომპანიებისგან. ამავე სივრცეში თქვენ დაგხვდებათ ოფისისთვის საჭირო ნებისმიერი აქსესუარი. "ოფის 1" თქვენს საქმიანობას მეტად წარმატებულსა და სასიამოვნოს გახდის.

ყველაფერი ერთ ოფისში -"ოფის 1"

"პანორამა"-ში მისულ მომხმარებელს საუკეთესო არჩევანის გაკეთებაში პროფესიონალი მომსახურე პერსონალის გუნდი დაეხმარება, რაც სასურველი ნივთის შეძენის პროცესს მეტად სასიამოვნოს გახდის და თქვენს დროს მნიშვნელოვნად დაზოგავს.

თბილისი ლაიტინგი

განათება არა მხოლოდ სინათლის წყარო, არამედ სიმყუდროვის შექმნისა და განტვირთვის აუცილებელი ნაწილია.
"თბილისი-ლაითინგ"-ში მისულ მომხმარებელს, ევროპული წამყვანი ბრენდების მიერ წარმოებული სახლის, ოფისის, გარე განათებისა და აქსესუარების ფართო ასორტიმენტი დახვდებათ, ასევე შეგიძლიათ შეიძინოთ სახლისა და ეზოს LED სანათები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს KOLARZ-ისა და LUCIDE-ს სვაროვსკის კრისტალებითა და ბროლით გაწყობილი მოოქროვილი განათება, რომელიც ნებისმიერ ინტერიერს განუმეორებელ სილამაზესა და სიმყუდროვეს შეჰმატებს.

გაინათეთ ცხოვრება ჩვენთან ერთად!...

CLASSICA
HOME FASHION
დიდი დიდომი, როსტევან მეფის 2 ს/ფ პანორამა ტელ: 2 19 20 22

დამფუძნებლების წერილი

თაკო ჩხეიძე

ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი მოდის სფეროს უკავშირდება. წლების განმავლობაში მოქმედი და საკმაოდ წარმატებული მოდელი გახლდით, ამჟამად კი თბილისი Fashion Week-ის ერთ-ერთი ორგანიზატორი ვარ. ამრიგად ზუსტად ვიცი, როგორი მდგომარეობაა მოდის განვითარების მხრივ ქვეყანაში, ვიცი, როგორ მუშაობენ ჩვენი დიზაინერები, რამდენად მნიშვნელოვანია მათი შრომა მსოფლიო მოდის ფონზე. მოდის ინდუსტრია მთელ მსოფლიოში შოუბიზნესის ინდუსტრიას უტოლდება, მას რეალურად შეუძლია ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი როლის შეტანა, თუმცა ხელშეწყობის გარეშე არაფერი გამოვა.

მოდის პოპულარიზაციისთვის აუცილებელია მასზე საუბარი, სიახლეების, ჩვენი დიზაინერებისა თუ მოდელების წარმატების გაშუქება, საზოგადოებისთვის ახალი სახეების გაცნობა. NARGIS-ის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება სწორედ ეს იქნება, მით უფრო, რომ მოდის სეგმენტზე საქართველოში ამჟამად არც ერთი გამოცემა არ მუშაობს. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ NARGIS-ის ფრენჩაიზის ჩამოტანა და გამოცემა აუცილებელი და დროულია. დარწმუნებული ვარ, ქართველი მკითხველი მას სათანადოდ შეაფასებს და მიიღებს.

ლიკა კვარაცხელია

ყოველდღიურად ჩვენს გარშემო უამრავი საინტერესო რამ ხდება: ცხოვრების წესი და სტილი იცვლება, ჩნდება ახალი ტენდენციები და მიმართულებები, იბადება ახალი გემოვნება და ხედვა, ადამიანების მოთხოვნილებები იცვლება და სიახლეს ითხოვს. NARGIS-ი კი ამ ყველაფერის ერთგვარი მენიუ იქნება. მისთვის თვალის გადავლებაც საკმარისი უნდა იყოს, რათა მკითხველმა მოდის, დიზაინის, დასვენების, ჯანსაღი ცხოვრების, მოგზურობის, პარფიუმერიისა და სამკაულის სამყაროში არსებული ყველა სიახლისა თუ ტენდენციის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს.

NARGIS-ის პრიორიტეტი საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ჩვენი თანამემამულეების გაცნობაც იქნება, მოგითხრობთ უამრავ საინტერესო ადამიანზე, გაგიმხელთ მათი წარმატების საიდუმლოს, მოგცემთ საშუალებას, მათით იამაყოთ. NARGIS-ი თქვენი სურვილებისა და ინტერესების ერთგვარი გამოძახილი გახდება, რომლის ყურადღების მიღმაც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაც არ დარჩება. NARGIS-ის ყველა ნომერში წარმატების რეცეპტებსაც შემოგთავაზებთ, თეორიული ცოდნის პრაქტიკიკაში განხორციელება კი უკვე თქვენი ნებაა.

მაკა ყუბუსიძე

მოდა, დიზაინი, ხელოვნება – ეს ყველაფერი თავისუფლად შეიძლება ბიზნესად იქცეს და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო გახდეს, ამისთვის კი NARGIS-ის მსგავსი მაღალპოლიგრაფული ხარისხის მქონე გამოცემა აუცილებელია. უდავოა, რომ ხარისხიანი ბეჭდური რეკლამა ბიზნესის წარმატების საწინდარია. ამაში უკვე დარწმუნდნენ აზერბაიჯანში, სადაც NARGIS-ი დაიბადა, განვითარდა და მკითხველის მეგობარი გახდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჟურნალი ვერც პირველობის მოპოვებას შეძლებდა და ვერც სხვა ქვეყნების ბაზარზე შესვლას.

დღეს NARGIS-ს კითხულობენ ყველგან, სადაც თანამედროვე ცხოვრების სტილი და ევროპული აზროვნება იკიდებს ფეხს. NARGIS-ი განვითარებაზე, პროგრესზე, სიახლის შეცნობასა და ძველისგან განთავისუფლებაზე ორიენტირებული ადამიანების ჟურნალია. ყველა ადამიანს ინდივიდუალური გემოვნება აქვს და, ცხადია, ერთი ჟურნალი ყველას ვერ მოერგება, თუმცა წარმატების ერთიანი რეცეპტი მაინც არსებობს – მას კი NARGIS-ის გვერდებზე გაეცნობით.

NARGIS Georgia

Brave

MODELS GEORGIA

GEOMODELS

agency

Brave

MODELMANAGEMENT

0171, Tbilisi, Georgia, 2 Pekini str. / +995 32 2 364 026 / +995 595 280 295
www.geomedels.ge

Editor's *casual*

Maison Michel

Italia Independent

TONIC BIPHASIC Y
OUTH EXTREME DIBI

Jil Sander

Whistles

Nicholas Kirkwood

Acne Studios

3.1 Phillip Lim

Rolex

Choice
Evening

Dannijo

Kilian

Erdem

Micabella

Bottega Veneta

Jimmy Choo

Chanel

MAC

თბილისი | ჟვანია 2 | shop-salon podium 2290187 / 2104009; | თბილისი | ვაჯუა 3 | GTC, shop- salon podium, 2989668 / 204008

P O D I U M

BEAUTY SALON & SHOP

Animal Prints

Anna-Karin Karlsson

Dolce & Gabbana

Fendi

Carven A/W 2014

Proenza Schouler

Bottega Veneta

Valentino

Diane von Fustenberg

Christian Louboutin

Céline A/W 2014

Balmain A/W 2014

Givenchy A/W 2014

Sportmax A/W 2014

მხეცთა სამყარო...
მშვენიერი და საშიში!
მოდა მუდმივად უბრუნდება ამ
თემას. ქალი ამ პრინტში თითქოს
თავად იძენს მხეცთა სამყაროს
ამაღელვებელ თვისებებს

Lanvin

Gaydamak

Anouki

Simone Rocha

Marchesa

Oscar de la Renta

Mawi

Saint Laurent

Jimmy Choo

Dolce & Gabbana

Tamuna Ingorokva A/W 2014

Valentino A/W 2014

Aquilano Rimondi A/W 2014

Balenciaga A/W 2014

Rochas A/W 2014

Crystal Boom

უკვე დიდი ხანია ეს ტენდენცია მყარად დგას მოდურ ფორპოსტზე, ბრწყინავს არა მხოლოდ ტანსაცმელი, ფეხსაცმელიც, ჩანთაც, ხელთათმანიც. წელს ქრისტალ ბუმი ქმნის ძალიან რომანტიულ ხასიათს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო აქვს ბურჟუაზიულობასთან.

Dries Van Noten A/W 2014

Dolce & Gabbana

Dolce & Gabbana

Proenza Schouler A/W 2014

Saint Laurent A/W 2014

Valentino

Stella McCartney A/W 2014

Chanel A/W 2014

Céline A/W 2014

Fendi A/W 2014

Burberry Prorsum A/W 2014

Accessories for A/W

ცნობილია, რომ სწორედ აქსესუარი არის ქალის ყველაზე მძაფრი სურვილის ობიექტი. ეს გასაგებია, რადგან მათი საშუალებით შესაძლებელია სწორი და აუცილებელი აქცენტების დასმა ამა თუ იმ ტენდენციების გამოსახატად.

Dries Van Noten for Linda Farrow

Kenzo A/W 2014

Prada A/W 2014

Khoshtrik
More IS LOVE

Eshvi

Gucci A/W 2014

George Bezani
More IS LOVE

Givenchy

M2malletier

3.1 Phillip Lim

Stella McCartney

Louis Vuitton
A/W 2014

Christian Dior
A/W 2014

Balenciaga
A/W 2014

Bottega Veneta
A/W 2014

Marni A/W 2014

Maison Michel

Lanvin

Lanvin

Givenchy

3.1 Phillip Lim A/W 2014

Louis Vuitton A/W 2014

Colorful Fur

Fendi A/W 2014

Fendi A/W 2014

დიზაინერბმა თითქოს დაივიწყეს ერთ დროს აქტუალური კონცეფცია „ეთიკური ტანსაცმელი", რაც პირველ რიგში, გულისხმობდა ბეწვის წარმოების აკრძალვას. დღეს თითქმის ყველა კოლექციაში ვხედავთ ბეწვის ტანსაცმელს და აქსესუარებს, უმეტესად ის არანატურალურ, მკვეთრ ფერში არის შეღებელი, თითქოს იმისთვის, რომ სინდისის ქეჯნა ნაკლებად გვაწუხებდეს ამ ულამაზესი ტანსაცმლის არჩევისას.

Dolce & Gabbana A/W

Anouki

Jimmy Choo

Valentino

Fendi A/W 2014

3.1 Phillip Lim A/W 2014

Emilio Pucci A/W 2014

Marni A/W 2014

Gucci A/W 2014

Chloé

Fendi

Salvatore Ferragamo

Balenciaga A/W 2014

Shrimps

Diane Von Fustenberg
A/W 2014

Balmain A/W 2014

Christian Dior A/W 2014

Donna Karan A/W 2014

Kenzo

Fendi A/W 2014

Red is for Passion

იმათთვის, ვინც არ ჩერდება
ნახევარ გზაზე!

წითელ „ტოტალ ლუქში“
ან მხოლოდ აქსესუარებში -
თქვენი სვლაა!

Valentino A/W 2014

Dolce & Gabbana

Maison Martin Margiela

Prada A/W 2014

Valentino

Datuna Sulikhashvili
A/W 2014

Valentino

Pierre Hardy

Saint Laurent
A/W 2014

Gianvito Rossi

Alaïa

Dolce & Gabbana

Charlotte Olympia

Dolce & Gabbana

Borsalino

Victoria Beckham

Givenchy

Valentino

Nicholas Kirkwood

Valentino

Dolce & Gabbana
A/W 2014

Giambattista Valli
A/W 2014

Stella McCartney
A/W 2014

Simone Rocha
A/W 2014

Knit Addiction

მოცულობითი თუ უთხელესი, მკვეთრი ფერები თუ მშვიდი, ნატურალური — ის ყოველთვის რბილი და კომფორტულია. ნაქსოვი შეიძლება იყოს პატარა ტოპი, ელეგანტური მომდგარი კაბა და უგრძელესი ლაბადაც.

Lalo Cardigans
More IS LOVE

Oscar de la Renta

Teyo
More IS LOVE

Givenchy

Stella McCartney
A/W 2014

3.1 Phillip Lim
A/W 2014

Céline A/W 2014

Michael Kors
A/W 2014

Atelier Kikala
A/W 2014

TEYO
A/W 2014

Iolo by LAKO
A/W 2014

Chanel
A/W 2014

Coat for A/W

დიზაინერები გვთავაზობენ ფერად შემოდგომას, ლაბადის ფერმა თითქოს უნდა აუნაზღაუროს შემოდგომა ზამთრის მზის ნაკლებობა და ფოთოლგაცვენილი ხეების სიშიშვლე.
სილუეტი უმეტესად გრძელი, ხშირ შემთხვევაში, წელში ქამრით.

Gola Damian
More IS LOVE

Tatuna Nikolaishvili
More IS LOVE

Balenciaga
A/W 2014

Altuzarra
A/W 2014

ANOUKI

Chanel
A/W 2014

Atelier Kikala
A/W 2014

Prada
A/W 2014

Christian Dior
A/W 2014

Céline A/W 2014

Fashion Meets Sport

უკვე დიდი ხანია, მოდის ინდუსტრიაში ჩამოყალიბდა ტენდენცია: ცნობილი სპორტული ბრენდები იწვევენ გამოჩენილ დიზაინერებს თანამშრომლობისთვის. ამ სეზონზე დიზაინერები თავად ქმნიან სამოსს სპორტული დეტალებით.

2014 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციებში ეს ტენდენცია ნამდვილად ჰიტია.

3.1 Phillip Lim A/W 2014

Alexander Wang A/W 2014

Stella McCartney A/W 2014

Chanel A/W 2014

Dolce & Gabbana A/W 2014

Footwear Essentials

Christian Dior A/W 2014

ფეხსაცმელი ბრტყელ ძირზე, ქუსლზე: მაღალზე, თხელსა თუ სქელზე, ფუტურისტულზე, 60-იანი წლების ოთხკუთხედზე, 70-იანის ტანკეტკაზე. ტყავის, ნაჭრის, ფერადი, თუ შავი! არ დაიბნეთ – აირჩიეთ ის, რაც მეტად გიხდებათ!

Dries Van Noten A/W 2014

Givenchy A/W 2014

Saint Laurent A/W 2014

Valentino A/W 2014

Louis Vuitton A/W 2014

Marc Jacobs A/W 2014

Marni A/W 2014

Lanvin A/W 2014

Miu Miu A/W 2014

Prada A/W 2014

Proenza Schouler A/W 2014

Gucci A/W 2014

Balmain A/W 2014

711 More IS LOVE

Linda Farrow

Missoni

Beats

Miu Miu

Coach

Chanel

Sibling

Finds

Stella McCartney

Bands of Outsiders

Bottega Veneta

Karl Lagerfeld

Emilio Pucci

ETRO

It's Cold Outside

Christian Louboutin

UGG

მოდა ზრუნავს თქვენზე და ქმნის იმ ტანსაცმელს, რომელიც ცივ ზამთარში დაგიცავთ უამინდობისგან – წვიმისგან, ქარისგან და თოვლისგან. ჩაინიშნეთ ეს არჩევანი თუ კი ზამთრის კურორტზე მიემგზავრებით.

FEMME

YOHJI YAMAMOTO HAIDER ACKERMANN
RICK OWENS PIERRE HARDY UMA WANG
MAISON MARTIN MARGIELA

pierrot le FOU

HOMME

BALENCIAGA GIVENCHY LANVIN
ANN DEMEULMEESTER MAISON MARTIN MARGIELA

აბაშიძის **31 Abashidze st Tel:(+995 32)218 25 05**

ფორუმი ახალი ნათება - ევროპული ბრენდების

ყველაზე დიდი არჩევანი

- ექსკლუზიური წარმომადგენელი საქართველოში
- გარანტირებული მაღალი ხარისხი
- ეკოლოგიურად სუფთა მასალა
- შეკვეთისა და პროექტირების სერვისი
- ფორუმ კაფე მეტი კომფორტისთვის
- 0%-იანი განვადება

/ForumNL | აღმაშენებლის ხეივანი 12კმ | www.newlight.ge | 2 20 24 24

FORUM BY NEW LIGHT

განათება ავეჯი აქსესუარები

ფასდაკლება
დეკემბერი

20%

30%

TBILISI 27-31OCT
FASHIONWEEK
S/S 2015
10
Photo by GREGORY REGINI

all photos by AP STUDIO

TBILISI FASHION WEEK'

უკვე მეათე სეზონია კომპანია „ჯეოფეშენი" თბილისის მოდის კვირეულს ატარებს. ამ ხნის განმავლობაში მოდის კვირეული გახდა ადგილი, სადაც ახალი იდეები ახალი სახელები და ზოგადად, ქართული მოდის მოკრძალებული, მაგრამ თვიდმყოფადი ინდუსტრია განვითარდა და თანამედროვე სახე მიიღო. თბილისის მოდის კვრეულები, როგორც პროფესიონალური ბიზნესის, ისე შემოქმედებითი პოტენციალის სინთეზის ადგილია. არა ერთი ახალი სახელი თუ ბრენდი დაიბადა მოდის კვირეულზე და გარდა კონკრეტულად მოდის სფეროს განვითარებისა, თბილისის მოდის კვირეული მუდამ ზრუნავს ქალაქის კულტურულ მრავალფეროვნებასა და ქვეყნის პოპულარიზაციაზე. კვირეულის ორგანიზატორები ყოველთვის ორიგინალურ იდეებს ეძებენ თავიანთი პროექტის წარსადგენად, რაც არაორდინალური სივრცეების პოვნასა და განვითარებაში გამოიხატება. წლების მანძილზე კვირეული სხვადასხვა ფორმალურ და არაფორმალურ ადგილებში ტარდებოდა. იქნებოდა ეს ვარდების ბაღი, გრატო პასაჟი, თუ რიყის პარკის მიმდებარე ტერიტორია, მოდის კვირეული პროფესიონალურ პლატფორმას ქმნის დიზაინერებისა და მათთან დაკავშირებული სტუმრებისათვის. წლევანდელი, რიგით მეათე მოდის კვირეულიც ერთის მხრივ, უცნაურ სივრცეში – აღმაშენებლის პროსპექტზე მდებარე ახლად რეკონსტრუირებულ „დიზაინ ცენტრში" ჩატარდა და მთლიანი სივრცე საინტერესოდ იქნა ათვისებული – პოდიუმი, ლაუნჯი და რაც მთვარია, შოურუმებისათვის გამოყოფილი ტერიტორია, სადაც მოდის დიზაინერთა ფართო სპექტრს თავისი ნამუშევრების უშუალო წარდგენა შეეძლო სტუმრებისათვის.

TBILISI FASHION WEEK®

ANOUKI

S/S 2015

თბილისის მოდის კვირეულის მეათე სეზონი მოდის სახლმა ANOUKI-მ ეროვნული ბიბლოთეკის დარბაზში ჰაეროვანი, თეთრი და ვარდისფერი ყვავილებით მოჭედილი კედლის ფონზე გაზაფხული/ზაფხული 2015 კოლექციის ჩვენებით გახსნა. მიუხედავად დიზაინერის ახალგაზრდა ასაკისა, ჩვენება ძლიერ, გამართულ, ერთიან სახეს ქმნიდა, რომლის მთავარი გმირიც რომანტიკული და ამავდროულად საქმიანი ქალი გახლდათ. ასიმეტრიული დეტალები და დრაპირება კილიტებიანი ნაქარგები და გასული საუკუნის 40-იანი წლების სილუეტების ანუკისეული ინტერპრეტაციები ორგანზის, აბრეშუმის და ახალი ტექნოლოგიებით დამუშავებული ლურექსის ქსოვილებისაგან შეიქმნა. სპეციალურად ანუკისათვის ფლორენციაში დამზადებული ქსოვილების საინტერესო ფაქტურები და ტონალური გადაწყვეტა ზუსტად გადმოსცემს დიზაინერის იდეებს, გამჭვირვალე და გლუვი ზედაპირების კონტრასტი, ნაქარგისა და თარგის დეტალების შეხამება ერთიანობაში საინტერესო კოსტუმებს ქმნიდა. ნაზ, ბუნებით შთაგონებულ რომანტიულ კაბებს, მამაკაცის გარდერობით ინსპირირებული მოდელები ენაცვლებოდა. ანუკიმ მინიმალისტური მაკიაჟი და უცნაური ფორმის ფოჩებიანი ფეხსაცმელი შეუხამა თავის კოლექციას და ამ დისონანსური სვლით თანამედროვეობა შემატა ნამუშევარს.

ANUKI



Dalood Group

F/W 2014

TBILISI FASHION WEEK®

კომპანია **Dalood** დაარსებიდან მხარს უჭერდა ქართული მოდის დიზაინის განვითარებას. ამ სეზონზე **Dalood** ჯგუფის დამფუძნებელი, მაკა კვიციანი საინტერესო პროექტით წარსდგა თბილისის მოდის კვირეულზე. კაპსულა კოლექციებისაგან შემდგარი ერთიანი ჩვენება სამმა ხელოვანმა – იკა ბობოხიძემ, სიმონ მაჩაბელმა და გრეგორი რეჯინიმ შექმნეს. კოლექციის დევიზი – „იყიდე ახლა ჩაიცვი ახლა" – გახლდათ.

იკა ბობოხიძემ ელეგანტური და ფერში დახვეწილი კოსტუმებით გახსნა ჩვენება. თხელ საშემოდგომო ლაბადებს მან აბრეშუმის კაბები შეუხამა, მუქი ღვინისფერი, მწვანე, ყავისფერი და ლურჯი ქსოვილები ოქროსფერ ფარჩას და ლურექსის ნაქსოვს დაუპირისპირა, კაბების სწორი წინა კალთები ოსტატურად გადადიოდა მოცულობით უკანა კალთებში. იკამ თექისაგან დაამზადა ფეხსაცმელი, რითაც შეკრა თავისი ქალური მინი კოლექცია.

სიმონ მაჩაბელმა ვარდისფერი, ცისფერი, ნაცრისფერი და შავი პრიალა ფაქტურები შეუხამა ერთმანეთს. ერთის მხრივ ბავშური და მეორეს მხრივ მსუბუქად სადომაზოხისტური თემატიკის კონტრასტზე ააგო თავისი ტენდეციური კაპსულა კოლექცია. განიერი, მოკლე შარვლები, ნაქსოვი ჯემპრები კომერციულად გათვლილ, პრაქტიკულ საწვიმარ ლაბადებთან ერთად აჩვენა. შავი ლაქის ფეხსაცმელი, ტყავის ლენტი კისერზე და ბრჭყვიალა, ვერცხლისფერი ქამარი-ჩანთები ასრულებდენ კოლექციის საერთო სახეს.

გრეგორი რეჯინიმ უნისექს მოდერნული კოლექცია აჩვენა, წითელი, ლურჯი, მტრედისფერი და კუბოკრული შალისა და მოჰერისაგან გრეგორიმ მოცულობითი, დიდი, გასული საუკუნის 80-იანი წლების მოდით ინსპირირებული მონუმენტური პალტოები, განიერი შარვლები, და ურბანული მოსაცმელები შექმნა. მისი ნაქსოვი ჭრელი, წითელი ჯემპრები ამ ზამთრის უპირობო ჰიტი იქნება.

საერთო ჯამში **Dalood** -მა ამ ჩვენებით დაამტკიცა კაპსულა კოლექციების პროექტის სისწორე, რაც ყოველ სეზონზე სხვადასხვა ხელწერის მოდელიორებისა და არტისტების გაერთიანებას გულისხმობს.

TBILISI FASHION WEEK®

Gola Damian დამწყები დიზაინერია, რომელიც სულ უფრო მეტად იმკვიდრებს თავის ადგილს ქართული მოდის სამყაროში. მის ბრენდინგზე Dalood Group-ი ზრუნავს და ამ თანამშრომლობის შედეგი გახლდათ მოდის კვირეულის პირველი დღის დასკვნითი ჩვენება. გოლამ სიურეალისტური, ამავდროულად აბსოლუტურად მისაღები ინტესიური ფერების კოლექცია წარადგინა. მისი ჩვენება ქეთათო ჩარკვიანის სიმღერა-პერფორმანსით დაიწყო, შავი ატლასის სკულპტურული კაბა, რომელიც ქეთათოს ეცვა მთლიანი კოლექციის ერთგვარი სიმბოლო იყო. დიზაინერმა კოტონი და მძივების ნაქარგი, ერთის მხრივ შეუსაბამო მასალები, ორგანულ ტანისამოსად აქცია, საინტერესოდ გაათამაშა შავ-თეთრი ზოლიანი ქსოვილი და გროტესკული კაბები შექმნა ელეგანტური სახელოებით. ქვედა ბოლოების უცნაური ჭრით და ტენდენციური ახალი თარგის ჟილეტებით გოლამ იუმორი და ახალგაზრდული მუხტი შემატა კოლექციას – თავისი ჩვენებისათვის პიეროს მსგავსი მაკიაჟი, ცრემლი გამოიყენა და პრიალა ტყავის ლურჯი, ოქროსფერი და ვერცხლის ქოშები ჩააცვა მოდელებს.

Gola Damian

S/S 2015

fashionweek.com

GOLA DAMIAN

nweek.com

TBILISI FASHION WEEK®

Mach And Mach გვანცა და ნინო მაჭარაშვილების ბრენდია, რომელიც 2012 წელს დაარსდა. წლევანდელი კოლექცია ერთგვარი გარდატეხაა დიზაინერების საქმიანობაში. როგორც ჩანს, მათ ახალი ნიშა სურთ დაიკავონ, რაც ახალგაზრდული, ურბანული, უკვე დამკვიდრებული ტენდეციების ქართული ინტერპრეტაციების წარდგენაა. ჩვენება შავი ფაქტურების მრავალეფეროვნებით დაიწყო. დიზაინერებმა მინი ქვედა ბოლოები ძირითადად სპორტული ტიპის ზედა ტანისამოსთან შეახამეს, ნაბეჭდი პოპ კულტურისათვის დამახასიათებელი მონოქრომული გრაფიკა და კირილიცათი გაკეთებული წარწერა, გასული სეზონების პარიზის ტენდენციების ასოციაციებს იწვევდა. Mach&Mach ფეხსაცმელზე დიდ აქცენტს აკეთებს. მილიტარისტული სტილის უხეში მაღალყელიანი ფეხსაცმელები ზოგიერთ შემთხვევაში ბრჭყვიალა დეტალებით კიდევ უფრო ამძაფრებდა ურბანული სტილის განცდას. ჩვენების მეორე ნაწილში მოდელორებმა ტყავთან ერთად ფერი შემოიტანეს და შავი ბრონწეულისფერით გაამდიდრეს. ასიმეტრიული ქვედა ბოლოები, ტყავის ზედა ტანსაცმელი სავარაუდოდ ადგილობრივი მოდის მიმდევართა დიდ მოწონებას დაიმსახურებს.

Mach & Mach

S/S 2015

TBILISI FASHION WEEK®

Aka Nanitashvili თბილისის მოდის კვირეულის რეგულარული მონაწილეა. მოდის სახლი „აკა ნანიტაშვილი" წლევანდელ კვირეულზე პოეტური კოლექციით წარსდგა, რომლის მთავარი თემაც ჰაეროვანი ნაქარგები, პასტელური ფერები და დიზაინერის მუზა – სიმბოლო თინა დალაქიშვილის უსქესო, ელფის მსგავისი სახე გახლდათ. მისი ჩვენება სწორედ თინას ვიდეო-პროექციით და კულისებიდან საპნის ბუშტების ავტომატური ჯერით გაიხსნა. მოქარგული ბაცი ატმისფერი, განიერი კაბები და პრიალა ნაბეჭდი თინას სახე ზემოდან მარგალიტებისა და თვლების ნაქარგით, ხან კაბის, ხან ქვედა ბოლოს, ხან კი ტუნიკის სახით მოგვევლინა. აკამ უქუსლო ვერცხლისფერი ფეხსაცმელი შეურჩია თავის მოდელებს. ნახევრად გამჭვირვალე, განიერი კაბები, საინტერესო ფაქტურები და ნაზი პასტელური ტონალობა მომავალ გაზაფხულზე აკას კოლექციის კომერციული წარმატების მიზეზი გახდება.

Aka Nanitashvili

S/S 2015

TBILISI FASHION WEEK®

Materiel მოდის სახლია, რომელსაც დიდი ხნის გამოცდილება აქვს ადგილობრივ და რეგიონულ მოდის ბაზარზე. სამკერვალო სახლი ხშირად თანმშრომლობს როგორც ახალბედა, ასევე გამოცდილ დიზაინერებთან.

ამ სეზონზე Materiel მოდის კვირეულზე გიორგი ქებურიამ წარადგინა. ქალთა მიმართ ძალადობის პროტესტი და ამომავალი მზის ქვეყანა გიორგის კოლექციის მთავარი გზავნილებია. მოდელებს თვალებზე შავი ქსოვილი თეთრი ციფრებით ჰქონდათ ახვეული, რითაც დიზაინერი თავის პოზიციას გამოხატავდა ქალის, როგორც ნომინალური ერთეულის აღქმის წინააღმდეგ. განიერი სახელოები, სწორი კუთხეები და ხშირად კიმონოს თანამედროვე ვერსიები იაპონურ ესთეტიკას გვახსენებდა. გიორგი ქებურიამ მონოქრომულ პალიტრას მხოლოდ ლურჯი ფერის ქსოვილი დაუმატა, რომლითაც რამოდენიმე ასიმეტრიული კოსტუმი შექმნა. ჩვენების ძლიერი ნაწილი მისი საღამოს, გროტესკული მოდელებია ეს იყო სხვადასხვა ტანისამოსი ძალიან საინტერესო დეკორირებით – დიდი ზომის ფოჩები, რომელიც ხან მოზრდილი ლაქის, ხან კი მრგვალი მონუმენტური ყვავილის ფორმას ჰგავდა. გიორგიმ თავის მოდელებს შავი დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი შეუხამა და საერთო ჯამში სტილისტურად გამართული, ტენდენციური ჩვენება გამართა.

Materiel by George Keburia

S/S 2015

#20

#7

#2

#11

#19

TBILISI FASHION WEEK®

ლადო ბოკუჩავა Atelier Kikala-ს შემოქმედებით მხარეს განაგებს. მისი კოლექციები სხვადასხვა ტექნიკის სიმდიდრით გამოირჩევა. მომავალი გაზაფხულისათვის ლადოს შთაგონების წყარო ბუნება და ფლორალური ფორმები აღმოჩნდა. სიმუქიდან ნათელი ტონალობისაკენ და ქაოსიდან კონკრეტული ორგანული ფორმებისკენ – ასე განავითარა თავისი კოლექცია Atelier Kikala-მ. ჩვენება მუქი ლურჯი და შავი ტონალობის განიერი, ხშირად ასიმეტრიული ტანისამოსით დაიწყო, რომლის ზედაპირებიც ხან წრეების, ხან კი სხვა ტიპის აპლიკაციებით თუ ჭრებით იყო დამუშავებული. ჩვენების მეორე ნაწილში კი უკვე ორგანზისგან ამოჭრილი ფლორალური ფორმა-ორნამენტების აპლიკაციები ვიხილეთ, რომელიც ტანისამოსზე ნახევრად იყო დამაგრებული და ჰაეროვანი, გამჭვირვალე, ორგანული ფორმები სირაქლემის ბუმბულის მსგავს ეფექტს ახდენდა, რაც ალბათ ამ კოლექციის ყველაზე ეფექტური სვლა გახლდათ. ლადომ ერთი კოლექციისათვის შეიძლება ძალიან ბევრი ტიპის თარგი და ტექნიკა იხმარა. მისი კოლექცია უდაოდ ყველაზე შრომატევადი ნამუშევარი იყო მოდის კვირეულზე. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სიმდიდრე ოდნავ ართულებს ნამუშევრის გზავნილის აღქმას, ის მაინც დიდ მოწონებას იმსახურებს.

Atelier Kikala

S/S 2015

ATELIÉR KIKALA



TBILISI FASHION WEEK®

თამუნა ინგოროყვას ჩვენება უდაოდ ყველაზე შთამბეჭდავი გახლდათ თბილისის მოდის კვირეულზე. ნაზი, რომანტიული, დახვეწილი გემოვნებით შესრულებული გაზაფული/ ზაფხულის 2015 წლის კოლექცია თამუნამ სასტუმრო „რუმსის პატიოში" აჩვენა. შიფონი, აბრეშუმი, გიპიური, კილიტებით მოქარგული ძვირფასი ქსოვილები, რომელთა გამოყენებაც დიდ ცოდნას მოითხოვს, დიზაინერმა ლუქს კლასის ტანისამოსად აქცია. განიერი, ტენდენციური კაბები მუქი ლურჯი, თეთრი, ღია ხორცისფერი, ვერცხლით თუ ზღვისფერი ზოლებიანი ქსოვილი მარჯნისფერი აპლიკაციებით – ყველა კომბინაცია დიზაინერის მაღალ პროფესიონალიზმსა და თავისი საქმის ცოდნაზე მეტყველებდა. განსაკუთრებით საინტერესოდ თამუნამ ერთი მხრივ, ბანალური, კილიტებიანი ქსოვილის ახლებური გამოყენება შეძლო, რომელიც მან ფრაგმენტულად აპლიკაციების სახით ან უბრალო უპრეტენზიო თარგის კოსტუმში გამოიყენა, რითაც ახალი სიღრმე შესძინა ტანისამოს. მსუბუქად საზღვაო ესთეტიკა ზოლიან მოდელებში იგრძნობოდა, რომელიც დიზაინერმა მარჯნისფერი, ლურჯი და შავი ყვავილების აპლიკაციებით გააწყო. საღამოს კაბები შოუს დასკვნით ნაწილში დახვეწილი თარგით, მაღალი ხარისხის დამუშავებით, ქალური, ზომიერად სექსუალური სილუეტებით მართლაც აღძრავდა საქართველოსთვის უჩვეულო ლუქს ხარისხის განცდას. თამუნამ უქუსლო სანდლების მსგავსი ფეხაცმელები, სადა მაკიაჟი და თმის ვარცხნილობა შეუხამა თავის კოლექციას.

Tamuna Ingorokva

S/S 2015

TAMUNA INGOROKVA

TBILISI FASHION WEEK®

ტატიანა მეფარიძე თბილისის მოდის კვირეულის დებიუტანტი დიზაინერია, მისი კოლექცია თავდაჭერილი, ასე ვთქვათ, გაუბედავი კოსტუმებისაგან შედგებოდა, რაც პირველი კოლექციისათვის აბსოლუტურად გასაგებია. მიუხედავად დებიუტისა, ტატიანამ თავისი სათქმელი მაინც მიიტანა მნახველამდე – განიერი, დრაპირებული ქვედა ბოლოები, და ხავერდის მოსაცმელები, ადვილად მოსარგები, ქალური და ამავე დროს ელეგანტური ტანისამოსი გარკვეული ასაკის ქალებისათვის კომერციულ წარმატებას უნდა გულისხმობდეს. დიზაინერმა მაღალქუსლიანი და დაბალქუსლიანი ფეხაცმელი, კონტრასტულ ფერების თხელი, დავარდნილი ქსოვილები და ჰარმონიული პალიტრა გამოიყენა თავისი ჩვენებისათვის. ტატიანა ცდილობს თავისი ხელწერა შექმნას და არ გაითვალისწინოს მიმდინარე მოდის ტენდენციები, რაც დამწყები მოდელიორისგან დიდ სითამამეს მოითხოვს.

Tatiana Meparidze

S/S 2015

TBILISI FASHION WEEK®

Lolo by Lako ლაკო ბუკიას მეორე ყოველდღიური სამოსის ხაზია, რომელსაც ლაკოს ხელმძღვანელობით ახალგაზრდა დიზაინერი ლაშა დევდარიანი ქმნის. ამ სეზონზე ხაზგასმით საშემოდგომო კოლექცია ლურჯი, წითელი, შავი, ღია ვარდისფერი, ნაცრისფერი შარვლებისა და მასიური ნაქსოვი ტანისამოსისაგან შედგებოდა. თბილი, დიდი ტენდენციური ნაქსოვი ჯემპრები და მოსაცმელები ტონალურად მრავალფეროვან კოლექციას ქმნიდა, რაც კომერციული თვალსაზრისით გასაგები იყო, მაგარამ საერთო სურათი, ცოტა არ იყოს, ზედმეტად ჭრელი, ერთი ტექნიკის უსასრულო ვარიაციებს წარმოადგენდა. ლაშამ ასევე გამოიყენა შალი, მდგრადი ატლასი და სხვადასხვა ფაქტურები აურია ერთ ჩვენებაში: ბეჭდური ქსოვილები და ეფექტური დეტალი, დაბეჭდილი კოლგოტები, ვერცხლისფერ, დაბალქუსლიან ელეგანტურ ფეხსაცმელთან ერთად აჩვენა. მოდელები პოდიუმზე შეიძლება არ გამოიყურებოდნენ ისე ეფექტურად, რამდენადაც რეალურ, ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ კოლექციიდან არაერთი მოდელი გახდება სასურველი სამოსი, რაც ალბათ Lolo by Lako-ს მიზანიც იყო.

Lolo by Lako

S/S 2015

TBILISI FASHION WEEK®

ნინო ბაბუხადია ნეიტრალური, სადა კოლექციით წარსდგა მოდის კვირეულზე, მისი პალიტრაც თითქმის მონოქრომული ინტენსიური ფერების გარეშე შავი, რძისფერი და ღია ცისფერისაგან შედგებოდა. ამ სეზონის ყველაზე პოპულარული ქსოვილი ორგანზა ამ კოლექციაშიც ვიხილეთ. ნინომ კრეპი და აბრეშუმიც გამოიყენა ჩვენებაში. მოდელიორმა პოდიუმზე მანეკენების რაღაც უცნაური სახე შექმნა: ბავშური მაკიაჟი, უხეში ფაქტურის პარიკები და ქაღალდის ბუტაფორიული ფრიალა სათამაშო თითქმის ყველა მოდელს ეჭირა. როგორც ჩანს, დიზაინერმა სადა ტანსაცმლის გაცოცხლება ამ ატრიბუტებით გადაწყვიტა, თუმცა ეს დისონანსი ცოტა გაუგებარი დარჩა. ტანისამოსი უბრალო თარგის სწორ კაბებს, ქვედა ბოლოებს და უსახელო მოსაცმელებს წარმოადგენდა, ნინომ ხარისხიანი მოკლე ყელიანი ჩექმები წინდებთან შეახამა და იმ მცირე დიზაინერთა რიცხვში აღმოჩნდა, ვინც თავიან აქსესუარებზე, კერძოდ კი ჩანთებზე იფიქრა და კოლექციას დასრულებული სახე მისცა.

Nino Babukhadia

S/S 2015

TBILISI FASHION WEEK®

Eloshi ლელა ელოშვილის ბრენდია, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს ადგილბრივ და რეგიონულ ბაზარზე. ლელა ცნობილია თავისი ორიგინალური დიზაინით და ქსოვილების საინტერესო დამუშავებით. ამ სეზონზე Eloshi მრავალფეროვანი ასიმეტრიული კომპოზიციებით წარსდგა. თავისი კოლექციისათვის ლელამ სხვადასხვა ტიპის ქსოვილები, ტრიკოტინი, ორგანზა, აბრეშუმი გამოიყენა და ასევე შექმნა საკუთარი დაბეჭდილი ფაქტურები. ლელამ მახვილგონივრულად გამოიყენა ქსოვილი და მისგან დეკორატიული ელემენტები, ფოჩები და ორიგამის მსგავსი ორნამენტები ჩართო დიზაინში. ტყავის ჩანთებთან ერთად გროტესკული მეფუტკრის მსგავსი გამვჭვირვალე თავსაბურავებით შეამკო თავისი მოდელები. მიუხედავად ავანგარდული, თამამი, ხშირად ექსპერიმენტული მოდელებისა, ცალკე აღებული თითოეული ერთეული Eloshi-ს კოლექციიდან მომავალი სეზონის სასურველი დიზაინი იქნება.

ELOSHI

S/S 2015

TBILISI FASHION WEEK®

Gvantsa Janashia

S/S 2015

გვანცა ჯანაშია რეგულარულად გამოდის მოდის კვირეულზე და უკვე დამკვიდრებული სახელია ქართული მოდის სივრცეში. მწვანე, ცისფერი, ატმისფერი და ქართველებისათვის საყვარელი შავი გვანცას კოლექციაშიც ჭარბობდა. განიერი კაბები და მოცულობითი ქვედა ბოლოები და შარვლები მძიმე დავარდნილი ქსოვილებისგან შექმნა. მოკლე და გრძელი შარვლები, კაბები და განიერი ქვედა ბოლები გვანცამ კონსტრუქციულად საინტერესო დეტალებით გაამდიდრა და სხვადასხვა სილუეტები თარგის ერთნაირი ელემენტებით გააერთიანა. დიდი მოცულობის კოლექციის დასკვნით ნაწილში შავი ფერის საღამოს ტანისამოსი გვანცამ ორიგინალური გამჭვირვალე ქსოვილის და ლურექსის ნაქარგით დეკორირების კომბინაციაზე ააგო. ტყავის აგურისფერი, მაღალყელიანი ფეხსაცმელები წინდებთან ერთად აჩვენა.



TBILISI FASHION WEEK®

შავი ფერის უერთგულესი დიზაინერი გიორგი შაღაშვილი მოდის კვირეულზე გასული საუკუნის 60-70–იანი წლებით ინსპირირებული ჩვენებით წარსდგა. გიორგიმ დისკო ეპოქას ფსიქოდელიური პალიტრა და იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი განიერ ტოტებინი შარვლები გამოაკლო და კვლავ შავი კოლექცია გვიჩვენა. ეგრეთწოდებული „აფრო“ თმის ვარცხნილობა ყველა მოდელს პარიკით შეუქმნა და მხიარული მუსიკის ფონზე მრავალნაირი სილუეტებით და სხვადასხვა შავი ფაქტურებით წარსდგა მნახველის წინაშე. მოგზაურობა აფრიკაში მის კოლექციაშიც აისახა. საინტერესო, ასიმეტრიული და დრაპირებული დეტალებით გიორგიმ სხვადასხვა სიგრძის კაბები, მოსაცმელები და შარვლები შექმნა, მარტივი თარგის ეთნიკური ტანსაცმელი თანამედროვე კაბებად თარგმნა და განსაკუთრებული აქცენტი მხრებზე გააკეთა. გიორგიმ ტყავის მასიური ჩექმა შეუხამა თავის მოდელებს. საინტერესო პერფორმანსი გამართა ჩვენების დასკვნით ნაწილში, როდესაც დაიანა როსის სილუეტური პორტრეტი მოდელების პარიკებით დაიხატა და ჩვენება თაკო ჩხეიძემ დახურა.

George Shaghashvili

S/S 2015

GEORGE SHAGASHVILI



TBILISI FASHION WEEK®

Tamta Shindelishvili

S/S 2015

თამთა შინდელიშვილი, როგორც ქალების, ასევე მამაკაცების დიდი კოლექციით წარსდგა მოდის კვირულზე. მისი ჩვენება ფეხსაცმელისა და ჩანთების დიზაინის მიხედვით აეწყო – მრავაფეროვანი სხვადასხვანაირი კომბინირებული ფეხასცმელი თამთას ძლიერი მხარეა. კოსტიუმები გასული სეზონების ტენდეცნიების, კერძოდ კი რიკ ოვენსის მიერ დამკვიდრებული ახალი ურბანული სტილის გავლენის ქვეშ შექმნილი გრძელი მოცულობითი კაბები, პერანგები და უცანური შარვლებია. თამთამ ვერცხლისფერი ტყავი, შავი, თეთრი და ჩალისფერი გამოიყენა თავის ნამუშევარში. კოსტუმები, ისევე როგოც ჩანთები, ხშირ შემთხვევაში კომბინირებული ფაქტურებისაგან და ამოჭრილი დეტალებით სხვადასხვა მასიურ მილიტარისტული სტილის ფეხსაცმელებთან ერთად აჩვენა, ბრუტალური ფეხსაცმელები მეტალის დეკორირებით და ჩანთები კონსტრუქციულად საინტერესოდ გადაწყვეტილი დეტალებით თამთას კოლექციის ძირითად ნიმუშებს წარმოადგენენ. სამოსის დიზიანი კი იმდენად სწორხაზოვანია, რომ განსაკუთრებულ, უცნაური სტილის მოყვარულ მომხმარებელს მოითხოვს.





TBILISI FASHION WEEK®

სარა ალიევა ცნობილი სახელია აზერბაიჯანში და სულ უფრო პოპულარული ხდება საქართველოშიც, ატელიე ჟან-ის კრეატიული დირექტორი თბილისში უკვე მეორე კოლექციას აჩვენებს. სარას შემოქმედებაში ნაციონალურ კულტურას დიდი ადგილი უჭირავს. მისი წლევანდელი კოლექციის თემატიკა სახელგანთქმული აზერბაიჯანული ხალიჩები, კერძოდ კი, მათი ორნამენტები გახლდათ. მოყავისფრო აგურისფერ გამაში ან იისფერი მწვანე ტყავით კომბინირებული კოსტუმები სარამ აზერბაიჯანული ხალიჩებითა და სანთლებით მორთულ პოდიუმზე აჩვენა. მოკლე, დღის კაბები დეკორატიული დეტალებით, პოდიუმზე მაღალყელიან, ფეხსაცმელებთან ერთად ვიხილეთ. საღამოს გრძელი კაბები, რომელზედაც ხალიჩების ორნამენტები დაიბეჭდა, დიზაინერმა სამკაულებთან ერთად აჩვენა და თითქოს სადა სილუეტს რთული კონსტრუქციის მხრები დაუმატა. ხაზგასმით აღმოსავლურ ესთეტიკაში გადაწყვეტილი კოლექცია როგორც სარამ აღნიშნა, მხოლოდ დასაწყისია. მისი სურვილია ეს თემა უფრო განავრცოს და მეტი მოდელები შექმნას.

Atelier Jan

S/S 2015



TBILISI FASHION WEEK®

ქეთი ჩხიკვაძის ნიშა ელეგანტური თავისუფალი თარგის ტანისამოსია, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს ადგილობრივ და რეგიონულ ბაზარზე. განიერი, თავისუფალი კაბები მასიური, მუქი ნაქარგით დიზაინერმა წელს ღია ტონებში წარადგინა. შავი ფლამინგოები და კოლიბრი ქეთიმ სხვადასხვა ტანისამოსზე, როგორც სილუეტი, ისე დააბეჭდინა და პოპულარულ ტენდეცნიურ, გრძელფოჩებიან ტყავის ჩანთებთან ერთად აჩვენა. ელეგანტური კოქტეილის კაბები და მოსაცმელები მდგრადი ქსოვილისგან კრისტიან დიორის 50-იანი წლების თავისუფალ ინტერპრეტაციებს წარმოადგენდა, ქეთიმ აიღო ისტორიული კონსტრუქციული დეტალები, სილუეტი გაადიდა და უფრო თავისუფალი თანამედროვე სამოსი შექმნა. თეთრ წინდებზე გამჭვირვალე დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩააცვა მოდელებს და მთლიან ჩვენებას ნატურალური, უპრეტენზიო მაკიაჟი შეუხამა.

Keti Chkhikvadze

S/S 2015

TBILISI FASHION WEEK®

შატო მუხრანის მარანი ავთანდილ ცქვიტინიძის 2015 გაზაფხული/ზაფხული კოლექციის ჩვენებას მასპინძლობდა. ავთანდილმა სადღესასწაულო ჩვენებით დახურა თბილისის მოდის კვირეული. თავად ავტორმა გვამცნო, რომ მან შექმნა ტანისამოსი „როგოც მხატვარმა". ჩანს დიზაინერმა ტანისამოსის უტილიტარულ ფუნქციაზე თქვა უარი და მაღალმხატვრული ღირებულების ხელოვნების ნამუშევარზე გამოთქვა პრეტენზია – რაც ასიმეტრიულ კაბებში და მოსასხამ-საყელოებში, დაბეჭდილი გამჭვირვალე და გლუვი ფაქტურების შეხამებასა და ბუმბულების ნაირსახეობაში გამოხატა. სხვდასხვა სიგრძისა და პროპორციის, ძირითადად საღამოს სადღესასწაულო ტანსაცმელი, ორგანზის, აბრეშუმის, კოტონის და ტაფტისაგან შექმნა. თხელი მასალებისაგან დამზადებულ მაღალყელიან ჩექმებთან ერთად ავთანდილმა თეთრი და ჭრელი სპორტული ფეხსაცმელიც გამოიყენა. ჩვენება თეთრი მოდელებით დაიწო, ხოლო შემდეგ თანდათან ვიხილეთ ნაცრისფერი და ჭრელი ტანსაცმელი, სავარაუდოდ ავთანდილისავე ფერწერული ესკიზების მიხედვით შექმნილი ქსოვილებისაგან დამზადებული. ავთანდილის კოლექცია მართლაც საავტორო ნამუშევარს წარმოადგენდა, რომლის თითოეული მოდელი დიზაინერის გემოვნების და შეხედულებების მკაფიო გზავნილად აღიქმებოდა.

AVTANDIL

S/S 2015

AVTANDIL

ჯაბა დიასამიძემ არასტანდარტული ფორმა აირჩია თავისი მინი კოლექციის წარსადგენად – ელეგანტური პერფორმანსი მწერალთა სახლის ცისფერ დარბაზში გამართა. გროტესკული, სტილიზებული სუფრის ირგვლივ დახვეწილ საღამოს კაბებში ისხდენ სიფრიფანა გოგონები და ერთი მამაკაცი ჩოხაში, მაგიდა უზარმაზარი თაიგულებით და ხილით გავსებულ ბაღს გავდა, მაგიდის ირგვლივ მსხდომნი კლასიკურ მუსიკას უსმენდნენ და დამსწრე სტუმრები მოდელებს ჰორტენზიების გირლანდების გარემოცვაში აკვირდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული კოსტუმის ნახვა მხოლოდ ფრაგმენტულად იყო შესაძლებელი, შექმნილი ატმოსფერო ზუსტად გადმოსცემდა პოეტურ, რომანტიულ განცდას, რომელიც ჯაბამ თითოეულ მოდელში შექმნა. აქრომატული შავ–თეთრი პალიტრა, შიფონი, ორგანზი, სირაქლემას და მარაბუს ბუმბულები, თეთრი ნაქარგი და ტენდენციის მიღმა მდგარი სილუეტები ჯაბას, როგორც დახვეწილ ესთეტს, ისე წარმოგვიდგენდა. მოდელების დიზაინი დროის მიღმა იდგა და მთლიანობაში მანეკენები, კოსტუმები, პრეფორმანსის დეკორაცია თანამედროვე კლასიკის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენდა.

presentation by

Djaba Diassamidze

SOME OF TFW GUESTS / BLITZ

ნატაშა სტივენი

ივან როდიჩი

ევგენი ტიხონოვიჩი

NATACHADARTY.com
მოდის ჟურნალისტი და ბლოგერი

როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილება თბილისის მოდის კვირეულის შესახებ?

ვთვლი, რომ ქართული მოდა სრულიად უნიკალურია თავისი თამამი ფერებითა და სტილით.

რას იტყვით ქართველ დიზაინერებზე? რა მოგეწონათ, ან რაიმე შენიშვნა თუ გაქვთ?

ქართველი დიზაინერები ნამდვილად გამორჩეულები არიან, ისინი ცდებიან ჩარჩოებს და მკვეთრი ეპიკური ატმოსფერო შემოაქვთ მოდის ინდუსტრიაში.

შეგიძლიათ დაასახელოთ ვინ არის ქართველი დიზაინერებიდან თქვენი ფავორიტი?

განსაკუთრებით მომეწონა ANOUKI, Atelier KIKALA და GOLA DAMIAN.

რას ურჩევდით მათ?

დარჩით საკუთარი თავისა და ფესვების ერთგულნი, იყავით განსხვავებულნი და ისიამოვნეთ თქვენი საქმით.

FACE HUNTER

როგორ დაიწყო თქვენი კარიერა?

დავიწყე 2006 წელს პორტრეტების გადაღებით პარიზის კვირეულის გახსნაზე. შემდეგ გადავწყვიტე ჩემი ობიექტების სტილიც დამეფიქსირებინა. ასე დაიბადა ქუჩის სტილის ბლოგი.

რატომ „სახეებზე მონადირე“?

იმიტომ, რომ თავიდან მხოლოდ სახეებს ვიღებდი.

რამ განაპირობა თქვენი წარმატება?

პიონერობამ, დრამატული სახელის გამოყენებამ და ჩემი ნამუშევრების გაცნობის მიზნით ბევრმა მოგზაურობამ.

შეგიძლიათ გაიხსენოთ ყველაზე წარმატებული პროექტი, რომელიც ნახტომად იქცა თქვენს კარიერაში?

2006 წელს ნიუ იორკის მოდის კვირეულის გაშუქება „კონდე ნასტისთვის“ (საგამომცემლო ჯგუფი, რომელიც ვოგის, GQ და სხვა ჟურნალების მფლობელია).

რა არის საჭირო იმისათვის, რომ წარმატებული ბლოგერი გახდე?

გქონდეს უნიკალური ტონი, იყო თანმიმდევრული და ძლიერი სოციალურ მედიაში.

როგორ ფიქრობთ, იყო თბილისი საინტერესო „სახეებზე მონადირისათვის“?

თბილისი უნიკალური ქალაქია არაჩვეულებრივი კულტურის ქვეყანაში. მე ვერ გავძეხი თბილისით, მას იმდენი აქვს შემოსათავაზებელი და შესანიშნავია, რომ ამის გაზიარება ჩემი მკითხველისთვის შემიძლია.

როგორ შეაფასებდით თბილისის მოდის კვირეულს?

როგორც მოდის კვირეულს პატარა ქვეყანაში, რომელიც არ არის ცნობილი თავისი მოდით, მაგრამ გააჩნია შემოქმედებითობა და დიდი ამბიციები.

რას ფიქრობთ ქართველ დიზაინერებზე?

ზოგიერთი მათგანი ფანტასტიურია.

შეგიძლიათ დაგვისახელოთ თქვენი ფავორიტი დიზაინერი?

ჯაბა დიასამიძე, რომლის კოლექციაც სწორედ თქვენი ჟურნალისთვის გადავიღე.

BURO247.ru
რედაქტორი

ეს თქვენი პირველი ვიზიტია თბილისში?

დიახ.

როგორია პირველი შთაბეჭდილება ქალაქზე?

ძალიან თვალწარმტაცი, მყუდრო და სტუმართმოყვარე ქალაქია.

რას ფიქრობთ თბილისი მოდის კვირეულზე?

კარგად ორგანიზებული ღონისძიებაა, რომელსაც ძლიერი, ნათელი მიზანი აქვს – ხელი შეუწყოს ქართულ მოდას.

ქართველ დიზაინერებზე რა აზრის ხართ?

ნიჭიერი და ვიზუალურად მდიდარი სტილის დიზაინერები არიან.

როგორ ფიქრობთ, თუ აქვთ პოტენციალი, მსოფლიო ბრენდებად ჩამოყალიბდნენ?

კი, თუ კომერციულ მხარეს მეტ ყურადღებას დაუთმობენ.

თქვენი აზრით, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი მოდის სამყაროში მოღვაწეობისთვის?

კარგი ხედვა, ნიჭი, ინვესტიცია და კარგი მენეჯერი.

მოდა უფრო ხელოვნებაა თუ ბიზნესი?

პირველ რიგში ეს ბიზნესია. ხელოვნება, რომელსაც ვერ გაყიდი, არაფრად ღირს.

თქვენს კარიერაზე რას იტყოდით?

მე ვარ მოდის ჟურნალისტიკის წარმომადგენელი. ჩემი პროფესია შთაგაგონებს, მართლაც კარგი კარიერა მაქვს გაკეთებული.

რა არის მოდა თქვენთვის?

ეს არის ინდუსტრია, რომელიც სამყაროს ცოტათი უფრო მშვენიერს ხდის.

თქვენი საყვარელი ციტატა?

„მოდა იცვლება, მხოლოდ სტილი რჩება“ – კოკო შანელი.

TBILISI FASHION WEEK®

GRAZIA.it
მოდის ჟურნალისტი

როგორ დაიწყეთ მოდის სტილისტად მუშაობა?

ვფიქრობ, 12 წლის ასაკში დავიწყე პროცესი, რომელსაც „ძიებას“ უწოდებენ. უამრავ სურათს ვაგროვებდი ჟურნალ-გაზეთებიდან, ალბათ „შთაგონებათა“ წიგნს ვქმნიდი...

რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ ადამიანი წარმატებულ მოდის სტილისტად ჩამოყალიბდეს?

ამ კითხვაზე პასუხი ნამდვილად არ მაქვს... ჩემს გარშემო ბევრი უნიჭო, მაგრამ წარმატებული ადამიანი მინახავს...

მოდა ბიზნესია თუ ხელოვნება?

მოდა ბიზნესის ხელოვნებაა.

სტილი თუ მოდა?

სტილი.

როგორ ფიქრობთ, თბილისი საინტერესო იყო?

დიახ, ნამდვილად. მომწონს აღმოჩენები, მომწონს როდესაც ქვეყნის კულტურა აისახება და იგრძნობა სამოსში, მომწონს კრეატიული ელემენტები და მოდის კონცეფციის გადმოცემა კოლექციაში.

როგორ შეაფასებდით თბილისის მოდის კვირეულს?

განსხვავებული იყო ყველა დანარჩენისგან.

შეგიძლიათ დაასახელოთ დიზაინერი, რომელიც ყველაზე მეტად მოგეწონათ?

ალბათ, მატერიელი... ლაშა დევდარიანი, დალოოდი (განსაკუთრებით გრეგორი) და ჯაბა დიასამიძე.

ითანამშრომლებდით მათთან?

რა თქმა უნდა.

თქვენს სამომავლო გეგმებზე რას იტყოდით?

ახლა პერსონალურ პროექტზე ვმუშაობ და უფრო მეტად კონსულტაციებით ვარ დაკავებული.

NARGIS (BAKU)
მოდის რედაქტორი

რას ფიქრობთ თბილისის მოდის კვირეულზე, როგორც ვიცით ეს არ არის თქვენი პირველი ვიზიტი

დიახ, ეს სიმართლეა. ყოველი სეზონი სავსეა სიახლეებით და მოულოდნელობებით. მახარებს ის, რომ ყოველ სეზონზე ღონისძიების დონე უფრო და უფრო მაღლა იწევს, ასევე დიდ პროგრესს განიცდიან დიზაინერებიც. მინდა ავღნიშნო, რომ თბილისის მოდის კვრეული არამხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც იწვევს ძალიან დიდ ინტერესს.

როგორ შეაფასებთ ქართველ დიზაინერებს?

უპირველეს ყოვლისა, ძალიან ამაყი და მოხარული ვარ, რომ ქართველი დიზაინერების უმეტეს ნაწილს ვიცნობ. ზოგ მათგანს ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, რომ მსოფლიო დონის დიზაინერად ჩამოყალიბდეს. მიხარია, რომ შემიძლია თვალი ვადევნო მათ განვითარებას. მიუხედავად ულევი სირთულეებისა, ისინი არ ნებდებიან და აგრძელებენ განვითარებას.

შეგიძლიათ დაასახელოთ თქვენი ფავორიტი დიზაინერი?

გამოვყოფ ლადო ბოკუჩავას (Atelier KIKALA), იგი არაჩვეულებრივი მეგობარი, ადამიანი და დიზაინერია. სულმოუთმენლადნ ველი როდის შექმნის მამაკაცის ხაზს. მისი სამოსი არის ძალიან ხარისხიანი და საინტერესო, რაც სხვადასხვა ქვეყნებიდან მომხმარებლების დაინტერესებას იწვევს. მომწონს ELOSHI საინტერესო პრინტები ქონდათ წარმოდგენილი, ასევე გამოვყოფ ANOUKI, DJABA DIASSAMIDZE და KETI CHKHIKVADZE.

რაიმე რჩევას ხომ არ მისცემდით მათ?

მხოლოდ ერთს, ირწმუნონ თავიანთი თავის და და სჯეროდეთ წინსვლის. დარწმუნებული ვარ ყველა უძილო ღამე, შრომა აუცილებლად დადებითად შემოუბრუნდებათ.

BURO247.kz
მთავარი რედაქტორი

როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილება თბილისის მოდის კვირეულის შესახებ?

ყველაფერი უმაღლეს დონეზე ჩატარდა. ამ დღეების მანძილზე ბევრი შესანიშნავი, ნიჭიერი და გემოვნებიანი ადამიანი გავიცანი.

რას იტყვით ქართველ დიზაინერებზე?

ყველა დიზაინერი ნიჭიერია. ზოგი მათგანი უკეთესი იყო, ზოგი ნაკლებად. განსაკუთრებით მომეწონა თბილისის მოდის კვირეულის რამდენიმე მონაწილე და ამიერიდან მათ თვალს მივადევნებ. გამიხარდება მათი წარმატება.

შეგიძლიათ დაასახელოთ ვინ არის ქართველი დიზაინერებიდან თქვენი ფავორიტი?

ANOUKI, Materiel by GEORGE KEBURIA, Atelier KIKALA, ELOSHI, DJABA DIASSAMIDZE.

რას ურჩევდით მათ?

რჩევას არ მივცემ, უბრალოდ ვუსურვებ, რომ უახლოეს მომავალში წარმატებისათვის მიეღწიოთ არა მარტო საკუთარ ქვეყანაში, არამედ მოდის მსოფლიო დედაქალაქებშიც. ისინი ამას ნამდვილად იმსახურებენ.

TBILISI FASHION WEEK®

#followmeto

ექსკლუზიურად ჟურნალ NARGIS -ისთვის თბილისის მოდის კვირეულის სტუმრების მურად ოსმანისა და ნატალი ზახაროვას პროექტ #FOLLOWMETO-ს ავტორების თვალით დანახული საქართველო და თბილისი. ეს ფოტოები მილიონობით ადამიანმა იხილა სოციალურ ქსელში.

www.instagram.com/muradosmann

Dress AVTANDIL / Location Rooms Hotel Tbilisi

Dress AVTANDIL / Location Rooms Hotel Tbilisi

Dress AVTANDIL / Location Rooms Hotel Tbilisi

Backstage

by Stas Alekseev

Anouki

Anouki

Anouki

Anouki

Atelier Kikala

Atelier Kikala

Anouki

Atelier Kikala

Atelier Kikala

Gola Damian

Gola Damian

Gola Damian

Dalood Group

Dalood Group

Dalood Group

Dalood Group

Backstage

David Tchalidze
Ika Khargelia

by AP studio

Aka Nanitashvili

Aka Nanitashvili

Iolo by LAKO

Mach & Mach

Materiel by George Keburia

Materiel by George Keburia

Tatiana Meparidze

Nino Babukhadia

ELOSHI


Jan Atelier

George Shaghashvili

Avtandil

Tamuna Ingorokva

Avtandil

Keti Chkhikvadze

by Kate's Cool Attitude
photo: Giorgi Induashvili

Kate's Cool Attitude

Online Clothing Store

www.kate-cool.com

pants & jacket TAMUNA INGOROKVA
ring CHOPARD
Chronograph boutique

პირველი ლედი

დღეს მაკა ჩიჩუას გაგაცნობთ – მაკა ჩიჩუას და არა პრეზიდენტის მეუღლეს, პირველ ლედის ან ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის მეორე ნახევარს. გაგაცნობთ ისეთს, როგორიც არის, როგორსაც იცნობდნენ წლების წინ – თბილისის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ გოგონას... უყვარდათ... უსმენდნენ, როგორ მღეროდა ან როგორ თამაშობდა კამერის წინ... როგორ აზავებდა საღებავებს და ხატავდა. წლების შემდეგაც ასე ცხოვრობს: ხატავს, მღერის, ფილმებში იღებენ, პარალელურად კი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს – რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყნის პირველი ლედი იქნება.



ია ვეკუას ინტერვიუ. ფოტო გურამ წიბახაშვილი.
ასისტენტი - თინათინ კიღურაძე

სტილი: ანანო დოლაბერიძე, თმა: LA PARIS თეო ფხაკაძე, მაკიაჟი: IMAGE LAB ლანა მატახერია

top, skirt & jacket TAMUNA INGOROKVA
earnings & ring SCHOEFFEL
Chronograph boutique

ბავშვობიდან უცნაური გოგოს სახელი მოჰყვება, ამიტომ მისთვის წარმოუდგენელია იყოს ჩვეულებრივი

მომავალი მეუღლე წლების წინათ შვილისგან გაიცნო. ეს ისტორია ყველამ იცის: მაკა ჩიჩუასა და გიორგი მარგველაშვილის შვილები მაშო და ანა მეგობრობდნენ, დებივით იყვნენ, მშობლების დაახლოების შემდეგ კი ნამდვილ დებად იქცნენ. მშობლების ქორწინების მოწმეებიც ისინი იყვნენ, სულ მალე კი საერთო ძმაც ეყოლებათ.

თითქოს ჩვეულებრივი, მაგრამ აშკარად განსხვავებული ოჯახია. მსგავს ისტორიებს კიდევ ბევრს მოისმენთ, მაგრამ ძალიან იშვიათად მათ შესახებ, ვინც მოცემულ მომენტში ქვეყნის პოლიტიკური მმართველობის სათავეშია. ასეთი ადამიანების ცხოვრება, როგორც წესი, სტანდარტული და სამაგალითოა, პროტოკოლის მკაცრად განსაზღვრული ნორმებითაა სავსე და, შესაბამისად, მოსაწყენი. მაგრამ არა მაკა ჩიჩუას შემთხვევაში – ბავშვობიდან უცნაური გოგოს სახელი მოჰყვება, ამიტომ მისთვის წარმოუდგენელია იყოს ჩვეულებრივი.

არადა, ჩვეულებრივად ცხოვრობს, განსაკუთრებული პრივილეგიებისა და ფუფუნების გარეშე. და ეს არ არის მოჩვენებითი მდგომარეობა. უბრალოდ ასე სურს, ასე უფრო მოსწონს და კომფორტულად გრძნობს თავს.

მაკა ჩიჩუას ცხოვრება ერთი წლის წინათ რადიკალურად შეიცვალა. თუმცა ასე მხოლოდ გარეშე თვალისთვის მოხდა, თავად მაკასთვის წოდება „პირველი ლედი“ დღემდე მხოლოდ ოფიციალურ შეხვედრებზე სახსენებელ ტერმინად რჩება. ასეცაა – ურთიერთობებისა და ყოფითი პირობების მხრივ ყველაფერი იგივე დარჩა. ერთადერთი, რაც ცვლილებაზე მეტყველებს, სახლის ეზოში დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერებია.

„თანამდებობა, ძალაუფლება, მატერიალური სიმდიდრე ადამიანის შინაგან მდგომარეობას არ განსაზღვრავს. მაგალითად, დღეს მე ქვეყნის პირველი ლედი ვარ, ჩემი მეუღლე პრეზიდენტია, მაგრამ ცხოვრების წესი იგივე გვაქვს, რაც ერთი წლის წინ გვქონდა. მით უმეტეს მე, რადგან ჩემი მდგომარეობა გიორგის თანამდებობამ განაპირობა, ამისთვის თავად არაფერი გამიკეთებია, ამ მდგომარეობისთვის მე არ მიმიღწევია“ – ამბობს მაკა ჩიჩუა.

თუმცა, ამ თემაზე საუბარი აქ არ მთავრდება, რადგან ცვლილებების მთავარ სეგმენტამდე მივდივართ. ეს არის პასუხისმგებლობა, გარკვეული ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე, რაც ნებისმიერი პირველი ლედის მოვალეობაა. თავად კი ამატებს, რომ პასუხისმგებლობის გარდა ახალი შესაძლებლობებიც გაუჩნდა, რაც

dress TAMUNA INGOROKVA
jacket DJABA DIASSAMIDZE
earnings and ring
MARCO BICEGO
Chronograph boutique

{ თანამდებობა, ძალაუფლება, მატერიალური სიმდიდრე ადამიანის შინაგან მდგომარეობას არ განსაზღვრავს. }

cardigan LALO CARDIGANS

ყველაზე მეტად ახარებს. ახლა გაცილებით თამამად და მკვეთრად შეუძლია საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა, იმის უფრო ხარისხიანად კეთება, რასაც მთელი ცხოვრება ისედაც აკეთებდა.

ბავშვების, ქალების, ცხოველების უფლებებისა და ბუნების დაცვა – ეს მაკა ჩიჩუას მთავარი პრიორიტეტებია, თუმცა საკუთარ თავს უფრო ეკოლოგიის მიმართულებით ხედავს. ამბობს და ისედაც ყველამ ვიცით, რომ ამ მხრივ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცნობიერება ძალიან დაბალ დონეზეა, რაც ევროპის განვითარებულ ქვეყნებში დიდი ხნის წინ დაძლიეს. მიუხედავად ამისა, ფიქრობს, რომ დაწყება არასდროს არაა გვიან. უკვე აქტიურად აწარმოებს კონსულტაციებს შესაბამის ორგანიზაციებთან, სპეციალისტებთან, იყენებს პირად გამოცდილებასაც, პირად ცოდნას იმისა, რომ ეკოლოგიურად სუფთა გარემო თანამედროვე ადამიანისთვის ჰაერივით აუცილებელია.

თავად სწორედ ასეთ გარემოში ცხოვრობს – დუშეთში, მწვანე ეზოიან სახლში, რომლის ნაწილიც პატარა მეურნეობას წარმოადგენს. მიწას თავად ამუშავებს, თავადვე უვლის ბოსტანს და იღებს მოსავალს: **„ადამიანები აუცილებლად უნდა დავუბრუნდეთ მიწას. მთელი განვითარებული მსოფლიო სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს, მეცნიერები ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ყველაფერს აკეთებენ, სახელმწიფოები მილიონებს ხარჯავენ. ვფიქრობ, ამ პროცესში საქართველოც უნდა ჩაებას, მით უფრო, ბევრი ქვეყნისგან განსხვავებით, გვაქვს საუკეთესო რესურსი, კარგი მიწა, რომელსაც მოვლა და გამოყენება სჭირდება. ჩემი ქვეყნისა და საზოგადოებისთვის სწორედ ამ სამსახურის გაწევა მსურს და არა მარტო იმიტომ, რომ, როგორც პირველ ლედის მევალება, არამედ იმიტომაც, რომ მართლა მინდა ჩვენმა შვილებმა უკეთეს გარემოში იცხოვრონ. ეს ჩემი გულწრფელი სურვილია“**.

დუშეთის სახლში ქვეყნის პირველი წყვილის გარდა ორი ძაღლი – ტორი და ძაღლა და ოთხი კატა – კოტი, ანფისა, ტიკი და კნუტი ცხოვრობენ. აქვე ბინადრობენ ველური ციცრები, პატარა ფერდობზე ბოსტანია გაშენებული, ეზოში აზერბაიჯანის ელჩის მიერ ნაჩუქარი ბროწეულის ნერგებიც ხარობენ... წელს კაკლის მოსავალიც კარგი იყო.

ეს ერთადერთი სახლია, რომელიც გიორგი მარგველაშვილის ოჯახს აქვს. სახლი იმაზე უბრალოა, ვიდრე ელით: უხეშად გალესილი კედლები, ხის იატაკი, თავად პრეზიდენტის ხელით გაკეთებული მაგიდა და მისი მეუღლის მიერ მოხატული სკამები. ერთი შეხედვით, ტიპიური სოფლის სახლია და ასეცაა – როგორც მაკა ჩიჩუა ამბობს, მისთვის იდეალური სახლი სწორედ ესაა.

მუდამ ასეთ სახლზე ოცნებობდა – სივრცეზე, სადაც საყვარელ ცხოველებს მოუყრიდა თავს და მათზე ზრუნვის საშუალება ექნებოდა. ცხოველებისა და ბუნების მიმართ სიყვარული ბავშობიდან ახასიათებს, ქუჩაში ნაპოვნი ყველა უპატრონო ძაღლი და კატა შინ მოჰყავდა, თუმცა იმდენად მომცრო ბინა ჰქონდათ, რომ მათ



cardigan LALO CARDIGANS
necklace ESHVI
blouse MATERIEL

ზოოპარკის ინსტიტუტი საერთოდ გასაუქმებელია. არასდროს წავიყვან შვილს დატუსაღებული, გამოფენის ექსპონატებად ქცეული ცხოველების სანახავად.

დაბინავებას მხოლოდ სადარბაზოში ახერხებდა. ამის გამო მუდამ ესმოდა მეზობლების საყვედურები, მშობლები კი ამაოდ თხოვდნენ, ერთ ჯერზე ხუთის ნაცვლად, ორი ძაღლი მაინც ჰყოლოდა. არაფერი ჭრიდა, ჩიჩუების სახლის კართან მუდამ იწვა მაკას მიერ შეფარებული ლეკვი ან მეზობლის ბავშვებისგან შეშინებული კატა.

„სუსტის დაჩაგვრა ბავშვობიდან მაღიზიანებდა. სკოლაში სწავლისას არაერთხელ გამოვსარჩლებივარ თანაკლასელების მიერ დაჩაგრულ ბავშვებს, რის გამოც თანატოლებს შორის დიდი პოპულარობით არასდროს ვსარგებლობდი. უპატრონო ცხოველებზე ზრუნვა პატარაობიდან მოთხოვნილებად მექცა. ასე ვარ დღესაც. ამ მხრივ ჩემი იდეალი რუსუდან ხუნწარიაა – ქალბატონი, რომელმაც საკუთარი ცხოვრება ცხოველებზე ზრუნვას დაუთმო. მან წლების განმავლობაში უამრავი გაჭირვება და ტკივილი გამოიარა, მაგრამ ცხოველებისთვის არასდროს უღალატია. ძალიან მინდა დავეხმარო, მაგრამ ამ ეტაპზე გარკვეულ იურიდიულ საკითხებს ვაწყდები, რის გამოც, სამწუხაროდ, ვერაფერს ვაკეთებ. ოდესღაც ზურა ჟვანია ეხმარებოდა, რომელსაც ცხოველთა დაცვის მიმართულებით ბევრი რამის გაკეთება უნდოდა, მაგრამ ვეღარ მოახერხა. ცხოველთა დაცვა ყველა ნორმალურ ქვეყანაში ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევა, რაც ქვეყნის კულტურის მაჩვენებელია. ცხოველებს იცავს კანონი, იმართება აქციები, ხდება ბავშვების ინფორმირება, რაც უკეთესი თაობის გაზრდის ერთ-ერთი გარანტია. ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლება აუცილებლად გვჭირდება, ზოოპარკის ინსტიტუტი კი საერთოდ გასაუქმებელია. არასდროს წავიყვან შვილს დატუსაღებული, გამოფენის ექსპონატებად ქცეული ცხოველების სანახავად. ჩემთვის წარმოუდგენელია ბეტონის იატაკიან გალიაში გამოკეტილი უკეთილშობილესი ცხოველების ყურება, ბავშვისთვის კი ეს „სანახაობა“ უფრო მტკივნეული იქნება“, – ამბობს მაკა ჩიჩუა.

„უცნაური“ და „ლამაზი“ – ეს ორი სიტყვა ბავშობიდან ესმოდა და ორივეს ამართლებდა. უცნაური იყო, თუმცა მისივე თქმით, ძალიან ჩვეულებრივ ოჯახში იზრდებოდა. ცხოვრობდნენ იპოდრომთან, რასაც სიხარულით აღნიშნავს, რადგან იპოდრომის ტერიტორიაზე სეირნობა და ცხენების ჯირითის ყურება ყველაზე დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. ჰყავს 9 წლით უმცროსი ნახევარძმა და მხატვარი დედა. დედის სტუდენტობისას დაიბადა, ამიტომ ჩვილობიდან გამოჰყვა საღებავის სუნი და ფერების შეგრძნება. გამოჰყვა ხელოვნების სიყვარულიც, რომელიც წლების განმავლობაში სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტა: პროფესიით მხატვარია, მაგრამ კინოსა და მუსიკაშიც ძალიან აქტიურად მუშაობს. **„დედა მხატვარი იყო, თუმცა საკუთარი შემოქმედებითი სივრცე დამოუკიდებლად შევიქმენი. მუდამ მაინტერესებდა ხელოვნებაში მიმდინარე პროცესები, მიყვარდა ამ სფეროს წარმომადგენლებთან ურთიერთობა, სიახლეების აღმოჩენა და მათში ძალების მოსინჯვა. ამ მხრივ, დამოუკიდებელი ვიყავი, სხვისი გავლენა არასდროს მიგრძვნია, მთავარია, მცოდნოდა, საიდან დამეწყო, განვითარება კი უკვე ჩემი საქმე იყო“**, – იხსენებს მაკა ჩიჩუა.

ერთ დღესაც ცნობილი სცენარი განვითარდა: ქუჩაში გააჩერეს, ფილმში გადაღება შესთავაზეს და დათანხმდა. ერთ როლს მეორე მოჰყვა, გაჩნდა სამსახიობო ფაკულტეტზე ჩაბარების შანსი და სურვილიც, თუმცა აქაც ინდივიდუალისტის ხასიათმა იჩინა თავი და სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა. **„მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიაშიც მიმუშავია, კინო და ფოტო გადაღებებზეც, გუნდური მუშაობა მაინც არ მიყვარს. რაც შეეხება სხვადასხვა სფეროში თავის მოსინჯვას, ეს უბრალოდ ენერგიის გადანაწილებისა და საკუთარი თა-**

> რომ არა ხელოვნება, შემოქმედებითი პროცესი, მე და ჩემი თაობა ალბათ აღარ ვიარსებებდით, ის დრო მთლიანად გადაგვსანსლავდა

ვის განვითარების საშუალებაა. ყველა სახელოვნებო სფეროს შორის კი საუკეთესო ხელოვნებად მუსიკას მივიჩნევ, ბგერას ყველაზე დიდი ძალა აქვს, ის ნებისმიერ შემთხვევაში გესმის და გრძნობ“.

როგორც მიხვდით, შეუძლია ძალიან ბევრი ისაუბროს ცხოველებისა და ბუნების დაცვაზე. ეს ის საქმეა, რომელზე ფიქრი, ლაპარაკი და კეთება აბედნიერებს, თუმცა არასდროს ავიწყდება, რომ მთავარი საზრუნავი ადამიანებია, მათ შორის ქალები. საკუთარი პოზიცია მიმდინარე წლის ოქტომბერშიც გამოხატა, როდესაც ოჯახური ძალადობის თემა განსაკუთრებით აქტუალური იყო. ამ თემაზე საუბარს, ცხადია, გვერდი ვერ ავუარეთ: **„ყოველთვის ძლიერი და თავდაჯერებული ქალი ვიყავი, საკუთარი თავის იმედი მქონდა, თუ საჭირო გახდებოდა, ფიზიკურადაც შემეძლო შრომა, შვილის გადასარჩენად არაფერს შევუშინდებოდი. მინდა, ჩვენმა ქალებმა არ დაივიწყონ, რომ სინამდვილეში ძლიერები არიან, ამიტომაც მიმაჩნია, რომ ოჯახური ძალადობის პირობებში მცხოვრებ ქალებსაც შეუძლიათ თავის დახსნა, საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადარჩენა და ნორმალურად ცხოვრება. მაგრამ მათი მარტო დატოვება დაუშვებელია, სახელმწიფო და საზოგადოება ამ ქალბატონების გვერდით უნდა დავდგეთ“.**

რთული პერიოდი თავადაც ჰქონია, მით უფრო, რომ დედა 90-იან წლებში გახდა. თუმცა ოპტიმისტია, შინაგანად იმაზე ძლიერია, ვიდრე გარედან ჩანს. ამ წლების გადატანაც შინაგანმა სიმტკიცემ შეაძლებინა. ვეკითხები, მაგრამ ვერ იხსენებს პირად ისტორიას, უფრო ისინი ახსოვს, როდესაც გარშემო ყველას უჭირდა: 9 აპრილი, ომები.

ასეთ დროს ყველაზე მეტად ეშვებოდა შემოქმედებაში, ბევრს მუშაობდა, ხვდებოდა ხელოვანებს, ყველაზე ცოცხალ და განვითარებად წრეში ტრიალებდა. თბილად აგონდება 90-იანებში ირაკლი ჩარკვიანის სახლში გამართული წვეულებები, იხსენებს, როგორ წერდნენ სიმღერებს, ლექსებს: **„ჩემი თაობა სწორედ ამან გადაგვარჩინა. ქალაქში არაფერი ხდებოდა, საკუთარი თავის იმედად ვიყავით დარჩენილი. რომ არა ხელოვნება, შემოქმედებითი პროცესი, მე და ჩემი თაობა ალბათ აღარ ვიარსებებდით, ის დრო მთლიანად გადაგვსანსლავდა. გადამარჩინა იმანაც, რომ არასდროს დამიკარგავს იმედი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს წლები ჩაივლიდა და ყველაფერი გაცილებით უკეთესად იქნებოდა. ასეც მოხდა“.**

ფეხმძიმედაა. თებერვალში ბიჭუნა დაიბადება. სურს, გიორგი დაარქვას. ასე უნდოდა მაშინაც, ვიდრე მეუღლე, სახელად გიორგი ეყოლებოდა. ქვეყნის პირველ ოჯახში დაბადებული პატარა ჩვეულებრივი ბავშვივით გაიზრდება, მისთვის უცხო იქნება პრივილეგიები და განსაკუთრებული პირობები – ზუსტად ისე, როგორც მისი მშობლებისთვისაა.

გაიზრდება აქ, დუშეთის სახლში. ფეხს ბალახიან მიწაზე აიდგამს, მისი პირველი მეგობრები ძაღლი და კატა იქნებიან, პირველ ბოსტნეულს, რომელსაც გასინჯავს, დედა დათესავს და მოუვლის. ასე იცხოვრებს პატარა ბიჭი, მისი მომავალი დედიკო კი ამბობს: **„სწორედ ასე იქნება, რადგან უკეთესი მომავლის მჯერა. თუ მომავლის შეგვეშინდება, მაშინ აწმყოც დაკარგავს აზრს. ადამიანები გამუდმებით ვდგავართ გამოწვევების წინაშე, მუდმივად გვესმის, რომ ბავშვები შიმშილობენ, უმუშევრობაა, ომებია, ახალი ვირუსები ჩნდება, საკვები გენმოდიფიცირებულია და ასე შემდეგ. ამას რომ აჰყვე, დაიღუპები. მუდმივი წუწუნი და უიმედობა, აგონიის წინაპირობაა. მაგრამ არის ალტერნატივა - ყოველი დღის გათენების სიხარული, სხვა ადამიანებზე, ბუნებასა და ცხოვე-**

dress Tamuna Ingorokva
necklace GIOVANI FERRARIS
earnings CHOPARD
CHRONOGRAPH BOUTIQUE

„ჩემს ამჟამინდელ მდგომარეობას აღვიქვამ, როგორც მორიგ როლს და მეც სიამოვნებით ვასრულებ...“

coat MATERIEL
BY TIKO PAKSASHVILI

ლებზე ზრუნვა და ამით სიამოვნების მიღება. გერმანელმა დრამატურგმა ფრიდრიჰ ჰებელმა თქვა: პუბლიკა მუდამ მზადაა აპლოდისმენტი უძღვნას ფოიერვერკს, მაგრამ არა მზის ჩასვლას. არადა ყველაზე დიდი სასწაული სწორედ ეს გახლავთ – მზე, რომელიც ყოველ დილით ამოდის და ყოველ საღამოს გვემშვიდობება. ადამიანებს უკვე გვაქვს სიცოცხლის განმაპირობებელი სასწაული, ამიტომ მისი დაფასებისა და მადლიერების უნარი არ უნდა დავკარგოთ. მე სწორედ ასე ვცხოვრობ: სიხარულს მანიჭებს მზის ამოსვლა, წვიმის შხაპუნი, მიყვარს, როდესაც თოვლი მზეზე ბრწყინავს ან ყვავილები იშლება. მომწონს მოკრძალებული ცხოვრებითა და ქველმოქმედებით ცნობილი ურუგვაის პრეზიდენტი ხოსე მუხიკა, ვაღმერთებ ადამიანებს, ვისაც სამშობლო ან ერთი სულიერის სიცოცხლე საკუთარ თავზე მაღლა შეუძლიათ დააყენონ, როგორც ეს ნელსონ მანდელამ ან მაჰათმა განდიმ შეძლეს. სწორედ ეს მაძლევს სიცოცხლის ძალას და მომავლის იმედს“.

ქვეყნის პირველი ლედია, შესაბამისად, მისი იმიჯი, სამოსით დაწყებული ღიმილით დამთავრებული, ხშირად იქცევა განსჯის საგნად. ასე ხდება ყველგან – განიხილავენ თეთრი სახლის დიასახლისსაც და ჩრდილოეთ კორეის ინკოგნიტო დედოფლებსაც.

ჩვენი ქვეყნის ყოფილი პირველი ლედების მსგავსად, მაკა ჩიჩუა საზოგადოებაში იშვიათად ჩნდება, ცხადია, ძირითადად, ოფიციალურ ღონისძიებებზე, მით უფრო ახლა, როდესაც ფეხმძიმედაა.

პირველი საჯარო შთაბეჭდილება პრეზიდენტის ინაუგურაციისას დატოვა. ცერემონიაზე დათუნა სულიკაშვილის მიერ შექმნილი კაბა ეცვა. როგორც მომდევნო დღეებში გაირკვა, მაკამაც და დათუნამაც გამოცდა წარმატებით ჩააბარეს, ჩვენს განსაკუთრებით პრეტენზიულ საზოგადოებას, მათ შორის დიზაინერებსაც, შენიშნვა, პრაქტიკულად, არ აღმოაჩნდათ – არჩევანი მაკა ჩიჩუასაც მოუწონეს და გიორგი მარგველაშვილსაც.

პრეზიდენტის მეუღლე პროტოკოლის აუცილებლობას ბოლომდე იზიარებს. მიაჩნია, რომ დადგენილი ნორმების გათვალისწინება არა მისი, არამედ ზოგადად ქვეყნის იმიჯზე მოქმედებს: **„არსებობს დადგენილი წესები და მე მათ ვითვალისწინებ. ამით პატივისცემას გამოვხატავ როგორც ქართული საზოგადოების, ისე სხვა ქვეყნების წარმომადგენლთა მიმართ. ჩემი ინდივიდუალიზმი ამით არ იკარგება, რადგან ის ნებისმიერ შემთხვევაში, ყველაზე მკაცრი და სტანდარტული იმიჯის მიღმაც გამოჩნდება. ეს აუცილებლობა არანაირ დისკომფორტს არ მიქმნის, რადგან ჩემს ამჟამინდელ მდგომარეობას აღვიქვამ როგორც მორიგ როლს და მეც სიამოვნებით ვასრულებ“**...

dress MATERIEL BY ALEKSANDRE AKHALKATSISHVILI
coat MATERIEL BY TIKO PAKSASHVILI

he for she

Photo: David Eristavi Style: Anano Dolaberidze

from left
Girl:
Coat GREGORY FOR DALOOD
Knit MAISON MARTIN MARGIELA
Short CHRISTOPHE LEMAIRE

Boy:
Sunglasses MYKITA +
MAISON MARTIN MARGIELA
Shirt ANN DEMEULEMEESTER
Shirt GREGORY FOR DALOOD
Pants GREGORY FOR DALOOD

Boy:
Knit GREGORY FOR DALOOD
Pants BALENCIAGA

Girl:
Scarf MATERIEL
Bracelets ANN DEMEULMEESTER
T-Shirt GIVENCHY
Pants HAIDER ACKERMANN

Girl:
Scarf MATERIEL
Bracelets ANN DEMEULMEESTER
T-Shirt GIVENCHY
Pants HAIDER ACKERMANN

Boy:
Sunglasses MYKITA +
MAISON MARTIN MARGIELA
Shirt ANN DEMEULEMEESTER
Shirt GREGORY FOR DALOOD
Pants GREGORY FOR DALOOD

from left
Boy: Knit lolo by LAKO
pants UNITY
Shoes MAISON MARTIN MARGIELA

Girl: Sunglasses KUBORAUM
jacket SIMON MACHABELI FOR DALOOD
shirt BALENCIAGA
Pants ANOUKI
shoes MATERIEL BY GEORGE KEBURIA

Boy: shirt GIVENCHY
Pants MAISON MARTIN MARGIELA
Shoes MAISON MARTIN MARGIELA

from left

Boy: shirt GIVENCHY

Boy: Knit lolo by LAKO

Girl: Sunglasses KUBORAUM
jacket SIMON MACHABELI FOR DALOOD
shirt BALENCIAGA

Girl: jacket Gola Damian
Pants MATERIEL BY GEORGE KEBURIA
Shoes MATERIEL BY GEORGE KEBURIA
Boy: jacket GOLA DAMIAN
Coat MATERIEL BY TIKO PAKSASHVILI
Pants MAISON MARTIN MARGIELA
Shoes MAISON MARTIN MARGIELA



from left
Boy: jacket MATERIEL BY GEORGE KEBURIA
pants MAISON MARTIN MARGIELA
Boy: scarf MATERIEL
coat GREGORY FOR DALOOD
pants UNITY

from left

Boy: coat ATELIER KIKALA
pants UNITY

Boy: Sunglasses KUBORAUM
Shirt ANN DEMEULEMEESTER
pants MAISON MARTIN MARGIELA

Girl: shirt ANN DEMEULEMEESTER
pants ANOUKI

Girl: dress GOLA DAMIAN
pants SIMON MACHABELI
bracelets ANN DEMEULEMEESTER

dress GOLA DAMIAN
pants SIMON MACHABELI
bracelets ANN DEMEULEMEESTER

from left

Girl: coat GOLA DAMIAN
pants MATERIEL BY GEORGE KEBURIA
shoes MATERIEL BY GEORGE KEBURIA

Girl: Coat GREGORY FOR DALOOD
pants ANOUKI
shoes MATERIEL BY GEORGE KEBURIA

Boy: Shirt BALENCIAGA
jacket MATERIEL BY ALEKSANDRE AKHALKATSISHVILI

Girl: sunglasses KUBORAUM
jacket MATERIEL BY ALEKSANDRE AKHALKATSISHVILI

Model:
Yara Ukraina *(Geomodels)*
Lika Abrumia *(Geomodels)*

George Lokhishvili *(Image Centre)*
Roma Litvin *(Image Centre)*

Make-up:

Hairstyle:
Baia Chitanava
(Network of beauty salons "Natali")

Photo Assistant:
Misha Arbolishvili

Total Charm

პლასტიკური,ესთეტიკური ქირურგიისა და კოსმეტოლოგიის კლინიკა

21-ე საუკუნეში, ესთეტიკური ქირურგია და კოსმეტოლოგია თანამედროვე ქალის ცხოვრების სტილის განუყოფელი ნაწილია. თითქმის ყოველი ქალის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც მან საკუთარი არჩევანი რომელიმე კლინიკაზე, კოსმეტოლოგსა თუ ექიმზე უნდა შეაჩეროს.

პლასტიკური, ესთეტიკური ქირურგიისა და კოსმეტოლოგიის კლინიკა „ტოტალ შარმი“ უკვე 17 წელია, უახლესი აპარატურისა და უკანასკნელი კოსმეტოლოგიური ტენდენციების საშუალებით, საკუთარ კლიენტებს ინოვაციური და სასარგებლო პროცედურებით მუდმივად ანებივრებს.

თბილისი | ვ.ორბელიანის ქ.18 | ტელ:+995 322 18 18 14 | +995 322 92 30 71 |
facebook: Total Charm Tbilisi

ბათუმი | ვ.გორგასლის ქ.15 | ტელ:+995 422 29 29 19 | +995 422 22 88 22 |
facebook: Total Charm Batumi

ნუკა კაციტაძე: „ტოტალ შარმის“ მომსახურებით უკვე დიდი ხანია ვსარგებლობ. უპირატესობას ახალგაზრდა პროფესიონალთა გუნდს ვანიჭებ, რადგან ისინი ყოველთვის სიახლეებზე არიან ორიენტირებულნი. ძალიან მსიამოვნებს მათთან ურთიერთობა, ამ გუნდს თავიდან - ბოლომდე ვენდობი და არასდროს გამცრუებია იმედი. „ტოტალ შარმი“ მუდმივად ორიენტირებულია მომხმარებლის კმაყოფილებაზე, პირადად მე, უკვე დამოკიდებული ვარ მათზე და აქაურობა ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ეს არის ადგილი, სადაც კარგად იციან, თუ რა მჭირდება და ზუსტად იმ მომსახურებას მთავაზობენ, რომელიც ჩემთვის იქნება საუკეთესო.

ნინო ნიშნიანიძე: ნუკას ჩაუტარდა RF ლიფტინგი - ებრაული ფირმის - „Viora“-ს აპარატ „Reaction“-ით, რომელიც უზრუნველყოფს კანში კოლაგენისა და ელასტინის სინთეზს, ლიფტინგს, კანის ზედა შრის გაახლებას, გაუმჯობესებას, გამკვრივებას და სხეულის კორექციას.

აპარატი ასევე ეფექტურად ებრძვის ცელულიტსა და ე.წ „ფორთოხლის კანს“ . პროცედურების ჩატარება საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია 18 წლიდან.

„ტოტალ შარმის“ ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა, მომხმარებლის მიმართ ინდივიდუალური დამოკიდებულებაა. პაციენტს, დეტალური გამოკვლევის შედეგად ენიშნება მისი ასაკისა და მდგომარეობისათვის შესაფერისი პროცედურა თუ მკურნალობა.

Total Charm

პლასტიკური,ესთეტიკური ქირურგიისა და კოსმეტოლოგიის კლინიკა



ლიკა კვარაცხელია: არჩევანი თავიდანვე „ტოტალ შარმზე“ შევაჩერე. დატვირთული რეჟიმიდან გამომდინარე, მიჭირს ყოველდღიურად მაკიაჟის კეთება. „ტოტალ შარმის” პროცედურების მეშვეობით, ეს არც მჭირდება, რადგან ჩემი კანი ინარჩუნებს ბუნებრივ სტრუქტურასა და ფერს, სახლიდან გასული, ყოველგვარი მაკიაჟის გარეშე, თამამად მივდივარ ნებისმიერ შეხვედრაზე. პაციენტსა და კლინიკასთან დამოკიდებულებაში, მთავარი ნდობაა. აქ არ არსებობს „გადაჭარბებული პროცედურები“, რაც ხშირად არაბუნებრივ ელფერს სძენს ქალებს. „ტოტალ შარმში“ ზუსტად იციან, თუ რა სჭირდება პაციენტს და ამიტომაც მათი კლიენტები ყოველთვის მოვლილები, ლამაზები და რაც მთავარია, ბუნებრივები არიან.

დალი ხორავა: ლიკას ჩაუტარდა პროფესიონალური მოვლის პროცედურა. მისთვის შევარჩიეთ ღრმა დატენიანების პროგრამა, რომელშიც სხვა და სხვა ნიღბებთან და კრემებთან ერთად შედის მეზოკოქტეილის კანქვეშ შეყვანის ეტაპი არაინვაზიური აპარატით.

„ტოტალ შარმი“ თბილისელი მომხმარებლისთვის უკვე ძალიან კარგად ნაცნობი ბრენდია, აქაურობის მუდმივი კლიენტი არაერთი ცნობილი სახეა, თუმცა „ტოტალ შარმი“ ამსხვრევს სტერეოტიბებს იმის შესახებ, რომ სილამაზე, პლასტიკური ქირურგია და თავის მოვლა მხოლოდ „ვარსკვლავების“ ხვედრია. ამ კლინიკის კარი ნებისმიერი მსურველისთვის ღიაა! გახსოვდეთ, საკუთარი თავის მოვლა და პატივისცემა-ნებისმიერი საქმიანობის წარმატების საწინდარია!

თბილისი | ვ.ორბელიანის ქ.18 | ტელ:+995 322 18 18 14 | +995 322 92 30 71 | facebook: Total Charm Tbilisi

ბათუმი | ვ.გორგასლის ქ.15 | ტელ:+995 422 29 29 19 | +995 422 22 88 22 | facebook: Total Charm Batumi

Amat Sarle

Dark Berry Lips!

Anteprima A/W 2014

2014 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციებში საკმაოდ აქტუალურად არის წარმოდგენილი მუქი კენკრისფერი ტუჩსაცხი.
ასეთი მუქი ტონალობები, უმეტესწილად, სადა თვალს და ღია ფერის კანს ამშვენებს.

1

2

3

4

Colorful Flash

5


Altuzarra A/W 2014

Christian Dior A/W 2014

Kenzo A/W 2014

6

7

8

თვალის ფერადი ფანქარი და ლაინერი საკმაოდ ბევრმა დიზაინერმა წარმოადგინა ამ სეზონზე. ეცადეთ აქცენტი მკვეთრ ფერებზე შეაჩეროთ.

1.Guerlain 2.Chanel 3.Nars 4.MAC
5. Sisley 6.Loreal 7. Sisley 8.Clinique



Max Mara A/W 2014

თქვენი სილამაზე ჩვენი პროფესიაა

Ваша красота - наша профессия

PODIUM
BEAUTY SALON & SHOP

თბილისი | ვეკუას 3 | GTC , shop- salon podium , 2989668 / 2104008
თბილისი | ქავთარაძის 1, Goodwill სალონი პოდიუმი 2104007 | 2514708
თბილისი | ჭავჭავაძის 2 | shop-salon podium 2290187 / 2104009;



გრძელი და ხშირი თმა სილამაზისა და ქალურობის უდაო სიმბოლოა. მათთვის ვისაც სურს ჰქონდეს გრძელი და ლამაზი თმა, სალონი „**პოდიუმი**“ დღეისათვის ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად ტექნოლოგიას, **თმის დაგრძელებას** სთავაზობს. **თმის დაგრძელების** რამდენიმე მეთოდი არსებობს, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ე. წ იაპონური ტექნოლოგიაა. გამჭრიახი იაპონელების მიერ გამოგონილი მეთოდი გულისხმობს - კერატინის შიგთავსიან მეტალოკერამიკის მიკროსკოპული რგოლების გამოყენებით, ბუნებრივი თმისა და დაგრძელებული თმის გადაბმას. დაგრძელების პროცესის სისწრაფისა და თმის დაზიანების მინიმუმადე დაყვანის გამო, დღეს ეს მეთოდი ძალიან პოპულარულია.

სალონ „**პოდიუმის**“ სტილისტები თქვენი სურვილის გათვალისწინებით დაგეხმარებიან მეთოდიკის შერჩევაში და დასაგრძელებლად ისეთი თმის მასალას შემოგთავაზებენ, რომელიც მაქსიმალურად იქნება მიახლოებული თქვენი თმის სტრუქტურასთან. დასაგრძელებლად გამოიყენება მხოლოდ ბუნებრივი, შეუღებავი ბავშვის თმები. „**პოდიუმის**“ თანამშრომლები დაგრძელების პროცედურას სასიამოვნო პროცესად აქცევენ და ამავდროულად დაზოგავენ თქვენს დროს.

ენდეთ პროფესიონალებს!

Длинные и густые волосы - неоспоримый признак красоты и женственности.

Наращивание волос - одна из наиболее востребованных на сегодня технологий удлинения волос. Существует несколько методик **наращивания**. Одна из самых популярных - так называемая японская технология. Придуманный изобретательными японцами, этот метод предполагает использование микроскопических металлокерамических колечек с кератиновой вставкой в месте крепления волос с наращенными прядями. Метод завоевал популярность благодаря быстроте самой процедуры и сходящего на минимум повреждения волос.

Стилисты салона “**Подиум**” помогут Вам и в выборе методики, исходя из Ваших пожеланий, и подберут пряди, максимально приближённые к структуре Ваших волос, используя только натуральные, неокрашенные детские волосы, а сам процесс **наращивания** превратят в приятную процедуру, максимально экономя Ваше время.

Доверьтесь профессионалам!

Light & Shade

Givenchy A/W 2014

1

2

3

კანის სწორი დაჩრდილვა
და ყვრიმალების გამოკვეთა
აუცილებელია სწორი ეფექტის
შესაქმნელად.

4

Eye Accents

5

6

7

Lanvin A/W 2014

3.1 Phillip Lim A/W 2014

A natural look

ამ სეზონზე სადა და ნატურალური
მაკიაჟი საკმაოდ ტენდენციურია.

8

9

10

11

1.Smashbox 2. Estee Lauder 3. Bobbi Brown
4. Lancome 5. Givenchy 6. Lashes 7. Chanel 8. MAC
9. MAC 10. Dolce & Gabbana 11. Tom Ford

ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში შპს “ნატალი”
Official representative in Georgia LTD “NATALI”

თბილისი, კოსტავას ქ.76
ტელ.: +995 577 50 70 38 / 032 210 00 05
www.nataliclinic.ge www.d.natali.ge
E-mail.: natali@natali.ge

Beauty Academy Ane Rosh

ANE ROSH-ის საიდუმლო „ANE ROSH-ი ეს არის სილამაზის პატარა სამყარო დიდი პერსპექტივებით“
შორენა ალიბეგაშვილი: *„ვინც ერთხელ მაინც მოხვდება ჩვენთან, ჩვენს მუდმივ მეგობრად რჩება“...*

„ვერ ვიცლი საკუთარი თავისთვის, - ეს სიტყვები ყველა ქალმა უნდა ამოიღოს თავისი ლექსიკონიდან. უბრალოდ უნდა შეიყვარო საკუთარი თავი და დღეში სულ ცოტა 15 წუთი მაინც უნდა დაუთმო. მთავარია თავის სწორად მოვლა ვისწავლოთ, თუ სწორად ვუვლით თავს ამას არც ბევრი დრო სჭირდება და არც ბევრი ფული,“ - ამბობს ესთეტიკური ცენტრის Ane Rosh-ის დამაარსებელი და გენ. დირექტორი შორენა ალიბეგაშვილი.
ქალებისთვის საინტერესო რჩევებს ამ სფეროში მრავალწლიანი გამოცდილება და პროფესიონალიზმი უდევს საფუძვლად. ეს აისახება კიდეც იმ გარემოზე, რომელსაც შორენა ალიბეგაშვილმა თავადვე ჩაუყარა საფუძველი.

დღეს საქართველოში უამრავი კოსმეტოლოგიური (ესთეტიკური) ცენტრი არსებობს. თუმცა, იმას რაც Aნე ღოსჰ-ში დაგხვდებათ, სხვაგან ნამდვილად ვერ იპოვით. სანამ თავიანთი საქმის პროფესიონალებს გაეცნობით და უმაღლესი დონის აღჭურვილობის ჯადოსნურ ეფექტს საკუთარ თავზე გამოცდით ღიმილისა და პოზიტიური განწყობის „ტესტირების“ გავლა ფოიეში გიწევთ. სადაც მშვიდი და კომფორტული გარემოთი გაოცებენ. ეს თბილი შეხვედრა და დადებითი ემოცია გენ. დირექტორის სიტყვებს ამართლებს: „ვინც ერთხელ მაინც მოხვდება ჩვენთან, ჩვენს მუდმივ მეგობრად რჩება“.

შორენა ალიბეგაშვილი: „როდესაც ამ ცენტრის გახსნა გადავწყვიტე, მიზნად ერთადერთი რამ დავისახე, ჩემი ქვეყნის ქალბატონებისა და ბატონებისთვის მინდოდა მიმეწოდებინა პროფესიონალური და კონცეპტუალურად სწორად დალაგებული მოვლა. მასში გაერთიანებულია კლასიკური, ტრადიციული, ინვაზიური მეთოდიკები.
ჩვენ ვცდილობთ თითოეულ პაციენტს მივუდგეთ, ისე როგორც საკუთარ თავს. სხვა კლინიკებისგან განსხვავებით ჩვენს პაციენტებს ზედმეტი არაფერი ენიშნებათ. ვიწყებთ ღრმა პრობლემების გამოკვლევით და არა ზედაპირულით. არ არის ისე, როცა მიხვალ, იტყვი ნაოჭი მაქვსო და იმ წამსვე გელი გჭირდებაო გეუბნებიან. გელამდე ჩვენ გვაქვს იმდენი საშუალება, რომ კანი მივიყვანოთ იმ მდგომარეობამდე, რომ საერთოდ არ დასჭირდეს ქალბატონს კარდინალური მიდგომა და მსუბუქად დააღწიოს თავი ამ პრობლემას.

Ane Rosh-ში თქვენ მიიღებთ ყველა კითხვაზე პასუხს. მოგემსახურებათ: დერმატოლოგი, კოსმეტოლოგები, მასაჟისტი, რეფლესოლოგი, ყველანი ერთად მუშაობენ ჯაჭვური პრინციპით და სპეციალურად შემუშავებული სტრატეგიით.

-რეფლესოლოგია, ეს არის ახალი მიდგომა?

-არა, ეს არის ძალიან ძველი მიმართულება, თუმცა საქართველოსთვის სიახლეა. ეს არის ზონალური თერაპია. ძალიან დიდი ინტერესი გამიწვია ზუსტად ამ მეცნიერულმა მიდგომამ, რაც ჩვენი ბრენდის საიდუმლოა. სწორედ ამის გამო Ane Rosh-ის გახსნასთან დაკავშირებით ორი სერიოზული შემოთავაზებაც მივიღეთ უცხოეთიდან.

კოსმეტოლოგიური (ესთეტიკური) ცენტრის მომსახურება:

ესთეტიკური პრობლემები, წონის და სხეულის კორექცია, აბსოლუტურად ყველაფერი რაც საჭიროა კანის, ტანის, თმის მოვლისთვის, სახის გაწმენდა ყველანაირი მეთოდით, მიკროდერმააბრაზია, კაპილარების, პიგმენტური ლაქების, სტრიის, სახის კუნთების სტიმულაცია, (RF მონოპოლარული და ბიპოლარული), ტატუს მოცილება, კრიოლიპოლიზი, კავიტაცია, ლიმფოდრენაჟი,(IPL)გაახალგაზრდავება, აკნეს სპეცპროგრამა, ოქსიგენიზაცია, არაინვაზიური მეზო ან ინექციური თერაპიაუმტკივნეულოდ(3D), თმის ცვენის პროგრამა(სპეცპროგრამა), ორმაგი ღაბაბის მოცილება, სახის მოდელირება, ინვაზიური თერაპია, პერმანენტული მაკიაჟი, ტატუ.

ჩვენ ძალიან პრეტენზიულად ვუდგებით საკუთარ თავს და ვაკმაყოფილებთ საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნილებებს. ამიტომ ჩვენ გვეამაყება ჩვენი სლოგანი **Science of Beauty & Comfort,** რადგან ვამართლებთ მას. ასევე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ Ane Rosh-ი ეს არის სილამაზის პატარა სამყარო დიდი პერსპექტივებით.



ზ. ფალიაშვილის ქ. № 98

Plaits Please

Alexander McQueen A/W 2014

Emilio Pucci A/W 2014


Creatures of the Wind A/W 2014

Vera Wang A/W 2014


Gucci A/W 2014

Alexander Wang A/W 2014

Deep Side Part


Bottega Veneta A/W 2014

Balmain A/W 2014

Fendi A/W 2014

Low Ponytail

fanghi d'alga
GUAM®

LeCORAIL
con Corallina Officinalis

ახალი მარჯნის ხაზი თქვენთვის და თქვენი საყვარელი ადამიანებისათვის

Audrey
შპს. ოდრი

შ.პ.ს. ოდრი , GUAM-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
საქართველო, თბილისი, ქავთარაძის ქ. 21
E-mail: audrey@audrey.ge

1

2

3

4

5

6

7

8

9

10

1. Si by Giorgio Armani
2. Eau de Cashmere by Guerlain
3. Wood Sage & Sea Salt Cologne by Jo Malone
4. NARCISO by Narciso Rodriguez
5. B by Balenciaga
6. Light my fire by Kilian
7. Furiosa by Fendi
8. Girl by Pharrell Williams
9. Daisy dream by Marc Jacobs
10. Black Opium by Yves Saint Laurent

როდის და სად დაფუძნდა კომპანია DESHEL-ი ?

DESHELI ისრაელისა და სფრანგეთის ერთობლივი პროექტია. იგი დაფუძნდა 2008 წელს და გახსნის დღიდან გამორჩეული წარმატებით სარგებლობს, როგორც რეკორდული გაყიდვების მაჩვენებლის მქონე კომპანია. DESHELI -ს მინიჭებული აქვს მსოფლიოს საერთაშორისო ხარისხის ცენტრის სერთიფიკატი და საქმიანობის უფლება I.C.Q.C. სტანდარტებით. კომპანია ყოველდღიურად ფართოვდება, კერძოდ დღეისათვის გახსნილია 500-ზე მეტი ფილიალი მსოფლიოს მასშტაბით. იგი წარმატებულია რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში. ასევე იხსნება წარმომადგენლობები ნიუ-იორკსა და ჰონ-კონგში.

საქართველოს ბაზარზე როდის შემოვიდა ეს კომპანია ?

საქართველოში DESHELI 2013 წლის ნოემბრიდან გამოჩნდა. ამ პერიოდში მან ძალზედ დიდი დაინტერესება გამოიწვია ქართულ ბაზარზე და შედეგად, ერთი წლის თავზე, საქართველოში მისი მომხმარებლების რიცხვმა 4000-ს მიაღწია.

რა თვისებებით გამოირჩევა DESHELI-ს კოსმეტიკა ?

კომპანია DESHELI -ს კოსმეტიკა დამზადებულია "FYTOTIGH" ტექნოლოგიით, რომელიც მრავალწლიანი კვლევების შედეგად შემუშავებულ იქნა ფრანგი და ებრაელი მეცნიერების მიერ. "FYTOTIGH" უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი შეიცავს 4 მცენარის ღეროვან უჯრედებს: ვაშლი, არგანი, ალპური ვარდის ფურცლები და ყურძნის წიპწები. პროდუქციის შემადგენლობაში შედის ასევე პეპტიდები და ბრილიანტის მიკრო პუდრა. ამ უნიკალური კოქტეილისა და ნანო ტექნოლოგიების საშუალებით DESHELI-ს პროდუქციამ ჩაანაცვლა ისეთი სწრაფი და დროებითი ეფექტის მქონე მანიპულაციები, როგორიცაა პლასტიკური ქირურგია, მეზო-თერაპია და ბოტოქსი. რაც მთავარია "FYTOTIGH"-ს ლიდერი თვისებები მდგომარეობს იმაში, რომ შედეგი მიიღება ბუნებრივად მოპოვებული მინერალების მეშვეობით. ზემოთ აღნიშნული ტექნოლოგია დაპატენტებულია "E.L.Erman Cosmetiks Manufacturing LTD" საწარმოს მიერ, რაც იმის მანიშნებელია, რომ მას მსოფლიოში ანალოგი არ ჰყავს. "FYTOTIGH" ტექნოლოგიის შემქმნელებმა გამოაქვეყვენეს კვლევის შედეგები, რომელიც ჩატარდა 200 ქალბატონზე 25-65 წლამდე პოპულაციით. შედეგებიდან ნათლად ჩანს გაუმჯობესების ხარისხი: თმის სტრუქტურა - 83%, თმის ბოლქვები(ძირები) - 67%, ნაოჭების რაოდენობა - 93%, პიგმენტური ლაქები - 70%, კანის ვიზუალური ეფექტი - 95%, კანის სტრუქტურა, ტენიანობა - 98%, კანის ხავერდოვანება - 86% . DESHELI სთავაზობს მომხმარებლებს სახის, თმისა და ტანის სამკურნალო ხასიათის მატარებელ, გამაახალგაზრდავებელ კოსმეტიკას.

რა ასაკობრივ კატეგორიაზეა გათვლილი DESHELI-ს პროდუქცია ?

იმის გათვალისწინებით, რომ პროდუქციას გააჩნია სამკურნალო თვისებები და გამაახალგაზრდავებელი ეფექტი, მისი მოხმარება 25 წლიდან, 65 წლამდეა მიზანშეწონილი. გასათვალისწინებელია მომხმარებლების კონკრეტული, ინდივიდუალური შემთხვევები.

Sam Raan
Spa & Wellness Center

Sam Raan

Spa & Wellness Center

არ ვიცით, როგორ წარმოედგინათ მეზღაპრეებს მათ მიერ აღწერილი სამყარო, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ეს სამყარო ძალიან ახლოს, ჩვენს მეზობლად, ჩვენს ქალაქშია. აქ მოსახვედრად პატარა ლაბირინთის გავლა მოგიწევთ: ჯერ რამდენიმე საფეხურს ჩაივლით, შემდეგ ლიფტი დაბლა ეშვება, ორ ნაბიჯში კი ზუსტად იმას იგრძნობთ, რაც კურდღლის სოროში ჩავარდნილმა ალისამ – ფეხქვეშ თითქოს საყრდენი გამოგეცლებათ და თავისუფალი ვარდნის შემდეგ ზღაპარში, სახელად Sam Raan, აღმოჩნდებით.

Sam Raan, რაც ტაილანდურად „ისიამოვნეს“ ნიშნავს, სპა და გამაჯანსაღებელი ცენტრია. ეს არის ჯანმრთელობასთან და სილამაზესთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა კომპონენტის სინთეზური ერთობლიობა, რაც Sam Raan-ის უნიკალურობის მთავარი მახასიათებელია. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც გამაჯანსაღებელი მასაჟის შემდეგ შეგიძლიათ სტილისტთან გადაინაცვლოთ და შინ სრულიად შეცვლილი, გაცილებით ლაღი, საკუთარ თავში დარწმუნებული და სიცოცხლით სავსე დაბრუნდეთ.

Sam Raan-ის პირველი ფრთა მასაჟის კაბინეტებს უჭირავს. ამ მხრივ მენიუ მრავალფეროვანი და, პრაქტიკულად, სრულყოფილია: ტრადიციული ტაილანდური და შვედური მასაჟი, მასაჟი ცხელი ქვებით, ბალახის ტომსიკებით, ფიტო-არომატული, არომამასაჟი, აშიაცუ, ინდური ტრადიციული აიურვედას რამდენიმე მეთოდი და უამრავი სხვ.

მასაჟის სეანსების შემდეგ სხეულის მოვლის, კანის გამოკვებისა და სრული აღდგენის დრო დგება. ამისთვის კი Sam Raan რამდენიმე ტიპის აბაზანას გთავაზობთ: ბალახების აბაზანა ბუნებრივი სიჯანსაღის აღდგენასა და შენარჩუნებაში გეხმარებათ; რძის აბაზანა ანუ „კლეოპატრა“, კანს ვიტამინებით კვებავს, დერმატოლოგიური დაავადებებისგან იცავს და აახალგაზრდავებს. ღვინის თერაპია სახელად „საფერავი“ ვაზის სამკურნალო და გამაჯანსარებელი თვისებებით გაგაოცებთ, ხოლო გადახვევის პროცედურას, რის დროსაც სხეულს თიხით ან სხვა სპეციალური ნარევით ფარავენ, ანთებითი პროცესების ჩახშობის, დეტოქსიკაციისა და ორგანიზმის სრული სტიმულირების უნარი გააჩნია.

ვტოვებთ არომატულ აბაზანებს და ნამდვილ აღმოსავლურ ზღაპარში ვინაცვლებთ, ზუსტად ისეთში, მხოლოდ ფილმებში რომ გვინახავს. ეს ჰამამია – აღმოსავლური აბანო, სხეულის სისუფთავისა და სულიერი განწმენდის საუკეთესო საშუალება. საუკუნეების განმავლობაში დადასტურდა, რომ ჰამამი ნერვული სისტემის გადატვირთვის მეთოდიცაა, რაც თანამედროვე ცხოვრების ტემპისა და სტრესის პირობებში სასიცოცხლოდ აუცილებელია. და ბოლოს – გახსოვდეთ, რომ ჰამამი მხოლოდ ორთქლის აბანო და ქაფის სიამოვნება არაა, აქ მასაჟს, პილინგსა და სხეულის ნიღბებსაც შემოგთავაზებენ.

აღმოსავლურ აბანოს ტროპიკული შხაპი, უფრო კი წვიმა ცვლის, რისთვისაც პატარა „გამოქვაბულში“ მოგიწევთ გადანაცვლება, ტრადიციული ფინური აბანოს შეგრძნება კი ორიოდე ნაბიჯში შეგიძლიათ. ფინური საუნის სიკეთეების შესახებ ყველამ იცის, ყველაზე გამბედავებს კი აქ ყინულოვანი წყლის გადავლებაც ელით.

Sam Raan-ის ერთ-ერთი სიამაყე ფლოტაციის კაბინეტია. ეს არის მკვდარი ზღვის მარილების კონცენტრირებული წყალხსნარით სავსე აუზი, სადაც გრავიტაციის კანონი ირღვევა და სხეული განტვირთვის საუკეთესო რეჟიმში გადადის. აქ ცნობიერება და ორგანიზმი ერთნაირი დოზით იწმინდება, ტვინი ისვენებს, კუნთები მოდუნებულია და ბუნების კანონებს ბოლომდე ემორჩილება.

სასუნთქი გზების გასუფთავებაგაჯანსაღებისთვის მარილის ოთახში ვინაცვლებთ, სადაც ჰიმალაური მარილით გაჯერებულ ჰაერს ვისუნთქავთ. ეს უნიკალური მეთოდი რესპირატორული დაავადებების, ასთმის, ალერგიის, ბრონქიტისა და კანის ზოგი დაავადების მკურნალობის უტყუარი საშუალებაა.

აქ ფუნქციონირებს Aldo Coppola-ს რიგით მეორე სილამაზის სალონი თბილისში, სადაც სპაში გატარებული სასიამოვნო დღის შემდეგ Aldo Coppola-ს პროფესიონალი სტილისტები იზრუნებენ თქვენს სილამაზეზე. აქვეა სოლარიუმი გარუჯვის მოყვარულებისთვის. Sam Raan-ში ტაილანდური ზეთების კომპანია Pañpuri-ს პროდუქციას იყენებენ, სხეულის მოვლის საშუალებები იტალიურ კომპანია Dibi-ს იარლიყს ატარებს, ხოლო ღვინის თერაპიისთვის Divine-ის პროდუქტია განკუთვნილი.

ახლა კი თავად Sam Raan-ის შესახებ: აქ მთავარი დიასახლისი გენერალური მენეჯერი პაულინა მბონდო გახლავთ. მისი ბოლო პროექტი სასტუმროების ცნობილ ქსელ „კემპინსკის“ კენიის სასტუმრო გახლდათ, სადაც ასევე გენერალური მენეჯერის თანამდებობა ეკავა.

პაულინა მბონდო: *„Sam Raan მათთვისაა განკუთვნილი, ვინც ჯანმ-*

რთელობის, სულიერი სიმშვიდისა და სიმხნევის ფასი იცის, სურს ლამაზად გამოიყურებოდეს, შეინარჩუნოს ახალგაზრდობა და სიცოცხლის ხალისი. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ თითოეულ სტუმარს განსაკუთრებული გარემო შევუქმნათ, საუკეთესო სერვისი შევთავაზოთ და ჩვენი დიდი ოჯახის წევრად ვაქციოთ“.

Sam Raan არ არის მხოლოდ სპა, მას თავისუფლად შეგვიძლია ხელოვნების ნიმუშიც ვუწოდოთ. აზერბაიჯანელმა დიზაინერმა, მეხრიბან მურადოვამ (M Studio) თბილისში ნამდვილი ფენტეზი სამყარო შექმნა. ყველა კაბინეტი, საშხაპე, დერეფნებში გაბნეული დეკორატიული ნივთები, აუზის დიზაინი თუ რთულად შესამჩნევი დეტალებიც კი გემოვნებისა და სილამაზის ეტალონია, რაც აქ მოსულ სტუმარს დამატებით

კომფორტსა და სასიამოვნო გარემოს უქმნის.

Sam Raan ტექნიკურად უმაღლეს დონეზეა აღჭურვილი. მასაჟის კაბინეტებში თავად შეგიძლიათ მუსიკა შეარჩიოთ და სასიამოვნო პროცედურა ჯაზის ან კლასიკური მუსიკის ფონზე ჩაიტაროთ; სრულყოფილია Sam Raan-ის ფიტნეს კლუბიც, სადაც უახლესი სავარჯიშო ტრენაჟორებია თავმოყრილი, ყველა კაბინეტს სტერილიზაციის ინდივიდუალური აპარატურა გააჩნია, ხოლო გასახდელი ოთახები, მათ შორის, VIP გასახდელებიც, კომფორტისა და უსაფრთხოების სრულ გარანტიას იძლევა.

კომფორტულია Sam Raan-ის წევრობაც, რაც არაერთი შეღავათის წინაპირობას იძლევა. მაგალითად, 12-თვიანი სტანდარტული წევრობა 6 ათასი ლარი ღირს, თუმცა სანაცვლოდ შეგიძლიათ მიიღოთ განუსაზღვრელი მომსახურება, ფასდაკლებები, დამატებითი სერვისი, პირადი მწვრთნელის მომსახურება, ადგილი მანქანების სადგომზე და სხვ.

Sam Raan-ის საზეიმო გახსნა 3 ნოემბერს შედგა. თბილისის ფილიალი ჯერჯერობით ერთადერთია, „ფრენჩაიზის" გავრცელება კი ჩვენი ქალაქიდან იგეგმება. ამრიგად სწორედ ჩვენ გვერგო პრივილეგია პირველებმა ვიგემოთ ამ უნიკალური სპა ცენტრის ყველა სიკეთე. ასე რომ, ეწვიეთ Sam Raan-ს და ისიამოვნეთ!

GAYDAMAK

სამკაული თვითდაჯერებულთათვის

ტექსტი - ანანო დოლაბერიძე
ფოტო - საშა პრიშვინ

„გაიდამაკი“ დღეს სამკაულების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბრენდია, რომელიც დებმა – სონია და კატია გაიდამაკებმა შექმნეს. დების ტანდემმა მთელი მსოფლიო დაიპყრო და მათ ორიგინალურ სამკაულს ბევრი ცნობილი ადამიანი ატარებს: მადონა, სელმა ჰაიეკი, მიროსლავა დუმა და ა.შ. სონია გაიდამაკი თბილისის მოდის კვირეულის სტუმარი გახლდათ, რამაც შესაძლებლობა მოგვცა ჩვენი ჟურნალის მკითხველისთვის გაგვეცნო იგი და მოგვესმინა მისი შთაბეჭდილება თბილისის მოდის კვირეულის შესახებ.

როგორც ცნობილია, „გაიდამაკი“ თქვენი და თქვენი დის ერთობლივი ბრენდია. როგორ დაიბადა იდეა და საიდან დაიწყო „გაიდამაკის“ ისტორია?

მე და ჩემი და ერთმანეთისგან რადიკალურად განვსხვავდებით. ის პროფესიით დიზაინერია, მე – ძვირფასი ქვების სპეციალისტი. ერთ დღესაც დავფიქრდი, რომ არ იქნებოდა ურიგო, ერთმანეთისთვის ჩვენი გამოცდილება გაგვეზიარებინა და ერთობლივად რამე შეგვექმნა. დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი ბრენდის წარმატება, ერთობლივი, ყოველდღიური შრომის შედეგია.

თქვენი ბრენდის მსოფლიო ასპარეზზე გამოჩენის მომენტისათვის, ასეთი ტიპის სამკაული სიახლე იყო. ეს ხომ არ გახდა წარმატების საწინდარი?

ჩვენი თვითმიზანი ასეთი მასშტაბის წარმატება სულაც არ იყო. უბრალოდ, საინტერესო და ლამაზი სამკაულის შექმნა გვინდოდა ერთად. ეს პროცესი ძალიან დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა. ესკიზებზე მუშაობის დროს დედამ, რომელიც სამკაულების თაყვანისმცემელია და კარგად ერკვევა ამ სფეროში, გვირჩია, რაიმე საინტერესო და ორიგინალური შეგვექმნა: „კარგია, მაგრამ თქვენ ნამდვილად არ აღმოგიჩენიათ ამერიკა“ – სწორედ დედის ამ სიტყვებმა გვიბიძგა, შეგვექმნა რაიმე განსაკუთრებული. გამოგიტყდებით, დაბრკოლება დიდი იყო, დიზაინი რომელიც შევიმუშავეთ სრულიად ახალი იყო. არც კი ვიცოდით, თუ როგორ, რა გზებით იყო შესაძლებელი ასეთი დიზაინის პროდუქტი გამხდარიყო პოპულარული. თუმცა, გაგვიმართლა და სწორედ

ამ ხელის სამაჯურებმა გახადა ბრენდი „გაიდამაკი“ პოპულარული.

სამკაულების შექმნის პროცესში ფიქრობთ თუ არა ქალის ტიპზე, რომელიც „გაიდამაკის“ მომხარებელი გახდება?

ვფიქრობ, რომ ჩვენი ბრენდი მკვეთრად გამორჩეულია. შესაბამისად, მისი მომხმარებელიც განსაკუთრებული გემოვნების ადამიანია, რომელიც შეძლებს მოიხდინოს ჩვენი სამკაული. „გაიდამაკის“ მომხმარებელი აუცილებლად თავდაჯერებული უნდა იყოს.

თქვენი სამკაულების მომხმარებლებს შორის ბევრი ცნობილი ადამიანია, რაც უდაოდ, აღიარებაა. თქვენი აზრით, რა გახდა თქვენი წარმატების მიზეზი?

ინოვაცია ყოველთვის წარმატების საწინდარია. ჩვენ შევქმენით პროდუქტი, რომლის ანალოგი არ არსებობდა. იდეებთან ერთად, აუცილებელია შრომისმოყვარეობა და ახლობლების გულშემატკივრობა. მადონა იყო ერთ-ერთი პირველი ცნობილი ადამიანი, რომელიც „გაიდამაკის“ მომხმარებელი გახდა.

კოლექციის შექმნის დროს, რა ხდება თქვენი შთაგონების წყარო?

ყველაფერი! ეს შეიძლება იყოს სულელური ამერიკული ტელეგადაცემა, ეკლესიის გუმბათი, ჟურნალის ნებისმიერი გვერდი, უბრალოდ რაიმე მომენტი და რა თქმა უნდა, მოგზაურობა. ძალიან ბევრს ვმოგზაურობთ იმისათვის, რომ უფრო მეტი შევიტყოთ სხვადასხვა ქვეყნის კულტურის შესახებ. ამ სამუშაოს ერთ-ერთი ხიბლი სწორედ ეს არის. ჩვენ არ გვიწევს ოფისში კომპიუტერთან საათობით მუშაობა და დროის ნებისმიერი მონაკვეთი შეიძლება გახდეს ჩვენი კოლექციის შთაგონების წყარო.

რა სიახლეებს უნდა ველოდოთ „გაიდამაკისგან“?

გეგმა ძალიან დიდია. იმხელა შესაძლებლობებს გვაძლევს ცხოვრება, იმდენია კიდევ აღმოსაჩენი, რომ ვხვდები, ჩვენი გზა მხოლოდ ახლა იწყება. ვგეგმავთ პროექტს ზაჰა ჰადიდთან ერთად, რომელიც არაჩვეულებრივი არქიტექტორია, ის მართლაც გენიოსია.

ეს თქვენი პირველი ვიზიტია საქართველოში?

კი, ეს ჩემი პირველი ვიზიტია საქართველოში, თუმცა არ დაგიმალავთ, ნამდვილად არ ვგრძნობ თავს უცხოდ. ძალიან ბევრი ქართველი მეგობარი მყავს, ფაქტობრივად, ქართველებთან ერთად გავიზარდე. ძალიან სტუმართმოყვარე ერი ხართ. არ შემიძლია არ აღვნიშნო მცხეთა, აღფრთოვანებული ვარ ამ ქალაქის სილამაზით. ერთი სული მაქვს როდის დავბრუნდები შინ, რომ ჩემს დას მოვუყვე ამ ყველაფრის შესახებ. შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ.

რა აზრის ხართ ქართული მოდის ინდუსტრიის შესახებ?

გაოცებული ვარ, არ ვიცი, მაგრამ ნამდვილად არ მოველოდი ასეთ მაღალ ხარისხს. ძალიან ბევრი ნიჭიერი დიზაინერი აღმოვაჩინე და ვფიქრობ, მსოფლიომ უნდა გაიცნოს ისინი.

როგორ შეაფასებდით თბილისის მოდის კვირეულს?

ძალიან მომეწონა „დიზაინ ცენტრი“ – ადგილი, სადაც ერთდროულად ეწყობა ჩვენებები, არის „შოურუმი“, ტარდება „მასტერ-კლასები“. ასეთი რამ არც პარიზშია და არც ლონდონში. მოხიბლული ვარ ორგანიზებით. ეს ყველაფერი ძალიან ორიგინალური, საინტერესო და რაც მთავარია, უცხოელი სტუმრებისთვის სასიამოვნოდ გასაცარია. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი ამ ყველაფერს. ის ესთეტიკა, რაც საქართველოში მოდის სფეროში იგრძნობა, თქვენი კულტურისათვის დამახასიათებელი და სრულიად ბუნებრივია. მე ვიცნობ თქვენს კულტურას და ის ჩემთვის უცხო არ არის.

ხომ არ გამოარჩევდით რომელიმე დიზაინერს თბილისის მოდის კვირეულიდან?

რთულია ასე დიზაინერის გამორჩევა, თუმცა გეტყვით, რომ რამდენიმე წლის წინ „ატელიე კიკალას“ დიზაინერი გავიცანი ბაქოში და ის ჩემთვის აღმოჩენა იყო. ასევე მინდა გამოვყო თამუნა ინგოროყვას კოლექცია, რომელიც ძალიან მომეწონა. ვფიქრობ, ქართველი დიზაინერები ნამდვილი პროფესიონალები არიან.

ქართველი დიზაინერების კოლექციების ნახვის შემდეგ,რაიმე იდეა ხომ არ დაიბადა ერთობლივი პროექტის შესახებ?

რა თქმა უნდა. ძალიან ბევრის გაკეთება მინდა უკვე. პირველ რიგში, დიდი სურვილი მაქვს, მოვუყვე ყველას ქართველი დიზაინერების შესახებ, გავუზიარო ხალხს, ჩემს მეგობრებს, აქ მიღებული შთაბეჭდილებები. დარწმუნებული ვარ, თითოეულ მათგანს ელის წარმატება მსოფლიო მოდის ასპარეზზე.

ტანსაცმელი: ATELIER KIKALA
თმა: ბარბარეს Network of beauty salon Natali
მაკიაჟი: ლანა მაჭახელია Image Lab

მომწონს დასავლური იდეების შეხამება აღმოსავლურ ტრადიციებთან

ჯადოსნური არქიტექტურა

2004 წელს ზაჰა ჰადიდი პირველი ქალი-არქიტექტორი აღმოჩნდა, რომელსაც „პრიტზკერის" პრემიის არსებობის 29 წლის მანძილზე ეს მნიშვნელოვანი ჯილდო მიენიჭა.

თანამედროვე არქიტექტურის „მბრწყინავი ვარსკვლავი" – ასეთი შეფასება ერთდროულად სიმბოლურიც არის და ჭეშარიტიც. ჰადიდი არაბულად – „მბრწყინავს" ნიშნავს, ხოლო მისმა ყოფილმა მასწავლებელმა – რემ კოჰასმა მას „საკუთარ ორბიტაზე მყოფი პლანეტა" უწოდა. ზაჰა ჰადიდმა შექმნა საკუთარი, ინდივიდუალური არქიტექტურული ენა, რომელსაც მთელს მსოფლიოში ერთი შეხედვით ცნობენ. მისი სტილი უარყოფს ჩვეულ ფორმებს და სივრცის ჩარჩოებს აფართოვებს. ჰადიდის პროექტები თითქოს სხვა სამყაროს ქმნილებებს გავს – ის უარს ამბობს სწორ კუთხეებსა და საყოველთაოდ დადგენილ სტანდარტებზე, რაც შენობის განსაკუთრებულ გეომეტრიას ქმნის. ეს არის მოწესრიგებული ქაოსისა და პლასტიური მატერიისგან შემდგარი სივრცე, რომლის დამორჩილებას ადამიანი მუდამ ლამობს.

ულვია რახმანოვას ინტერვიუ. ფოტო CORBIS

თითქოს ახლახანს ესწრებოდით ცენტრის საძირკვლის ჩაყრას, ახლა კი ის უკვე სრულად ფუნქციონირებს. როგორ შთაბეჭდილებას გიქმნით თქვენი პროექტის საბოლოო სახე?

მუდამ არსებობს გარკვეული მოლოდინი, თუმცა, სამწუხაროდ, ყოველთვის როდი მართლდება. თუმცა, ამ შემთხვევაში, ჩემის აზრით, შედეგი მართლაც საოცარია. მხედველობაში მაქვს პროექტის დიზაინი. ეს მშენებლობა უპრეცენდენტო ექსპერიმენტი იყო და მიუხედავად კომპლექსის სირთულისა, არაჩვეულებრივი გამოვიდა.

როგორ გაჩნდა ამ რთული პროექტის იდეა?

ჯერ კიდევ ოცი წლის წინ დავიწყეთ სპეციფიური მასშტაბის პროექტების მშენებლობის მეთოდის შემუშავება. გვაინტერესებდა ტოპოგრაფიისა და ლანდშაფტის საკითხები, გეოლოგიური პროცესები. ამ ცენტრის პროექტი, სწორედ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ჩატარებული ექსპერიმენტებისა და კვლევების შედეგია. რა თქმა უნდა, „პლასტიური" არქიტექტურის შესაქმნელად გამოყენებული იყო კომპიუტერიც. ჩანაფიქრი მდგომარეობდა იმაში, რომ ქალაქის ჩვეული იერსახის ფონზე გამოგვეყო ეს შენობა მისი მონოლითური, რბილი მოხაზულობით. იდეა ემყარებოდა სამ პროგრამას, რომლებიც ერთი-მეორესგან გამომდინარეობდა. შესაძლებელია კომპლექსში კულტურული ცენტრის, მუზეუმის და ბიბლიოთეკის ერთად განთავსება. შენობის ცალკე მდგომი სამი ბლოკი მთაგრეხილს წაგავს და პირვანდელ ამოცანას – მახვილ კუთხეებზე უარის თქმას პასუხობს, რაც საბოლოოდ ობიექტის ვიზუალური ბრუნვით გამოიხატება. ის გავს წყალში ჩაძირული აისბერ-

ჰეიდარ ალიევის ცენტრი, ბაქო, აზერბაიჯანი

სავაჭრო-გასართობი კომპლექსი SOHO, პეკინი, ჩინეთი

გის საფუძველს, თუმცა, ხანდახან, აისბერგსაც აქვს მახვილი კუთხეები. გვინდოდა მიგვეღწია ხაზების სრული სირბილისათვის, წყვეტილი სივრცე უწყვეტით შეგვეცვალა.

თქვენს მიერ შექმნილ ცენტრში ხშირად ეწყობა საერთაშორისო კონფერენციები. ზოგიერთ მათგანში თქვენც მიიღეთ მონაწილეობა. იქნებ გაგვიზიაროთ შთაბეჭდილებები.
ყველაფერი ძალიან საინტერესო იყო. როდესაც აქაურობას რამდენიმე წლის შემდეგ დავუბრუნდი, გავოცდი, თუ როგორ შეიცვალა ქალაქის იერსახე, მან უფრო ურბანული სული შეიძინა. ეს იმის ბრალია, რომ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ჩატარებულია დიდი სამუშაო, ბევრი რამ დაპროექტდა და აშენდა.

რით განსხვავდება თქვენი პროექტი სხვა თანამედროვე შენობებისაგან?
ჩვენი პროექტები არ ითვალისწინებს ბლოკებს. ბლოკები საჭიროა საცხოვრებელ სივრცეში. ჩვენი შენობა კი წარმოადგენს ე.წ „ანტიბლოკურ“ არქიტექტურას, რომელიც მეზობელი შენობებისგან განსხვავებით, უფრო კულტუროლოგიურ ხასიათს ატარებს.

რა როლი ითამაშეს პროექტის შესრულებისას გამოთვლითმა ტექნოლოგიებმა?
პროექტი ჯერ კიდევ იმ დროს იყო ჩაფიქრებული, როდესაც კომპიუტერული პროგრამების გამოყენება შეუძლებელი. ძალიან საინტერესოა პროექტში გამოყენებული ციფრული გათვლები, რომლის გარეშეც ვერ მივიღებდით ასეთ გლუვ სილუეტს. მათი მეშვეობით შეიქმნა მთლიანი, უნაკერო კონსტრუქცია და დამზადდა წარმოებაში გაეშვა შესაბამისი მასალები. მიმაჩნია, რომ კომპიუტერულმა გათვლებმა შეგვაძლებინა უზუსტესად შეგვესრულებინა შენობის გარე კონტური. მსგავსი ტიპის შენობის აგება ადრეც იყო შესაძლებელი, თუმცა, ასეთი სიზუსტის მიღწევა წარმოუდგენელი იქნებოდა. მაშინ ეს უბრალოდ შეუძლებელი იყო.
დიდ პროექტებზე მუშაობის გარდა, ზაჰა ჰადიდი ქმნის ინსტალაციებს, თეატრის დეკორაციებს, საგამოფენო და სასცენო სივრცეებს, ინტერიე-

XXI საუკუნის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი, XXI, რომი, იტალია

ტრანსპორტის მუზეუმი Glasgow Riverside, გლაზგო, შოტლანდია

დიდ პროექტებზე მუშაობის გარდა, ზაჰა ჰადიდი ქმნის ინსტალაციებს, თეატრის დეკორაციებს, საგამოფენო და სასტენო სივრცეებს, ინტერიერებს, ფეხსაცმლის დიზაინს, სურათებსა და ნახატებს.

რებს, ფეხსაცმლის დიზაინს, სურათებსა და ნახატებს.

შეიცავს თუ არა თქვენი პროექტი რაიმე განსაკუთრებულ გზავნილს?
მე მწამს, რომ ყოველი პროექტის და, საერთოდ, არქიტექტურის გზავნილი ძალიან მნიშვნელოვანია. მშვენიერია, როდესაც გამოცდილებას ვიძენთ სივრცის ათვისებისაში. და თუ ნახატი მხოლოდ გამოსახულებაა, შენობის აგება – რეალური გამოცდაა. ეს პროექტი ძალზე მნიშვნელოვანი იყო მომდევნო ექსპერიმენტებისთვის...

როგორია თქვენი დამოკიდებულება ისტორიული შენობების დაცვის მიმართ?
მიმაჩნია, რომ ძალზე მნიშვნელოვანია იმ შენობების შენარჩუნება, რომლებიც ნამდვილ ფასეულობას წარმოადგენენ და კარგ მდგომარეობაში არიან. მაგრამ პარალელურად საჭიროა შევქმნათ რაღაც ახალი, რადგან ის, ახალი თაობისა და არსებული ეპოქის სიმბოლოს წარმოადგენს.

დიზაინის პირველ მსოფლიო გამოფენაზე „Design Miami 2005" იგი ნლის საუკეთესო დიზაინერად აღიარეს.

ყველაფერი იცვლება, მათ შორის არქიტექტურაც. თქვენი აზრით, როგორი იქნება ის 25 წლის შემდეგ?
ძნელი სათქმელია. მაგალითად, 30 წლის წინ ადამიანი ვერ წარმოიდგენდა ასეთ რადიკალურ ცვლილებებს. 60-იან წლებში, ტრადიციული შენობებიდან მოდერნზე გადასვლა, ძალიან ამაღელვებელი იყო. წარსულში ყველა იდეას ვერ განახორციელებდი და როდესაც არქიტექტორად დავიწყე მუშაობა, მიმაჩნდა, რომ მრავალი მოდერნისტული პროექტის განხორციელება, პრინციპში შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა, არქიტექტურული მოდერნიზმის განვითარება არ შეჩერებულა. კვლევები გრძელდება და ცხადია, რომ ის რაც დღეს გვაღელვებს და პრობლემად მიგვაჩნია, მომავალში მარტივად მოგვარდება.

რა პროექტებს ახორციელებთ ერაყში?
ბაღდადში ვაგებთ ცენტრალური ბანკის შენობას. შესაძლოა, სხვა პროექტებიც განვახორციელოთ. არ არის აუცილებელი გრანდიოზული ნაგებობები. შესაძლოა ეს იყოს უბრალო იდეები იმის შესახებ, თუ როგორ აღვადგინოთ ქალაქი...

როგორ აღიქვამთ ბაქოს არქიტექტურას?
ძალიან მომწონს. განსაკუთრებული შთაბეჭდილება შენობების განათებამ დატოვა – ასეთ რამეს ხშირად ვერ შეხვდებით. ამ განათების წყალობით, ისინი სულ სხვაგვარად გამოიყურებიან. ბაქოში კარგად ერწყმის ერთმანეთს არქიტექტურის სხვადასხვა პერიოდი: საბჭოთამდელი და პოსტსაბჭოთა, საბჭოთა კონსტრუქტივიზმი. განსაკუთრებით მაინტერესებს კონსტრუქტივიზმი, ეს თემა ძალიან ახლოა ჩემთან. მომწონს დასავლური იდეების შეხამება აღმოსავლურ ტრადიციებთან.

Freude
durch
Schmuck

მოდის ილუსტრაციები ინსტაგრამის ეპოქაში

ტექსტი - ანა მაყაშვილი

ალბათ რთული შესამჩნევი არ უნდა იყოს, რომ ჩვენი დროის ერთ-ერთი გამოკვეთილი მახასიათებელი სურათების და ზოგადად ვიზუალური გამოსახულებების სიჭარბეა ან როგორც ამ წერილის რესპონდენტმა თქვა – ,,სურათების ცუნამი".

ტექნოლოგიების განვითარებისა და მათი მოხმარების გამარტივების კვალდაკვალ, ყოველდღიურად ალბათ იმაზე გაცილებით მეტი ვიზუალური გამოსახულება იქმნება და ვრცელდება მსოფლიო ქსელში, რამდენი ადამიანიც არსებობს ამქვეყნად. თუნდაც ინსტაგრამი „ავიღოთ – ჭკვიანი ტელეფონების აპლიკაცია, რომელიც თავის მილიონობით მომხმარებელს უმარტივეს საშუალებას აძლევს, თავი ფოტოგრაფებად ან სუპერ-მოდელებად იგრძნონ (ალბათ მართალი იყო პოპ-არტის მოწინავე ფიგურა, ენდი უორჰოლი, როცა 1968 წელს განაცხადა, მომავალში 15 წუთით ყველა პოპულარული იქნებაო).

ცხადია, „სურათების ცუნამი" იმას გულისხმობს, რომ თვალისთვის და ტვინისთვის სასიამოვნოზე მეტად, ყოველდღიურად უამრავ

ვიზუალურ ნაგავთან გვიწევს შეჯახება. და იმასაც გულისხმობს, რომ ეს გარემოება პროფესიონალური ფოტოგრაფიისთვის ერთგვარ გამოწვევად იქცა, მათ შორის მოდის ფოტოგრაფიისთვისაც, რომელმაც ფოტოგრაფიის ჯუნგლებში გზა უნდა გაიკაფოს და ვიზუალურ შოკებსა თუ სიამოვნებებს დაჩვეულ მომხმარებელზე შთაბეჭდილება მოახდინოს.

ცხადია, იყო დრო, როცა ფოტოგრაფებს უფრო მარტივად ჰქონდათ საქმე. ეს, – ამერიკელ მწერალს, ქარლ ჰენეგანს თუ დავესეხებით, – დაახლოებით მაშინ ხდებოდა, როცა ვაშლი (Apple) და მაყვალი (Blackberry) უბრალოდ ხილი იყო, ტვიტი (Tweet) კი ჩიტის ჭიკჭიკი. ფოტაგრაფია ერთ დროს ლამის ფუფუნება იყო, იმდენად, რომ მოდის ჟურნალები ფოტოების ნაცვლად, თითქმის სულ ილუსტრაციებს ბეჭდავდნენ...

ზემოთ ამ წერილის რესპონდენტი ვახსენეთ. ის შტეფან ვაკვიცი გახლავთ – საქართველოში გოეთეს ინსტიტუტის დირექტორი და კულტურული პროგრამების ხელმძღვანელი. სწორედ ზემოთ მოტანილ თემებზე ვისაუბრეთ შტეფანთან, რადგან მისი დედა, მარგოტ ვაკვიცი (1920–1990) ძალიან საინტერესო ილუსტრაციების ავტორია, რომელიც 1940-იან–1950-იან წლებში გერმანულ მოდის ჟურნალებთან თანამშრომლობდა. მეტიც, განათლებით მარგოტი სწორედ მოდის ილუსტრატორი იყო, „რაც დღეს, პრინციპში, აღარც არსებობს, რადგან ახლა ფოტოგრაფიას იყენებენ, მაშინ კი, 40-იანებში, მოდის ჟურნალების 80, ხანდახან 100 პროცენტი ნახატ ილუსტრაციებს ეკავათ. ფოტოგრაფია საკმარისად განვითარებული არ იყო, უფრო ძვირიც ჯდებოდა. ფოტოგრაფია უფრო 1950-იანებიდან დაიწყო." ეს სიტუაცია იმას ნიშნავდა, რომ ამ პროფესიის ადამიანებს დასაქმების და შემოსავლების პერსპექტივები საკმაოდ კარგი ჰქონდათ.

მარგოტს შტუტგარტში, მშობლიურ ქალაქში საქმე მართლაც



{ ცხადია,
იყო დრო,
როცა ფოტოგრაფებს
უფრო მარტივად
ჰქონდათ საქმე }

ბევრი ჰქონდა. სარეკლამო სააგენტოშიც მუშაობდა: აკეთებდა ლოგოებს და ილუსტრაციებს ბეჭდური რეკლამებისთვის, კატალოგებისთვის, პოსტერებისთვის, ღია ბარათებისთვის და ,,საკმაოდ კარგ ფულსაც აკეთებდა". სხვათა შორის, შტეფანი აღნიშნავს, რომ 40-იანი-50-იანი წლები გენდერულად გაცილებით თანასწორი პერიოდი იყო, ვიდრე შემდგომი დეკადა: ,,ქალები მაშინ საკმაოდ თავისუფლები იყვნენ და ამის ერთ-ერთი მიზეზი იმას უნდა უკავშირდებოდეს, რომ კაცები უბრალოდ ცოტანი იყვნენ... ომის დროს ქალები ჯარისკაცებად მსახურობდნენ, ქარხნებში მუშაობდნენ... არათანაბარი პერიოდი უფრო 60-იანებში დაიწყო, როცა კაცებმა მუშაობა დაიწყეს და ქალები სახლში დარჩნენ." სახლში დარჩენა მარგოტსაც მოუწია, თუმცა ამაზე ოდნავ მოგვიანებით...

მოდის ილუსტრატორის პროფესიონალური განათლება შტეფანის დედამ ბერლინში, ერთ საინტერესო სასწავლო დაწესებულებაში მიიღო, რომელსაც გერმანულად Lette-Verein ჰქვია: ,,სკოლა მხოლოდ ქალებისთვის იყო. ერთი პოლიტიკოსის და ასე ვთქვათ, სოციალური რეფორმატორის იდეების საფუძველზე დაარსდა. მას მიაჩნდა, რომ ქალებს უნდა ჰქონოდათ დასაქმების და ფულის შოვნის საშუალება, განსაკუთრებით უქმრო ქალებს. ამისთვის კი, მისი აზრით, მთავარი განათლება იყო. იქ შეგეძლო გესწავლა და გამოსულიყავი, ვთქვათ, მდივანი, ფოტოგრაფი, იგივე მოდის ილუსტრატორი. სკოლაში საკმაოდ სერიოზული ხალხიც ასწავლიდა."

მარგოტი შტუტგარტიდან ბერლინში, Lette-Verein-ში სასწავლებლად 1936 წელს, 16 წლის ასაკში გადავიდა და სამი წელი ისწავლა. შემდეგ ომი დაიწყო და არა მარტო ცალკეული ადამიანების ცხოვრება, არამედ მთელი მსოფლიო დააყენა თავდაყირა. მარგოტი შტუტგარტში დაბრუნდა და სწორედ მაშინ დაიწყო სარეკლამო სააგენტოში მუშაობა. მერე უკვე გერმანია ომს აგებდა, ქალები ჯარისკაცებს ეხმარებოდნენ, მათ შორის მარგოტის სამი დაც, რომლებიც ჩრდილო გერმანიის სხვადასხვა ადგილას, ბარაკებში, ჯარისკაცებთან გაემგზავრნენ. 1944 წელი იდგა. მარგოტი კვლავ თავის სფეროში მუშაობდა. ამერიკულ და ბრიტანულ საჰაერო ძალებს ჰქონდათ ერთი ასეთი ოპერაცია, სახელად Chatta-

nooga Choo Choo („მზიური ველის სერენადისთვის" დაწერილ ამავე სახელწოდების სიმღერაში ნუ აგერევათ). ოპერაციის არსი დაახლოებით იმაში მდგომარეობდა, რომ თვითმფრინავებიდან ბომბები უნდა დაეშინათ ყველა მოძრავი მატარებლისთვის სამხრეთ გერმანიაში. ერთ-ერთ ასეთ მატარებელში მარგოტი იჯდა. მარჯვენა მხარი ისე დაუზიანდა, რომ ამპუტაციას უპირებდნენ. წელიწად-ნახევარი, პრაქტიკულად, ხეიბარი იყო. „ერთხელ ვნახე უტანსაცმლოდ და შოკში ჩავვარდი. მართლაც ყოვლად საზარელი სანახაობა იყო." – იხსენებს შტეფანი.

საავადმყოფოდან რომ გამოვიდა, ომი უკვე დამთავრებული იყო. „თუ არ ვცდები, ხატვის უნარის აღდგენის მიზნით, ბაბუაჩემმა, რომელიც მდიდარი კაცი და ნაცისტი იყო (ისეთი ცუდი ნაცისტი, რომ ამერიკელებმა ნახევარი წლით საკოცენტრაციო ბანაკშიც კი მოათავსეს), დედა ორი სემესტრით ნიურნბერგში, ხელოვნების აკადემიაში გაუშვა. იქაურობა სულ დაბომბილი იყო და აკადემია მონასტერში იყო განთავსებული." სწორედ იქ მიიღო მარგოტმა ორი სემესტრის მანძილზე უკვე კლასიკური განათლება.

რადგან ნაციზმი ვახსენეთ, აქვე იმასაც გეტყვით, რომ შტეფანის აზრით, გავრცელებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ნაციზმის დროს მოდა საერთოდ არ მომკვდარა. „იყო მოდა და ძალიან ინტერნაციონალურიც. მოდა ვერც კომუნიზმმა მოკლა და ვერც ნაციზმმა." ამ მოსაზრების სასარგებლოდ ალბათ ისიც შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ ნაცისტურ შშ-ს უნიფორმებს განთქმული Hugo Boss-ი უკერავდა.

დავუბრუნდეთ მარგოტს. ასე იყო თუ ისე, მარგოტმა ხატვის უნარი აღიდგინა. დადგა 1950-იანები და ისიც დაუბრუნდა თავის საქმიანობას. შემდეგ მის ცხოვრებაში ამერიკის ეპიზოდი იყო, სადაც შტეფანთან ერთად თითქმის ორი წლით გაემზავრა – ნიუ იორკში და ინდიანას შტატში, ევანსვილში, სადაც იმ დროს შტეფანის დეიდა ცხოვრობდა. შტეფანს კარგად არ ახსოვს გამგზავრების მიზეზები თუ მიზნები („ცოტა ალბათ უცნაური იყო, მამაჩემის გარეშე რომ წავიდა"), თუმცა, თუ ჯონ ლენონის ციტატას მოვიშველიებთ, ეს ალბათ უფრო გასაგები გახდება: „ნიუ იორკი ისაა, რაც პარიზი იყო 20-იან წლებში"... მოკლედ, მარგოტისთვის ეს ალბათ მეტ შესაძლებლობებს, მეტ წარმატებას უკავშირდებოდა. „თანაც ეს ის დრო იყო, როცა ენდი უორჰოლი იქ უკვე ერთგვარი მოდის დიზაინერი ხდებოდა. უორჰოლი, ფაქტობრივად, მოდის ილუსტრაციებს აკეთებდა – მოდასა და ხელოვნებას შორის ხიდს დებდა."

სხვათა შორის, მოდის ილუსტრაციები, გარკვეულწილად, ბევრად უფრო ახლოა ხელოვნებასთან, ვიდრე მოდის ფოტოგრაფია – უფრო მეტ შემოქმედებით თავისუფლებას იძლევა. ფოტოგრაფ გურამ წიბახაშვილის თქმის არ იყოს, მოდის ფოტოგრაფია ძალიანაა დამოკიდებული არსებულ პროდუქტზე (ტანსაცმელზე, ამ შემთხვევაში), ილუსტრაციაში კი პირიქით – მხატვრის სტილი უფრო განსაზღვრავს საბოლოო პროდუქტს, ვიდრე პროდუქტი ნამუშევარს. ალბათ ამიტომაც უწევს მოდის ფოტოგრაფიას (როგორც თვითონ მოდას) შთაგონების ძიება ყველგან (ქუჩიდან დაწყებული მაღალი ხელოვნებით დამთავრებული). „მოდის ფოტოგრაფიამ თავი ამოწურა," – ამბობს შტეფანი, – „რა არ გადაიღეს... ნახევრად-პორნოგრაფიული ფოტოები, მოდელები, რომლებიც გვანან ჰეროინზე დამოკიდებულებს ან დედოფლებს..."

ერთი სიტყვით, როგორც ხელოვნების ყველა სფერო დღეს, მოდის ინდუსტრიაც ახალ ფორმებს ეძებს და ხშირად ამ ძიებას ხელოვანები ფესვებთან მიჰყავს. ამიტომ, არაა გასაკვირი, ახლო მომავალში მოდის გამოცემებში ფოტოგრაფია რაღაც დოზით ილუსტრაციებმა რომ ჩაანაცვლოს. და მართლაც – თუ გალერეა „კონტეინერში", 8

მხატვრის სტილი უფრო განსაზღვარვს საბოლოო პროდუქტს, ვიდრე პროდუქტი ნამუშევარს.

დეკემბერს გახსნილ გამოფენაზე მარგოტის ნამუშევრები არ გინახავთ, ამ ჟურნალის გვერდებზე მაინც შეგიძლიათ დაათვალიეროთ და ნახოთ, როგორ თანამედროვედ გამოიყურებიან ისინი.

სამწუხაროდ, მარგოტს ამერიკაში საქმე არ აეწყო, მეტიც – გერმანიაში დაბრუნებული, საქმეს მთლიანად შეეშვა. მაშინ შტეფანი 8-9 წლის იქნებოდა. – „მამაჩემმა გოეთეს ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა. მისი მხარდაჭერა ალბათ დედას თავის საქმეში დიდად არც ჰქონია. მოკლედ, საქმიანობა მთლიანად შეწყვიტა. აღარ ხატავდა. და ამან ძალიან დაასევდიანა, ბევრს ავადმყოფობდა. დეპრესია ჰქონდა. მშრომელი ქალი იყო და უცებ ასე, სახლში დაჯდა. არადა სძულდა მზარეულობა, მგონი, შვილების მოვლაც არ იყო მთლად მისი [შტეფანს და ჰყავს]. ზოგადად, რთული ადამიანი იყო, არასტაბილური ხასიათით."

მარგოტის სადღაც ასი ნამუშევარი დღეს შტეფანს აქვს, „მამაჩემსაც კიდევ სადღაც ასი ექნება". დედა მის ცხოვრებაში ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანია. „მისი დამსახურებაა, ვიზუალურ ხელოვნებაში რომ ძლიერი ინტერესი მაქვს." – ამბობს ხელოვნების კოლექციონერი შტეფანი. – „მაგრამ თავად არ გავყევი ხელოვნებას. შეიძლება, იმიტომ რომ, ეს ჩემთვის ტაბუსავით იყო. ჩემი შვილია ვიზუალური არტისტი. მიუნხენის აკადემიაში სწავლობს." სამაგიეროდ, შტეფანი მწერალია. მის 2014 წელს გამოცემულ წიგნს, მაგალითად, ასე ჰქვია: „სამყაროს დავიწყებული შუაგული – თბილისს, ბაქოსა და ერევანს შორის გზაზე".

და ბოლოს, კვლავ ვიზუალური გამოსახულებების სამყაროს რომ დავუბრუნდეთ: როგორც ამბობენ, ერთი სურათი ათას სიტყვას უდრის. ამიტომ, დაათვალიერეთ მარგოტ ვაკვიცის ნამუშევრები. ინსტაგრამის ეპოქაში ისინი არავის დატოვებს გულგრილს – არც მოდის და არც ზოგადად ხელოვნების მოყვარულებს.

Fashion House Anastasia

მოდის სახლი Fashion House Anastasia-ს დამფუძნებელი საქართველოს მოდისა და დიზაინის ასოციაციის წევრი, ახალგაზრდა დიზაინერი - ანასტასია ზაზაძეა.
თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, ანასტასიამ სწავლა მილანის მარანგონის ინსტიტუტის მაგისტრატურაში განაგრძო Fashion Design Womenswear-ის განხრით. მილანში ყოფნის პერიოდში, ანასტასიას მოუწია ცნობილი ბრენდის, Max Mara-ს ერთ-ერთი ხაზის, Ibues 2013 წლის ზაფხულის კოლექციაზე მუშაობა. თბილისში დაბრუნების შემდეგ, ანასტასიას გაუჩნდა სურვილი და ჯანსაღი ამბიცია იმისა, რომ მიღებული გამოცდილება და განათლება, ქართველი მომხმარებლისთვის გაეზიარებინა. სწორედ ამ მიზნით დააფუძნა მოდის სახლი Fashion House Anastasia, რომელიც მზა ტანსაცმლის კოლექციასა და ასევე ინდივიდუალური შეკვეთით დამზადებულ სამოსს სთავაზობს ნებისმიერ მსურველს. კეკლიძის N 6 - ში მისულ მომხმარებელს, ადგილზე შეუძლია შეარჩიოს მისი გემოვნების შესაბამისი, უმაღლესი ხარისხის ნაჭრებიც.

Simple Elegance

Photo: YVAN RODIC / Apparel: DJABA DIASSAMIDZE





model NATALIA JUGHELI, TATA BREGADZE *Geomodels*
Make-up & hairstyle TATA TKEBUCHAVA *Network of beauty salons "Natali"*

ფრედერიკ ბეგბედერი

ლიტერატურული ანარქისტის აღსარება

ციხის კამერაში გატარებული 36 საათი გახდა მისი ერთ-ერთი ბოლო წიგნის ათვლის წერტილი. მან შანსი არ გაუშვა, რომ თავისი ბიოგრაფიის ეს ფაქტი, ფრანგული კეკლუცობით, კატორღაზე მოხვედრილი რუსი მწერლების ბედ-იღბალისთვის არ შეედარებინა. თავისი საწოლი მან ობლომოვის სარეცელის მემკვიდრედ გამოაცხადა. მისი პორტრეტი წინააღმდეგობრივია. ანარქისტი და რომანტიული ეგოისტი. მარკეტოლოგი და პროვოკატორი, რომელმაც კაცობრიობის ბედნიერება 99 ფრანკად შეაფასა და სამწლიანი ზღვარი დაუდო ადამიანის სიყვარულს. მწერალი, ბესტსელერების ავტორი და დიჯეი, რომელიც საცეკვაო მოედანზე პუბლიკას ახურებს. ღმერთთან მებრძოლი და იმავდროულად მისი მაძიებელი – მწერალი ფრედერიკ ბეგბედერი დღეს ჩვენი რესპოდენტია.

ულვია რახმანოვას ინტერვიუ ორჰან ასლანოვის ფოტო

> „ვფიქრობ, ჩემი წიგნი საპროტესტო მანიფესტია იმის მიმართ, რომ სიყვარული წარმოადგენს ვარგისიანობის ვადის მქონე პროდუქტს“

თავდაპირველად მწერლობით დაიწყეთ, თუმცა ახლა ფილმს იღებთ. ხელოვნების ამ ორი მიმართულებიდან რომელს ანიჭებთ უპირატესობას?
ერთმანეთს ვერ შევადარებ. ეს ორი მიმართულება ძალიან განსხვავებულია ერთმანეთისგან. თუმცა, პირველად ყოველთვის სიტყვა არის. ამიტომაც თვით სცენარზე მუშაობის პროცესში, თქვენ გარკვეულწილად მარტო ხართ წერისას. როდესაც წიგნის დასასრულს აღწევთ, მას წიგნების მაღაზიის თაროზე ათავსებთ, სადაც ის თავის ცხოვრებას აგრძელებს. მეორეს მხრივ, როდესაც თქვენ სცენარს ამთავრებთ – ეს მხოლოდ გრძელი პროცესის დასაწყისია. კინოს სამყარო შეშლილი სამყაროა. მე მხოლოდ ახლახანს შევდგი ფეხი ამ გარემოში, მაგრამ უზარმაზარ სიამოვნებას ვღებულობ მისგან.

რამ გიბიძგათ, რომ სიყვარულზე წეროთ? ნუთუ მართლა გჯერათ, რასაც წერთ, თითქოს სიყვარული მხოლოდ სამ წელს გრძელდება?
იმედი მაქვს, რომ იგი უფრო დიდხანს გრძელდება! თუმცა, ჩვენი საზოგადოების დღევანდელი ცხოვრების წესი ხელს არ უწყობს წყვილებს, სამუდამოდ ერთად იყვნენ. ჩვენ ვცხოვრობთ მომხმარებელთა საზოგადოებაში, გარემოში, რომელიც გვიღვივებს სურვილებს, სიამოვნებას და ჰედონიზმს. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ თანამედროვე საზოგადოებამ ომი გამოუცხადა სიყვარულს. თუმცა, მე მომწონს ადამიანთა უმრავლესობა და იმედი მაქვს, რომ ოდესმე შევხვდები ვინმეს, ვისთანაც შევძლებ სიცოცხლის ბოლომდე დარჩენას. ვფიქრობ, ჩემი წიგნი საპროტესტო მანიფესტია იმისა, რომ სიყვარული წარმოადგენს ვარგისიანობის ვადის მქონე პროდუქტს. იმედი მაქვს, რომ სიყვარული არ იქცევა ასეთ პროდუქტად, მაგრამ ის, როგორც ვითარდება მსოფლიო, მაშინებს. ინტერნეტი, სოციალური ქსელები, თუნდაც მობილური ტელეფონები – ყველაფერი ეს ეხმარება ქმრებს საკუთარი ცოლების მოტყუებაში. ცდუნება ყველგან იმალება. შეიძლება ითქვას, რომ ვინმესთან სამუდამოდ დარჩენის გადაწყვეტილება – რევოლუციური ნაბიჯი და ახალი ტექნოლოგიური სამყაროს ბატონობისთვის წინააღმდეგობის გაწევაა.

თქვენ რეკლამის სამყაროდან დაიწყეთ, შემდეგ კი მწერლობის სამყარომდე ამაღლდით. როგორ მოხდა ეს? და წარმოადგენდა თუ არა მწერლობა ყოველთვის თქვენი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს?
როდესაც პატარა ბიჭი ვიყავი, ჩვეულად მქონდა დღიურის წერა, მწერლები ყოველთვის მხიბლავდნენ. მწერალად გახდომა ჩემი ოცნება იყო. სწორედ ამან მიბიძგა ჟურნალისტიკის გზას დავდგომოდი, შემდეგ კი სარეკლამო ტექსტების შემდგენლის როლიც კარგად მოვირგე. მრავალი წელი დამჭირდა იმისათვის, რომ მიბაძვას შევშვებოდი და წერა დამეწყო. მწერლობა მძიმე ავადმყოფობას გავს, იმიტომ რომ თქვენ გიწევთ ყველაფრის ჩაწერა, რაც თავს გადაგხდებათ. იმის ნაცვლად, რომ იგრძნონ სიცოცხლის მაჯის ცემა და დატკბენ მისით, კალმის მსახურები ცხოვრობენ ისე, თითქოს დატოვეს თავიანთი მიწიერი სხეულები იმისათვის, რომ დააკვირდენ ცხოვრებას. მეც გამუდმებით ვაანალიზებ ყველაფერს, რაც ჩემს გარშემო ხდება, თუმცა ვაკეთებ ამას, რა თქმა უნდა, დიდ წილად ირონიის მოშველიებით. მწერალთა უმრავლესობა არის ამით დაავადებული – ყველანი ცოტა არ იყოს შეშლილები არიან...

რამდენიმე წლის წინ მონაწილეობდით სარეკლამო კამპანიაში The Kooples...
დიახ, და ეს ძალზე სახალისო რამ იყო, რადგან სკოლაში ყველა მახინჯად მთვლიდა. ამიტომ სარეკლამო კამპანიაში The Kooples (ქუჩის ტანსაცმლის ახალგაზრდული ფრანგული მოდური ბრენდი) მონაწილეობა შურისძიების ტკბილ წუთებად მექცა.

თქვენ პარიზში სწავლობდით და ამ ქალაქში უკვე მრავალი წელია ცხოვრობთ. რა გხიბლავთ პარიზულ ცხოვრებაში ყველაზე მეტად?
პარიზი იმით მხიბლავს, რომ ხალხი აქ მხოლოდ სამუშაოზე არ ფიქრობს. მსოფლიოში სულ რამდენიმე ქალაქია, სადაც ადამიანი არა მხოლოდ მუშაობს, არამედ ცხოვრობს კიდეც. სწორედ ასეთია პარიზი. მისგან სრულიად განსხვავებული ქალაქია ნიუ-იორკი – ადგილი, სადაც მხოლოდ სამუშაოზე ფიქრობენ, მუდამ სადღაც გარბიან, საუბრობენ მობილურით, და არასოდეს ყოფნით დრო. პარიზელებიც მუშაობენ, მაგრამ მათ გააჩნიათ ცხოვრებით ტკბობის უნარი.

სხვა რომელი ქალაქი მოგწონთ?
მომწონს რომი, ბარსელონა და სანქტ-პეტერბურგი, მათში არ იგრძნობა დაძაბულობა. ასაკთან ერთად აღმოვაჩინე, რომ არ მიყვარს მუშაობა, სწორედ იმიტომ, რომ ძალზე ბევრს ვმუშაობ, მუდამ რაღაც ჩანაწერებს ვაკეთებ, ვაკვირდები და ვიწერ. ამიტომ, არ მესმის ადამიანების, ვინც საკუთარ ცხოვრებას სწირავენ სამუშაოს.

თუ გაქვთ რაიმე სქემა, რომელსაც მისდევთ, როდესაც ახალი წიგნის იდეა იბადება?
რთულია იმის ახსნა, თუ როგორ იბადება წიგნი. ჯერ რაღაც



აღაგზნებს შენს ცნობისმოყვარეობას, შემდეგ ამ ცნობისმოყვარეობიდან იბადება იდეა, რომელიც შემდგომ შობს წიგნს. მე არ ვარ დისციპლინირებული და არ მივდევ რაიმე პროცედურას. ჩემს შემთხვევაში მიწევს ლოდინი, თუ როდის მეწვევა იდეა. ეს ხანდახან მაშინებს, რადგან ახლა, მაგალითად, არ ვიცი ჩემი მომავალი წიგნის თემა და საერთოდ, იქნება თუ არა ეს მომავალი წიგნი. მკაფიო წესები ჩემთვის არ არსებობს, ასე რომ, მე ნამდვილი Anarchiste de la literature (ფრ. ლიტერატურული ანარქისტი) ვარ!

„Nargis-ის" მკითხველებიც ძალიან ცნობისმოყვარენი არიან! მათ სურთ გაიგონ, როგორია ფრედერიკ ბეგბედერის ტიპიური დღე.

ყოველთვის განსხვავებული. ამ დილით ადრე ავდექი, თუმცა ჩვეულებრივ დიდხანს ძილი მიყვარს. საერთოდ კი ჩემი ცხოვრება საკმაოდ მოსაწყენია. მე ვკითხულობ, ვკითხულობ და კვლავ ვკითხულობ, ვხვდები ადამიანებს და ბევრს ვმოგზაურობ.

აღმოვაჩინე, რომ შთაგონება სწორედ მგზავრობაში მომდის – თვითმფრინავში ან მატარებელში. იგივე მემართება, როდესაც მანქანის საჭესთან ვზივარ ან მოტოციკლს ვმართავ. ყველა ახალგაზრდა დამწყები მწერალს ვურჩევდი: დაიწყეთ მანქანის მართვა! რა თქმა უნდა, მართვას და წერას ერთდროულად ნუ ეცდებით. საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რომ ეს ძალიან მოუხერხებელია (ფრედერიკი სადღეგრძელოს ნიშნად ჭიქას მაღლა წევს).

თუ კითხულობთ თქვენს მიერ დაწერილ წიგნებს?

წიგნის გამოქვეყნებამდე აუცილებლად ვკითხულობ, ხოლო გამოქვეყნების შემდეგ – არასოდეს.

არასოდეს?

არასოდეს, გარდა წიგნისა „სიყვარული სამ წელიწადს ცოცხლობს". მომიწია მისი გადაკითხვა, რადგან სცენარი უნდა დამეწერა. მთლიანად შეცვლა და შესწორება მომინდა. ფილმში

> „ჩემთვის იდეალური ქალი - რაიმე ნაკლის მქონე, ბუნებრივი ქალია. სრულყოფილება მოსაწყენია“

ყველაფრის ახლებურად გაშუქება და მაყურებლისთვის წიგნის ახალი ვერსიის შეთავაზება გადავწყვიტე.

კმაყოფილი თუ იყავით თქვენი ნამუშევრით? თუ იყო მასში ისეთი რამ, რის შეცვლასაც ისურვებდით, ასეთი შესაძლებლობა რომ გქონოდათ?
ყველაფრის შეცვლა მინდოდა! საკუთარი ნაწერის გადაკითხვა 15 წლის შემდეგ ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. ისეთი გრძნობა გაქვს, თითქოს შენს ძველ ფოტოსურათს ათვალიერებ და ნოსტალგია გეუფლება შენი ახალგაზრდობისა და სიშტერის გამო. იმ სისულელისა, როდესაც შენი ახალგაზრდობის გამო, სიყვარულზე განქორწინების შემდეგ საუბრობ.
თქვენი ნაწარმოებების გმირების უმრავლესობას თქვენი თვისებები ახასიათებთ, თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე არიან შექმნილნი. როგორ ხდება შთაგონების კვება პირადი ცხოვრებიდან?
ეს ერთდროულად ადვილიცაა და ძნელიც. თან სახიფათოც, რადგან, თუ ადამიანს არ მოსწონს ჩემი წიგნი, ესე იგი, არც მე მოვწონვარ. ეს კი ტკივილს მანიჭებს. თუმცა არჩევანი არ მაქვს, მე ხომ ჩემი წარმოსახვის შესაძლებლობებით ვარ შეზღუდული. რეალობა ისეთი უცნაური მეჩვენება. საკმარისია მიმოიხედო იგრვლივ. ჩემთვის რეალობა ფიქციაა. მაგალითად, ჩვენს გვერდით მაგიდასთან სამი კაცი ზის (ბრუნდება იმ მაგიდის მიმართულებით). მე ვეკითხები ჩემს თავს: ნეტავ რაზე ლაპარაკობენ? ან მაინტერესებს: რა აქვს ჩანთაში იმ ქალბატონს მეზობელ მაგიდასთან? მართლა არიან ის ორნი შეყვარებულები? ყოველთვის ვუსვამ თავს ასეთ შეკითხვებს.

თქვენი აზრით, როგორ ამჟღავნებენ ადამიანები თავის გრძნობებს, როცა შეყვარებულები არიან? მიგაჩნიათ, თუ არა, რომ შეყვარებულები რაღაც განსხვავებულად იქცევიან?
ამის გათვლა შეუძლებელია, და ამაშია ცხოვრების ხიბლი და ირონია. თქვენ ვერასოდეს გაიგებთ, რას ფიქრობს სინამდვილეში ადამიანი. ყველა ჩართულია თამაშში, როგორც თეატრში, ხანდახან საკუთარ როლს ადამიანი ნამდვილ გრძნობად მიიჩნევს. სიყვარულში ყოველთვის არის საიდუმლო და თქვენ ვერ იქნებით ბოლომდე დარწმუნებული სხვის გრძნობებში. იცით, ვინმემ რომ გამოიგონოს ისეთი მანქანა, რომელიც შეძლებს ადამიანის აზრების წაკითხვას, ცხოვრება აუტანლად მოსაწყენი გახდება. ალბათ, ყველა მოინდომებდა ამ მანქანის შეძენას, მაგრამ ჩვენ რომ ვიცოდეთ ყველას აზრები, ჩვენს იმედგაცრუებას საზღვარი არ ექნება.

რახან სიყვარულზე დავიწყეთ საუბარი, რას ნიშნავს იდეალური ქალი ბატონი ბეგბედერისთვის?
მე რომ იდეალური ქალი შემხვედროდა, მისგან თავქუდმოგლეჯილი გავიქცეოდი. მე მომწონს არასრულყოფილება: სილამაზე არ არის სრულყოფილი, ეს ქვეყანა სრულყოფილი არაა. ამიტომ ჩემთვის ის ქალია უფრო სექსუალური, რომელსაც ნაკლი აქვს. შესაძლოა იგი ცოტა ავადმყოფურად გამოიყურებოდეს, ზედმეტად ხმამაღლა ლაპარაკობდეს ან იცინოდეს. ჩემთვის იდეალური ქალი – რაიმე წუნის მქონე, ბუნებრივი ქალია. სრულყოფილება მოსაწყენია!

თუ გჯერათ ზოდიაქოს ნიშნების?
სიმართლე გითხრათ, არა, უბრალოდ ვიცი, რომ ჩემი ნიშანი ქალწულია. მაგრამ მზად ვარ ვირწმუნო, თუ ვინმე ამაში დამაჯერებს.

რა როლს თამაშობს სულიერება თქვენს ცხოვრებაში?
მე გავიზარდე კათოლიკური რწმენით, ამიტომაცაა, რომ ერთ-ერთი ჩემი წიგნი დაწერილია თითქოსდა მღვდელთან თანაავტორობაში (საუბარია წიგნზე - „მე მწამს – არც მე მწამს“). რელიგია ჩემზე დიდ გავლენას ახდენს, მაგრამ ამავდროულად მე უღმერთო თაობის შვილიცა ვარ. ყველა ჩემი წიგნი ამ პარადოქსზე მეტყველებს: ღმერთის რწმენით გაზრდილი თუ როგორ კარგავ ამ რწმენას და მუდამ ნანობ ღმერთის არარსებობას. ეს არის ჭეშმარიტი მიზეზი ყველა ჩემს მიერ აღწერილი ამბის. მე ვწერ მატერიალისტურ სამყაროში დაკარგულ სულზე და ვთვლი, რომ შეუძლებელია იყო აბსოლუტურად ბედნიერი ტოტალური თავისუფლების პირობებში. მიმაჩ-

ნია, რომ ღვთისგან თავისუფლება ხელს უშლის ადამიანს სიცოცხლის სილამაზის მოპოვებაში.

თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, რომ მეტი სულიერება შეიძინოს თანამედროვე სამყაროში?
ვფიქრობ, ჩვენ სიჩუმე გვჭირდება, თან ყოველდღიურად. სწორედ ამ შესაძლებლობას გვაძლევს ჩვენ ეკლესია. ტაძარში მისვლა გვაძლევს ფიქრის და მოსმენის დროს. დღევანდელ ხმაურიან და გიჟურ ცხოვრების რიტმში ჩვენ ვკარგავთ აზროვნების უნარს. და მგონია, რომ ლიტერატურა გვაძლევს ასეთი სიჩუმის შესაძლებლობას, რადგან კითხვა და წერის პროცესი – თავისებურ მედიტაციას წარმოადგენს.

აშკარაა, რომ სიჩუმეს თქვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს...
მიყვარს „ტაიმ-აუტის“ აღება ჩემს ყოველდღიურ განრიგში, ჩუმი ფიქრითა და ჭვრეტით დასატკბობად. და თქვენ გაქვთ საყვარელი ადგილი, სადაც ამის კეთება გიყვართ? ეს, რა თქმა უნდა, ჩემი საწოლია! ლოგინში მიყვარს ჭამა და ყველაფრის კეთება, რისი გაკეთებაც წოლისას შეიძლება.

როგორი წიგნების კითხვის დროს ღებულობთ უფრო დიდ სიამოვნებას: ტრადიციულად, ქაღალდზე დაბეჭდილის, თუ პლანშეტური კომპიუტერით – ელექტრონულის?
მიყვარს გადაშლილი ფურცლის შრიალი, ქაღალდის სუნი და მომწონს იმ ფაქტის გაცნობიერება, რომ როგორც კი გადაშლი წიგნს, უმალვე შენი ხდება და შენთვის ის ერთადერთია. არც ბიბლიოთეკაში არ არის ორი სრულიად ერთნაირი წიგნი.

თქვენ დააწესეთ პრემიები ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლებისთვის. მოგვიყევით უფრო დაწვრილებით, რატომ დაარქვით მათ „ფლორას პრემია“ და „დე სადის პრემია“?
„ფლორა“ ჰქვია კაფეს (De Flore) სენ-ჟერმენ-დე-პრე-ში, სადაც მიყვარს ყოფნა. ხოლო მეორე პრემია არის ერთი ძალზე თავისუფალი და უჩვეულო პიროვნების – მარკიზ დე სადის – საპატივცემულოდ. მე გადავწყვიტე ამ ჯილდოების დაწესება, რადგან არც ერთ მწერალს, რომელიც მე მომწონს, არასოდეს მიუღია პრემია. რომ იცოდეთ, რა სასიამოვნოა, ახალი თაობის ფრანგი ავტორების წახალისება.

თქვენ ეს ბედნიერებას უნდა განიჭებდეთ...
ეს შესანიშნავი საშუალებაა საკუთარი მიდრეკილებების აღმოსაჩენად და სხვისთვის გასაზიარებლად. წერა – მარტოხელას ხელობაა, მაგრამ ეს მარტოობა შესაძლებელია სხვასაც გაუზიარო.

> „სიყვარულში ყოველთვის არის საიდუმლო და თქვენ ვერ იქნებით ბოლომდე დარწმუნებული სხვის გრძნობებში“

დაგვისახელეთ თქვენი საყვარელი მწერლები.
ოჰ, რომ იცოდეთ, რამდენია! მიყვარს ფრანგი მწერლები, რადგან ფრანგული ჩემი მშობლიური ენაა. მაგრამ აგრეთვე მომწონს ინგლისელი და ამერიკელი ავტორებიც. მათ ყოველთვის ორიგინალში არ ვკითხულობ, თუმცა სელინჯერი და ფიცჯერალდი ინგლისურად მაქვს წაკითხული, რადგან მათი ლექსიკა უნივერსალურია და სავსებით გასაგებად აწვდიან მკითხველს თავის ჩანაფიქრს. წერის სიმარტივე მწერლის უდიდესი ღირსებაა. მე აგრეთვე მომწონს მეცხრამეტე საუკუნის რუსი მწერლები, რომლებიც ე.წ. „რეალისტური რომანის“ სათავეებში იდგნენ.

დაასრულეთ წინადადება: „მწერალი

> „არ შევდივარ „ფეისბუქზე". . . მიყვარს ადამიანთან პირისპირ ცოცხლად საუბარი და არა ვირტუალურად"

არის...“
ჰმმ... მწერალი – ჯადოქარს ჰგავს, როდესაც იგი კარგია. თუ კარგი არაა, იგი უბრალოდ მოსაბეზრებელია! არიან ისეთი მწერლები, რომლებიც არც ისე კარგად წერენ, მაგრამ თქვენ მაინც კითხულობთ მათ ნაწარმოებებს, რადგან იცით, რომ ის, რასაც ისინი ამბობენ – სიმართლეა. ხანდახან მგონია, რომ წიგნები იმისათვის არსებობენ, რომ გამოგვაფხიზლონ. იგივე ეხება ფილმებსაც.

რაკი ისევ ფილმები გავიხსენეთ, რომელია თქვენი საყვარელი რეჟისორი?
მე მომწონს ვუდი ალენი, რადგან მას შეუძლია ერთდროულად გაგაცინოს და აგატიროს. მომწონს მის ფილმში „შუაღამე პარიზში“ წარსულში დაბრუნების იდეა, იმისათვის, რომ ხელოვნების ისეთ დიდ ოსტატებს გაესაუბრო, როგორიცაა ფიცჯერალდი და დალი.

თქვენ ბევრს მოგზაურობთ და ბევრი მეგობარი უნდა გყავდეთ მთელს მსოფლიოში...
დღეს „ფეისბუქზე“ ზოგიერთს სამ ათასამდე მეგობარი ჰყავს, ჩემთვის კი ამდენი მეგობრის ყოლა უბრალოდ შეუძლებელია! მიყვარს ადამიანთან პირისპირ ცოცხლად საუბარი და არა ვირტუალურად.

გაქვთ თუ არა თქვენი გვერდი ან რეგისტრაცია „ფეისბუქზე“?
არ შევდივარ „ფეისბუქზე“, რადგან დროის ტყუილი დაკარგვა მგონია. ყველა ვირტუალური სოციალური ქსელი არის მასებისთვის განკუთვნილი ნარკოტიკი.

გწამთ თუ არა მეგობრობის მამაკაცსა და ქალს შორის?
არა, არ მწამს. ვფიქრობ, იმისათვის, რომ თქვენ ნამდვილი მეგობრები იყოთ, თქვენ უნდა იყოთ გულწრფელნი. ქალთან კი, როგორც მე მგონია, ეს ძნელია, რადგან ხორციელი ცდუნება ყველაფერს ართულებს.

რა ცხოვრებისეულ ფასეულობებს აღიარებთ და თვლით მნიშვნელოვნად ბედნიერების მისაღწევად?
მეც მინდა, ამ კითხვაზე პასუხი მქონდეს! რა თქმა უნდა, სიყვარული ყველაზე მთავარი რამაა ცხოვრებაში. თუ თქვენ სიყვარული არ გაქვთ, თქვენ არაფერი არ გაქვთ. დროც არანაკლებ მნიშვნელოვანია. თუ ანელებთ ცხოვრების ტემპს და სიამოვნებას ღებულობთ მისი ყოველი წამიდან, მაშინ ალბათ თქვენ ბრძენი ხართ. მე არა მაქვს ბედნიერი ცხოვრების რეცეპტი, მაგრამ ვუსურვებდი ყველას: ნუ იჩქარებთ და დაფიქრდით, რა არის ბედნიერება.

ვინმეს თუ მოუცია თქვენთვის საუკეთესო რჩევა?
ერთხელ ფსიქიატრმა კარგი რჩევა მომცა: ისწავლე უარის თქმა. იმდენი ადამიანი გთხოვთ რაღაცას და მხოლოდ თავაზიანობის გამო თქვენ მათ უარს არ ეუბნებით. თუ თქვენ ისწავლით „არა“-ს თქმას, თქვენ კვლავ დაიბრუნებთ საკუთარ ცხოვრებას. ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი დროის და ცხოვრების გაკონტროლება, ყველა ადვილად მისაწვდომ ცდუნებაზე უარის თქმა და სხვისგან დამოუკიდებლად ყოფნა. თუ ისწავლით „არა“-ს თქმას, თქვენ გაიუმჯობესებთ თქვენი ცხოვრების ხარისხს. და როდესაც ვინმეს ეტყვით „ჰო“-ს, ეს ადამიანი მიხვდება, რომ თქვენ მას უპირატესობა მიანიჭეთ. მაგალითად, ხომ შემეძლო „არა“ მეთქვა შეთავაზებაზე და ასეთ სიმპატიურ ქალბატონებთან მაგიდასთან არ გამეტარებინა დღის საათები...

Pioneer



„არა მაქვს ბედნიერი ცხოვრების რეცეპტი, მაგრამ ვუსურვებდი ყველას: ნუ ჩქარობთ და დაფიქრდით, რა არის ბედნიერება.“

ფრედერიკ ბეგბედერი

ბალანჩინის დაკარგული მუზის ძიებაში

ტექსტი - ნანა კობაიძე

ქართული წარმოშობის ამერიკელი ქორეოგრაფი _ ასე მოიხსენიებს მსოფლიო ამერიკული ბალეტის ფუძემდებელს, ჯორჯ ბალანჩინს, თუმცა ჩვენთვის, ის გიორგი ბალანჩივაძეა – საბალეტო ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, ცნობილი კომპოზიტორის, მელიტონ ბალანჩივაძის შვილი და ასევე ცნობილი კომპოზიტორის, ანდრია ბალანჩივაძის ძმა. წელს მისი დაბადებიდან 110 წელი გავიდა. ამ თარიღს მიეძღვნა „დიოგენეს" ახალი გამოცემა. „ბალანჩინი და მისი დაკარგული მუზა" – ასე ეწოდება ამერიკელი მწერლისა და ბალეტის ისტორიკოსის, ელიზაბეტ კენდელის მეხუთე წიგნს, რომელიც აშშ-ში შარშან გამოვიდა და მაესტროს ცხოვრების ადრეული პერიოდის შესახებ მოგვითხრობს.

„ბალანჩინზე არაერთი წიგნია დაწერილი, თუმცა თითქმის ყველა მათგანი ჯორჯის ნაამბობს ეყრდნობა. მე კი მინდოდა უფრო ღრმად ჩამეხედა მის ცხოვრებაში, მკითხველისთვის ბავშვობაზე, მშობლებზე მომეთხრო; მათ ოჯახში დამკვიდრებულ ღირებულებებს ჩავწვდომოდი; ის საშინელება გადმომეცა, რაც ომის პერიოდში გადაიტანა და რის შესახებაც ნაწილობრივ თავად მიამბო" – წერს კენდელი. მან ეს მოახერხა. სხვადასხვა ქვეყნის არქივში წლობით მუშაობას ამაოდ არ ჩაუვლია. ავტორმა უამრავ საინტერესო ინფორმაციას მოუყარა თავი და სქელტანიან ნაშრომში გააერთიანა. მთარგმნელ ხათუნა ბასილაშვილის და გამომცემელ თამარ ლებანიძის აზრით, ეს გამოცემა განსაკუთრებით ახალგაზრდებს დაინტერესებს. წიგნში მოთხრობილი ამბები XX საუკუნის გარიჟრაჟზე იწყება და ბალანჩინის ევროპაში ემიგრაციით (1924 წელი) სრულდება. ვრცლად არის აღწერილი მისი წინაპრების ისტორიაც. ბოლო ნაწილში კი კენდელი ბალანჩინის დადგმების შესახებ საუბრობს.

გიორგი მელიტონ ბალანჩივაძისა და მარია ვასილიევას მეორე შვილი იყო, რომელიც არაოფიციალურ ურთიერთობაში მყოფ წყვილს 1904 წელს შეეძინა. ერთი წლით ადრე გოგონა, თამარი გაჩნდა, გიორგის დაბადებიდან წელიწადნახევარში კი – ანდრია. 9 წლის გიორგი მისი სურვილის საწინააღმდეგოდ პეტერბურგის საბალეტო სასწავლებელში შეიყვანეს. გარეთ დარჩა მისი უფროსი და – თამარი, რომელიც ამ სასწავლებელში მოხვედრაზე კარგა ხანს ოცნებობდა. კომისიამ თამარს უარი უთხრა, მისი ძმის ამაყი გამოხედვა და მიხვრა-მოხვრა კი შეუმჩნეველი არ დარჩენია. ბიჭუნა შემოწმებაზე გაიყვანეს, მეორე დღეს კი დედას მისი დატოვება შეთავაზეს. მარია დაიბნა, რადგან გიორგის სამხედრო კარიერისთვის ამზადებდნენ, ბალეტი ყველაზე ნაკლებად ხიბლავდა. მოგვიანებით ანდრია იხსენებს: „მე მიყვარდა ცეკვა, გიორგის კი ძულდა. თუ ვინმე მასთან ცეკვას ისურვებდა, ტირილს იწყებდა და ხელ-ფეხს იქნევდა, არავითარ შეთხვევაში არ თანხმდებოდა". წარმოიდგინეთ, რა განცდა დაეუფლებოდა ბავშვს ამ ამბის შეტყობისას. ეს სცენა წიგნში ემოციურად ერთ-ერთი ყველაზე მძაფრია – ავტორი დეტალურად აღწერს, როგორ მოწყვიტეს დედის კალთას გიორგი და სრულიად უცხო გარემოში დატოვეს.



პროტესტი იმდენად ძლიერი იყო, რომ სასწავლებლიდან გაიპარა და დეიდას მიადგა, თუმცა საბოლოოდ უკან დააბრუნეს. ბიჭი, რომლისთვისაც ცეკვა სრულიად უცხო და მიუღებელი სამყარო იყო, ბედის ირონიით ამ სამყაროს შუაგულში აღმოჩნდა. საბალეტო სასწავლებელმა მის ცხოვრებაში ძალიან დიდი როლი ითამაშა. სწორედ აქ გაიცნო გოგონა, რომელიც კენდელის აზრით, მის პირველ შემოქმედებით მუზად იქცა.

2000 წელს სანკტ-პეტერბურგში, ვაგანოვას სახელობის აკადემიის მუზეუმში ყოფნისას მწერლის ყურადღება ზეთის საღებავებით შესრულებულმა ნახატმა მიიპყრო: „შავთმიანი მოცეკვავე დამწუხრებული ზის, ხელები კაბაზე აქვს დაწყობილი. მივუახლოვდი და წარწერა ამოვიკითხე: „ლიდია ივანოვა – ლიზა „ჯადოსნურ ფლეიტაში." – ვკითხულობთ წიგნის შესავალში. ეს იყო ლიდოჩკა, ბალანჩინის თანაკლასელი და მისი პირველი სასცენო პარტნიორი, რომლის ცხოვრებაც 20 წლის ასაკში ტრაგიკულად დასრულდა: ევროპაში დაგეგმილ გასტროლებამდე რამდენიმე კვირით ადრე გოგონა მდინარეში დაიხრჩო. მოგვიანებით კენდელმა შეიტყო, რომ ლიდია ივანოვა თავისი თაობის ყველაზე ნიჭიერი ბალერინა იყო. იმის მიუხედავად, რომ მარიას თეატრში სულ სამი სეზონი იცეკვა, საოცარი პოპულარობა მოიპოვა. მისმა გარდაცვალებამ პეტერბურგი შეძრა: უამრავი ვარაუდი გაჩნდა. ერთი ვერსიით, ეს შეკვეთილი მკვლელობა იყო. ლიდოჩკა ხელისუფლების წარმომადგენლებთან მეგობრობდა და მათ შორის თაყვანისმცემლებიც ჰყავდა. შესაძლოა, ბევრი მნიშვნელოვანი ინფორმაცია იცოდა და „ჩეკას" მისი ქვეყნიდან გაშვება არ სურდა. სიკვდილის მიზეზი დღემდე უცნობია. საქმე მიაფუჩეჩეს. ვერც ლიდოჩკას ცხედარს მიაკვლიეს. ერთადერთი, რაც იმ დღეს „გადარჩა", პატარა წითელი საფულე იყო.

ლიდია ივანოვას სახელის ხსენება საბჭოთა ეპოქაში აკრძალული იყო. წლების შემდეგ მისი ტრაგიკული ისტორია მხოლოდ პროფესიონალთა ვიწრო წრეს ახსოვდა და ისინიც შიშით ვერ ლაპარაკობდნენ. წიგნის ქართული ვერსიის ერთ-ერთი რედაქტორი, ცირა ჩიკვაიძე, რომელიც ბალეტის დიდი თაყვანისმცემელი გახლდათ, ამბობს, რომ ამ ისტორიის შესახებ არაფერი სმენია და ლიდია ივანოვას არსებობა კენდელის წიგნიდან შეიტყო.

ავტორისთვის ლიდოჩკას ამბავი „ინტრიგა" იყო, რომელიც წიგნს როგორც პროფესიონალი, ასევე ჩვეულებრივი მკითხველისთვისაც მიმზიდველს გახდიდა და მართლაც, ლიდია ივანოვას სულისშემძვრელი ისტორია ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

კენდელის აზრით, სწორედ ლიდოჩკას ტრაგიკული გარდაცვალება დაედო საფუძვლად ბალანჩინის ქორეოგრაფიის ერთ-ერთ ყველაზე უცნაურ სახე-ხატებას. მის პირველ ამერიკულ შედევრში – „სერენადა," რომელიც ჩაიკოვსკის მუსიკაზე შეიქმნა, იდუმალი გოგონა ჩნდება გაშლილი თმით, რომელიც მალევე ქრება. სიკვდილის თემას ბალანჩინი შემდგომშიც არაერთხელ უბრუნდება.

წიგნში დეტალურად არის აღწერილი ბალანჩივაძისა და ივანოვას ბავშვობისა და ყრმობის წლები, მათი ოჯახების ცხოვრება, პედაგოგების, მეგობრების, კოლეგების პორტრეტები, მათთან ურთიერთობა, პირველი ნაბიჯები დიდ სცენაზე, პირველი წარმატება, მარცხი და ბევრი სხვა. ეს ყველაფერი – ეპოქის „პორტრეტის" ფონზე, რომელიც სავსეა პოლიტიკური ძვრებით, რევოლუციური ცვლილებების დამანგრეველი სუნთქვითა და ამ მოვლენათა შედეგად განვითარებული ადამიანური ტრაგედიებით, რომელთაც ჯორჯისა და ლიდოჩკას სულს თავისი დაღი დაასვა.

წერის პროცესი შრომატევადი იყო და თითქმის რვა წელიწადს გრძელდებოდა. კენდელს სხვადასხვა ქვეყნის არქივში უწევდა მუშაობა, მათ შორის, რუსეთში, ფინეთსა და საქართველოში. საქართველოში რამდენჯერმე იყო. 1988 წელს, ერთ-ერთი სტუმრობისას ანდრია ბალანჩივაძე გაიცნო. ბატონ ანდრიას ხანგრძლივი დაშორების შემდეგ ძმასთან პირველი შეხვედრა გაუხსენებია – ეს იყო 1962 წელს, როდესაც ბალანჩინი თბილისში თავის საბალეტო დასთან ერთად ჩამოვიდა.

არლეკინის კოსტიუმებში გამოწყობილი თამარი, გიორგი და ანდრია

თავად ბალანჩინისა და კენდელის ნაცნობობა 1981 წელს შედგა, როდესაც „ფორდის ფონდმა" ბალეტის ახალგაზრდა კრიტიკოსი „ნიუ იორკ სითი ბალეს" დამფუძნებელთან ინტერვიუზე მიავლინა. „ოფიციალური" ნაწილის დასრულების შემდეგ მაესტრომ საკუთარი ბიოგრაფიის საოცრად მძიმე და ამაღელვებელი დეტალები უამბო: მოუყვა, როგორ ამზადებდა ლუკმაპურის საშოვნელად უნაგირებს და კინოთეატრებში დანჯღრეულ ფორტეპიანოზე უკრავდა. გოგონა ზღაპრებივით უსმენდა ამბებს, რომელთა რეალობა მისთვის რთული დასაჯერებელი იყო. ვცდილობდი, მისი მონათხრობი არა მხოლოდ მომესმინა, არამედ შემეგრძნო და განმეცადაო. რასაკვირველია, ამ ყველაფრის ბოლომდე გათავისება თანამედროვე ეპოქის ადამიანისთვის საკმაოდ რთულია, თუმცა კენდელის წიგნით თუ ვიმსჯელებთ, მან ეს შეძლო. საკამათო დეტალების მიუხედავად, ნაშრომიდან ბალანჩინისა და მისი მუზის შესახებ უამრავ საინტერესო ფაქტს ვიგებთ, რისთვისაც ელიზაბეტ კენდელი გულწრფელ მადლობას იმსახურებს.

„ხაბა“ და ოთხი წელი ფენიქსფურტამდე

ტექსტი - ია ვეკუა

2018 წელს სალიტერატურო-საგამომცემლო სფეროში დიდი გამოცდა გველის – საქართველო მსოფლიოს უდიდესი, უძველესი და ყველაზე პრესტიჟული, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი იქნება. ეს არ გახლავთ უბრალო სტუმრობა, პირიქით, საქართველოს იქით მოუწევს მასპინძლის როლის მორგება, რადგან ბაზრობის სტუმართა უდიდესი ნაწილი სწორედ მისი სტენდის კარზე მიაკაკუნებს. ცხადია, კარს გაუღებენ და იმ გამოცემებსაც შეაგებებენ, რომელთა ნაწილი წლევანდელი „საბას" ქართული ნაწარმოებების უცხოენოვანი თარგმანის ნომინაციაში იყო წარმოდგენილი.

ეს ნომინაცია ქვეყნის ერთ-ერთმა ყველაზე მნიშვნელოვანმა ლიტერატურულმა პრემიამ შარშან დაიმატა, პირველი გამარჯვებული კი გერმანისტი ნათია მიქელაძე გახდა, რომელმაც 2010 წლის „საბას" ლაურეატ თამთა მელაშვილის „გათვლა" გერმანულად აამეტყველა. წელს აღნიშნული ნომინაცია ყველაზე ვრცელი გახლდათ: აქ მოხვდა ბესო ხვედელიძისა და ანა კორძაია-სამადაშვილის ნაწარმოებების გერმანული თარგმანი, ინგლისურად თარგმნილი ზაზა ბურჭულაძის „ადიბასი", ლაშა ბუღაძის „ლიტერატურული ექსპრესი", აკა მორჩილაძის „მოგზაურობა ყარაბაღში", ოთარ ჭილაძის „აველუმი" და გურამ დოჩანაშვილის „თანამგზავრი". ფრანგულად თარგმნილი ასევე ბურჭულაძის „გასაბერი ანგელოზი", იტალიურად და ჰოლანდიურად დათო ტურაშვილის „თვითმფრინავის ბიჭები", ხოლო აკა მორჩილაძის „ძველი გულებისა და ხმლისა", ჯემალ ქარჩხაძის „ანტონიო და დავითი" და ქართული მოთხრობების კრებული – შვედურად.

წელს ნომინაციის რჩეული ქართული ლიტერატურის, ქართული ენის უბადლოდ მცოდნე დონალდ რეიფილდი გახდა, რომელმაც თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ავტორის, ოთარ ჭილაძის „აველუმი" ინგლისურ ენაზე თარგმნა.

„საბას" ისტორია 12 წლის წინ, მთაწმინდის პარკში დაიწყო. მაშინ იქაურობა პოსტაპოკალიპტურ ქალაქს უფრო ჰგავდა და დღესასწაულის განწყობას ნაკლებად იწვევდა. თუმცა დღესასწაული მაინც შედგა და გაგრძელდა კიდეც. დროთა განმავლობაში „საბა" ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სახელოვნებო მოვლენად იქცა, მას ელოდებიან, მის ნომინაციებში მოხვედრაზე ოცნებობენ, განიცდიან, ბრზადებიან, ამაყობენ და, რაც მთავარია, „საბასთვის" წერენ კიდეც. დაზუსტებით ვერ გეტყვით, გახდა თუ არა პრემია თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარების საბაბი, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ წლიდან წლამდე მის ნომინაციებში გადანაწილებული წიგნების რაოდენობა მკვეთრად იზრდება.

როგორც ყველა კონკურსის შემთხვევაში, „საბას" დასრულების შემდეგაც იმედგაცრუებული უფრო მეტია, ვიდრე გახარებული. თუმცა ავტორსაც გააჩნია – მაგალითად, ეკა ქევანიშვილს, რომლის გამარჯვებაც არა თუ პრაქტიკულად ყველას გაუხარდა, არამედ მცირედი ეჭვიც არ გაჩენილა. ეკა ქევანიშვილს და მის „სახლის გაყიდვას" გაგა ნახუცრიშვილის, სალომე ბენიძის, გიორგი ლობჟანიძისა და ბათუ დანელიას კრებულების სახით ძალიან ძლიერი კონკურენტები ჰყავდა, თუმცა ეკას სოციალურად და გენდერულად მტკიცე პოეზიას ვერავინ აჯობა.

ასე უკვე ორჯერ მოხდა და მოხდა მესამედაც – „საბამ" დებიუტის ნომინაცია ორად გაყო და თავისი წილი გამარჯვება პოეტ ლია

ლიქოკელსა და მწერალ თორესა Mossy-ს არგუნა. ლიამ ჯილდო „დევის ცოლის სიცილისთვის" მიიღო, ხოლო თორესა-მ "სიბრძნე სიცრუისას" დაწერისთვის და ცხადია, ეს სულ სხვა სიბრძნეა და სულ სხვა სიცრუე... დააჯილდოეს არჩილ ქიქოძე მოთხრობების კრებულ „ჩიტის და კაცის ამბავისთვის", ხოლო გიორგი გოკიელის მიერ ქართულად თარგმნილი „ელისის თავგადასავალი საოცრებათა ქვეყანაში" წლის საუკეთესო თარგმანად მიიჩნიეს.

ეკა ქევანიშვილის მსგავსად უალტერნატივო აღმოჩნდა დავით გაბუნიას საუკეთესო პიესის, ხოლო საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზის ნომინაციაში „ცრემილიანი სათვალის" ავტორ გოგი გვახარიას გამარჯვება. ლიტერატურული კრიტიკის ნომინაციის ფავორიტი თამაზ კვაჭანტირაძე და მისი „განსჯანი" აღმოჩნდა, ხოლო რომანის ნომინაციამ კიდევ ერთი სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა: აკა მორილაძის „მორიდებული ზურმუხტი", ეკა ტოგონიძის „ასინქრიონი" და ლაშა ბუღაძის „Lucrecial 515" – ასეთი გახლდათ ზვიად კვარაცხელიასა და მისი „ფორმა N100-ის" „კონკურენტთა" ჩამონათვალი, თავად რომანი კი მომდევნო ერთი წლის განმავლობაში ქვეყნის საუკეთესო ვრცელი მხატვრული ნაწარმოები იქნება.

თუმცა „საბა" უკვე ჩავლილი ეტაპია, გადაშლილი ფურცელია, რომლის მივიწყებაც მინიმუმ ერთი წლით მაინც შეგვიძლია, რადგან წინ გაცილებით მნიშვნელოვანი ამოცანა გვაქვს – ისევ და ისევ 2018 წლის ფრანკფურტი. იყო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი, ეს ცალსახად პრესტიჟულია, საუკეთესო შანსია მსოფლიოს პროგრესულ ნაწილს არა მხოლოდ შენი ლიტერატურა, არამედ ზოგადად კულტურა და ქვეყანა გააცნო. იმედია, დარჩენილ ოთხ წელიწადს გონივრულად გამოვიყენებთ, ფრანკფურტისთვის სანიმუშოდ მოვემზადებით და როდესაც მთელი მსოფლიო კარზე მოგვიკაკუნებს, გასტრონომიულის ნაცვლად საუკეთესო ლიტერატურულ მენიუს შევაგებებთ.



ედემის ბალი

ტექსტი: ნათია მაქაცარია, ფოტო: ოვარ ჩიქოვანი

ᲰᲐᲕᲐᲘ – „ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲔ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ“ – ᲐᲡᲔ ᲔᲫᲐᲮᲘᲐᲜ ᲰᲐᲕᲐᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲡ. ᲪᲘᲡᲐᲠᲢᲧᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ „ᲐᲚᲝᲰᲐᲡ“ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ, ᲗᲐᲕᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲘᲒᲠᲫᲜᲝᲑᲗ. ᲐᲥ ᲓᲦᲘᲡᲘᲗ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ 30 ᲒᲠᲐᲓᲣᲡᲘᲐ ᲪᲔᲚᲡᲘᲣᲡᲘᲗ. ᲐᲥᲐᲣᲠᲘ ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲗ ᲮᲔᲚᲡ ᲘᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝᲗ ᲤᲘᲠᲣᲖᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲔᲜᲘᲗ ᲐᲦᲣᲬᲔᲠᲔᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲗ.

მიუხედავად იმისა, რომ დღისით ცხელა, თითქმის ყოველ საღამოს წვიმს და ნიავი უბერავს. ჰავაი ნამდვილი სამოთხეა მათთვის, ვისაც ზაფხული უყვარს, აქ არ არის შემაწუხებელი სიცხე, ვინაიდან, ევროპის კურორტებისგან განსხვავებით არ არის მაღალი ტენიანობა, ხოლო ფლორიდასგან ან ბაჰამების კუნძულებისგან განსხვავებით არ არიან შხამიანი და შემაწუხებელი მწერები. ჰავაის კუნძულებზე ცოფის ვირუსიც კი არ არსებობს და ამიტომ შინაურ ცხოველებს ვაქცინაციასაც არ უტარებენ. ჰავაი „სერფინგის“ სამშობლოა და ამიტომ ადგილობრივების უმრავლესობა მთავარ გართობად „სერფინგს“ ირჩევს. „სერფერების“ დღე კი ასე იწყება – დილიდან ინტერნეტით ამოწმებენ თუ რომელ სანაპიროზეა ყველაზე ზომიერი და „კარგი“ ტალღები. შემდეგ სხდებიან სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტში (აქ ველოსიპედებსაც კი „სერფ“-დაფის სპეციალური დასამაგრებელი აქვს) და მიემართებიან სანაპიროზე, სახესა და ტანს მზისგან დამცავი საცხით იფარავენ, დაფას კი სპეციალური ცვილით ამუშავებენ, რათა სერფინგის დროს ფეხი არ დაუცურდეთ. შემდეგ საგულდაგულოდ მალავენ „ფლიპ-ფლოპებს“ რადგან ჰავაიზე „ფლიპ-ფლოპი“ ალბათ ერთადერთი ნივთია, რომელსაც ნებით თუ უნებლიეთ, იპარავენ. წყლიდან ამოსულმა „სერფერმა“ შეიძლება თავისი ვერ იპოვნოს და სხვისაში „გაყოს“ ფეხი. „სერფერები“ წყალში საათობით ჩერდებიან. ზოგი მათგანი, მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ უბრუნდება ხმელეთს. ეს „დაფა“ მათი ნარკოტიკია, რომლის გარეშეც ცხოვრება არ შეუძლიათ.

ჰავაიზე, „სერფინგის“ გარდა, კიდევ არაერთი სათავგადასავლოგასართობი საშუალება არსებობს, მაგალითად, „სნორქლინგი“ ანუ „წყალქვეშ ცურვა“. ამ საქმისთვის, კუნძულ ოაჰუზე ყველაზე საინტერესო სანაპიროა „ჰანაუმა ბეი“. იმ სილამაზისა და სანახაობის აღწერა, რაც ამ სანაპიროს წყლის ქვეშ გვხვდება, ალბათ შეუძლებელია. დაუჯერებლად გამჭირვალე წყალში, უამრავი სახეობისა და ფერის თევზი შეგხვდებათ, ასევე წარმოუდგენლად დიდი ზომის წყლის კუები. არც წყლის ტემპერატურა შეგაწუხებთ და არც ზვიგენის შიში. აქ სიღრმეშიც უზარმაზარი ქვებია, რომლებსაც წყალი ვერ ფარავს და ამიტომ იქ მტაცებელი თევზებისთვის არასასურველი გარემოა. დროდადო ეს ქვები ულამაზეს წყალქვეშა აუზებს ქმნიან, სადაც „ჩაყვინთულ“ ადამიანს ათასობით სხადასხვა ფერის თევზი, წუთში გაუქროლებს თვალწინ.

ყველაზე ლამაზი სანაპიროები ჰონოლულუსგან ოდნავ მოშორებით გვხვდება. ლანიკაი, კაილუა... თუმცა ყველაზე საინტერესო სანაპირო, სახელწოდებით „ქაველა ბეი“, ოაჰუს ჩრდილოეთით მდებარეობს. ამ საოცარ ადგილს, მხოლოდ ტყის გავლით თუ მიაღწევთ. ამ ტყეში განსაკუთრებული ხეებია, მაგალითად, ბანიანის ხე, რომელიც ორი მცენარის ჰიბრიდია. ერთმანეთში გადახლართული

„აქ ყველაფერი თავისებურად ხდება...“

ორი მცენარე, უზარმაზარი ხიდან ეშვება ძირს და მიწას ისე ერწყმის, თითქოს იმავე ხის „ფესვებია“, ფესვები, რომლებიც ხის ტოტებიდან „ჩამოედინება“. ბანიანებთან ერთად გვხვდება ქოქოსის პალმები, წარმოუდგენლად დიდი ნაძვები და ასევე სხვადასხვა ჯიშის უცნაური და ლამაზი ეგზოტიკური ხეები. ბოლოს კი გამოჩნდება „ტყეში დამალული“ სანაპირო... ამ სანაპიროზე არაერთი ჰოლივუდური ფილმია გადაღებული – „კარიბის ზღვის მეკობრეები“, სერიალი „დაკარგულები“ და ა.შ. აქ, ამ ადგილზე გეუფლება არარეალობის განცდა, და გიმყარდება აზრი, რომ თუნდაც მხოლოდ ამ სანაპიროს სანახავად ღირდა 25 საათის ჰაერში გატარება.

ოაჰუს ჩრდილოეთის სანაპიროებს რომ მოივლი, დაღლილი და მოშიებული, აუცილებლად უნდა გაჩერდე კრევეტების საჭმელად. ნივრიანი კრევეტი ჰავაური დელიკატესია. იგი ბრინჯთან და სალათთან ერთად მოაქვთ, ძალიან უხდება ქოქოსის წვენი, რომელსაც იქვე შუაზე აპობენ და საწრუპით მოგაწვდიან. დესერტი – გრილზე, კარაქთან და ნიორთან ერთად შემწვარი სიმინდი ან ასაის ჯემია. ასაი კენკრაა, უკანასკნელ წლებში მასზე მოთხოვნა ძალიან გაიზარდა მსოფლიოში. ამ ანტიოქსიდანტ, უგემრიელეს კენკრას სხვა კენკროვან ხილს ურევენ, ზემოდან გრანოლასა და თაფლს ასხამენ. ჰავაიზე ეს კერძი უცვლელი საუზმეა.

აქ ყველაფერი თავისებურად ხდება, მაგალითად. აქ საქმიან შეხვედრაზე დაგვიანება ხშირი შემთხვევაა და არაფერს ნიშნავს, ხოლო ჰავაური „დრესკოდი“ მამაკაცებისთვის ალოჰური – ყვავილებიანი, პალმებიანი ან თუნდაც ხვლიკებიანი ფერადი პერანგია. ასე აცვიათ ოფისის რიგით თანამშრომლებს, ბანკების მმართველებს, ადგილობრივ პოლიტიკოსებს, გნებავთ უფლისწულებს... მიუხედავად იმისა, რომ ჰავაიზე მონარქია გაუქმებულია, ადგილობრივი უფლისწულები და მეფის ასულები დღემდე თავს იწონებენ თავისი წარმომავლობით. მათი ჰავაური სახელები გრძელი და ძნელად წარმოსათქმელია: კავანანაკოა, ლილიუოკალანი, კაპიოლანი, კამეჰამეჰა...

ჰავაიზე ოფიციალური ენა დღესდღეობით ინგლისურია, თუმცა, სანამ იგი ამერიკის ოფიციალური შტატი გახდებოდა, აქ ადგილობრივ ენაზე, ჰავაურად ლაპარაკობდნენ, რომელიც სამწუხაროდ აღარ გამოიყენება და მალე ალბათ „მკვდარ ენათა“ რიგებს შეემატება. ცამეტი ასოსაგან შემდგარ ჰავაურ ენაში, ძალიან ბევრი გრძელი სიტყვაა და ამ სიტყვებში ერთი და იგივე ასოები ხშირად მეორდება. მაგალითად, ჰუმუჰუმუნუკუნუკუაპუაა – ერთ–ერთი თევზის დასახელებაა, კაუკაკალა – მამაკაცის სახელია, მელე კალიკიმაკა – ნიშნავს – ბედნიერ შობას გისურვებთ. მაგრამ ჰავაურ ენაში არსებობს სიტყვები, რომლებიც ყველას მოსწონს და ხშირად იყენებს, ისინი ალბათ დროს გადაურჩება და სამუდამოდ დარჩება: მაგალითად, „ალოჰა ანდაც მაჰალო“. ალოჰა სალამსაც ნიშნავს და სიყვარულსაც, მაჰალო ადგილობრივ ენაზე „მადლობას“ ნიშნავს.

და თუკი თქვენ არ გეშინიათ ხანგრძლივი ფრენის, გიყვართ ზაფხული და მზად ხართ ეგზოტიკური, დაუვიწყარი თავგადასავლებისთვის, დედამიწის მეორე მხარეს, ჰავაის კუნძულები გელით. მხოლოდ ერთი რამ გაითვალისწინეთ – ხშირად ისე ხდება, რომ აქედან უკან დაბრუნება აღარ სურთ...

ჯაზ-როკი & სამშობლო

ტექსტი - ტასო ჩხეიძე

მუსიკოსი, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ჯაზ-როკის ჩამოყალიბებაზე, აკუსტიკური და ელექტრო ბასის ცოცხალი ლეგენდა, მუსიკალური სამყაროს ყველა მნიშვნელოვანი ჯილდოს, მათ შორის არა-ერთი გრემის მფლობელი; კომპოზიტორი, რომელიც საკმაოდ აქტიურად მოღვაწეობს ფილმებისთვის მუსიკის შექმნაში. მისი ვარსკვლავი ჰოლივუდის დიდების ხეივანშია. მას უთანამშრომლია სხვადასხვა ჟანრის, თითქმის ყველა მნიშვნელოვან მუსიკოსთან, დღეს კი მსოფლიო ტურნეში 18 წლის ქართველ პიანისტთან, ბექა გოჩიაშვილთან ერთად არის და ცდილობს ბექას გაუზიაროს ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც თავისი კარიერის დასაწყისში მას მაილს დევისმა, ჰორას სილვერმა, არტ ბლეიკიმ, სტენ გეცმა და სხვა დიდმა მუსიკოსმებმა გადასცეს.

"ქართველი ხალხის საუკეთესო დიპლომატი" ასე დაახასიათა ჩიკ კორეამ 18 წლის ბექა გოჩიაშვილი, რომელიც ახლა თქვენი ჯგუფის წევრია. როგორ დაიწყო თქვენი და ბექას თანამშრომლობა და რითი მოგხიბლათ მან?

ბექა ლენი უაითისგან გავიცანი. ლენი კი ბექას პატარაობიდან იცნობს, დაახლოებით 12 წლიდან.

ზოგჯერ ხვდები ბავშვებს, რომლებსაც განსაკუთრებული ნიჭი აქვთ და ასაკის მიუხედავად ზრდასრულები არიან, ბექაც სწორედ ასეთია. დავეთანხმები ჩიკ კორეას, ბექა მართლაც თქვენი ქვეყნის საუკეთესო ელჩია. ის რაც ბექაში განსაკუთრებით მომწონს, თავისი ქვეყნის სიყვარულია, ძალიან ბევრს საუბრობს თავის ქვეყანაზე ა.შ.შ-ში. გულწრფელად რომ გითხრათ, საქართველოს შესახებ ბევრი არ ვიცოდი. მცირე ინფორმაცია მქონდა CNN-იდან. ვიცოდი, რომ საბჭოთა კავშირის კონტროლის ქვეშ იყო და ძალიან გამიხარდა, როდესაც დამოუკიდებლობა მოიპოვა, რადგან საქართველოს თავისი, გამორჩეული კულტურა აქვს. ბექა სულ საქართველოზე საუბრობს.

მომწონს, როდესაც ადამიანებს თავიანთი ოჯახის, ქვეყნის მიმართ დიდი სიყვარული აქვთ. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი, რის გამოც ბექა ასე შესანიშნავად უკრავს. მჯერა რომ მუსიკის შესრულება მხოლოდ ტექნიკურ ასპექტებთან არ არის დაკავშირებული, უნდა გქონდეს რაღაცის მიმართ ვნება და სწორედ ეს გამოძრავებს, ეს არის მთავარი საფუძველი; ძალიან სასიამოვნოა, რომ მცირე ასაკის მიუხედავად ბექაში ამას ვხედავ.

ბექა გოჩიაშვილი: *„2 წლის წინ, 2012 წლის მარტში ლენი უაითისგან გავიგე, რომ სტენლის უნდა დაეკრა Blue Note-ში, თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არ ჰქონდა ვინ იქნებოდა პიანისტი. ჯერ სტენლის არ ვიცნობდი, მან ჩემს შესახებ ლენისგან და ჩიკ კორეასგამ იცოდა. სტენლის ეშინოდა, რომ 16 წლის პიანისტი პატარაა Blue Note-ში, ერთკვირიანი სოლოების შესასრულებლად. ლენიმ კი, სწორედ გამიგეთ, ჩემი შესაძლებლობები უკვე იცოდა და საბოლოოდ დაითანხმა სტენლიც, რომ პიანისტი ამ კონცერტებისთვის მე ვყოფილიყავი. Blue Note-ში, ერთი კვირა, დღეში ორი შოუ, მე სტენლი და ლენი. ესე შევხვდით და ესე დავიწყეთ...“*

2 წლის წინ ლენი უაითთან ინტერვიუს ჩაწერის შესაძლებლობა მომეცა. ის ბექას ჯგუფში უკრავდა შავი ზღვის ჯაზზ ფესტივალზე, 2012 წელს. მაშინაც ბექაზე ვსაუბრობდით და ლენიმ ასეთი რამ თქვა: „მე, სტენლი კლარკმა, ჩიკ კორეამ, ჰერბი ჰენკოკმა ვისწავლეთ მუსიკის შესრულება იმ დიდ მუსიკოსებთან ერთად დაკვრით, რომლებიც იმ დროს ქმნიდნენ ჯაზს, ესენი იყვნენ: მაილს დევისი, ჰორას სილვერი, ჯო ჰენდერსონი. .. ჩვენ ვსწავლობდით უშუალოდ მათთთან დაკვრით“. რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი რაც ისწავლეთ თქვენი მენტორებისგან და რა არის ის, რაც გსურთ, რომ გადასცეთ, გაუზიაროთ ახალგზარდა თაობას?

როდესაც მუსიკის შესრულება დავიწყე ჯაზის ძველ ოსტატებთან ერთად, ბექას ასაკის ვიყავი-17-18 წლის, და ის რაც ვისწავლე ამ ადამიანებისგან იყო სოციალური უნარები. როდესაც 16-17 წლის ხარ და უეცრად კონცერტებზე გამოსვლა გიწევს და მუდმივად მოგზაურობ, უნდა მოერგო განრიგს, უნდა გქონდეს პირველ რიგში შენი თავის, შემდეგ შენი ჯგუფის წევრების და ზოგადად მუსიკის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა. ამ დროს ითვისებ იმ უნარებს, რომელსაც სხვა შემთხვევაში 30 წლის ასაკამდე ვერ ავითარებ.

ძალიან ბევრი ვისწავლე ჩემი მენტორებისგან, განსაკუთრებით სტენ გეთსისგან და არტ ბლეიკისგან, საუკეთესო ჯგუფის ლიდერი, რომელიც ოდესმე მყოლია ალბათ ჰორას სილვერი იყო...ბექა თავისი ასაკისთვის ძალიან კარგი მუსიკოსია, მაგრამ ის მაინც ახალგაზრდაა და მინდა, რომ ის ყველაფერი რაც ჩემმა მასწავლებლებმა გადმომცეს, მას გადავცე და იმედი მაქვს, როდესაც ბექა გახდება 30-35 წლის, ის გაუზიარებს ამ ცოდნას მომავალ თაობას. ამის დიდი იმედი მაქვს, რადგან ერთადერთი გზა იმისა, რომ ჯაზი გადარჩეს ნამდვილი, თავისუფალი, ექპერიმენტული მუსიკა – ახალი

როდესაც ადამიანი მიდის მიღებული ნორმის ან ტრადიციის წინააღმდეგ, ეს ყოველთვის ძალიან რთულია

თაობისთვის გამოცდილების და ცოდნის გადაცემაა.

ბექა გოჩიაშვილი: *„სტენლისგან ვსწავლობ, რომ არავის ვგავდე, თვითონ მაგას ქადაგებს, ამას მირჩევს ყოველთვის, რადგან ინდივიდუალიზმი არის ყველაზე დასაფასებელი რამ. ამაში მინდა ვგავდე სტენლის... მე ჯერ არ მაქვს ჩემი თავი ნაპოვნი მუსიკაში, ძალიან დიდი გზაა ამისთვის, რისიც საერთოდ არ მეშინია“.*

„60-იანების ბოლო და 70-იანების დასაწყისი მუსიკაში რევოლუციის წლები იყო: 1969 წელს მაილს დევისის ალბომმა Bitches Brew ჯაზის მიმართულების ცვლილებას მისცა ბიძგი, შემდეგ უკვე თქვენ ჩიკ კორეასთან ერთად ჩამოაყალიბეთ ჯგუფი Return to Forever, რომელმაც სხვა რამოდენიმე ჯგუფთან ერთად (Weather Report, The Mahavishnu Orchestra) მუსიკა შეცვალა. თუ შეიძლება, მოკლედ რომ გაიხსენოთ ის პერიოდი და როგორ ფიქრობთ, რა გავლენა იქონია ამ პერიოდის ცვლილებებმა თქვენს შემდგომ მუსიკალურ განვითარებაზე?

ეს იყო პერიოდი, როდესაც სხვადასხვა მიმართულების მუსიკა გაერთიანდა, ძველი ჯაზი იცვლებოდა... პირველ რიგში ვიყენებდით ელექტრო ინსტრუმენტებს: ელექტრო ბასს, გამაძლიერებლებს... რაც შეეხება **Return To Forever**-ს, ჩემი აზრით, ამ ჯგუფის წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მრავალფეროვანი კომპოზიციები იყო; ყველას მოგვეთხოვებოდა მუსიკის დაწერა; პირველი კომპოზიტორი იყო ჩიკ კორეა, შემდეგ მე და დანარჩენები. ამიტომ Return to Forever-ის კომპოზიციები აერთიანებდა კლასიკურ, ლათინურ მუსიკას და კიდევ ბევრ სხვა მიმდინარეობას. ჩემი აზრით ეს იყო ჯაზ-როკის ჩვენი Return to Forever-ის ვერსია.

თქვენამდე ბასი ითვლებოდა დამხმარე ინსტრუმენტად, თქვენ კი წინა პლანზე წამოწიეთ. ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობთ, რომ ეს შეძელით მხოლოდ იმით, რომ თქვენი ჯგუფი შექმენით, რა იყო ყველაზე დიდი სირთულეები და მიღწევები სოლო კარიერის დასაწყისში?

როდესაც ადამიანი მიდის მიღებული ნორმის ან ტრადიციის წინააღმდეგ, ეს ყოველთვის ძალიან რთულია. ჩემს შემთხვევაში არ ვიცი რა დამეხმარა ამის გაკეთებაში: სიგიჟე, თუ გამბედაობა. ყოველთვის ამ ორ თვისებასთან გაქვს საქმე, თუ ვინმე ნორმის საწინააღმდეგო რამეს აკეთებს...

ახალგაზრდობიდანვე შემეძლო მუსიკის დაწერა და ერთხელაც ვიფიქრე, რომ უნდა მეცადა ბა-

სისთვის მუსიკის შექმნა, ბასისტი და დრამერი ზოგადად დამხმარე მუსიკოსები იყვენ, „უკან“ უკრავ-ნდნენ და „ეხმარებოდნენ“ მომღერალს ან მელოდიურ ინსტრუმენ-ტებს გიტარას, საყვირს. ეს იყო ტრადიცია, მაგრამ ვცადე, რომ ბასი წამყვანი ინსტურმენტი გამე-ხადა და მუსიკა ამ ინსტუმენტის-თვის დამეწერა, ასეც მოვიქეცი... ჩემს მეგობრებთან ერთად ვუკრავ-დი, მათ მოსწონდათ, საინტერესო იყო და მას შემდეგ არ გავჩერე-ბულვარ.

ჩემთან ინტერვიუში, მარკუს მი-ლერი ფილმისთვის მუსიკის წერის შესახებ ამბობს: „თავიდან არ მომ-წონდა,რადგან გარკვეულ ჩარჩოში გაქცევდა, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ კომპოზიტორზეა დამოკიდებუ-ლი ფილმის ემოციის შექმნა...“ . თუ შეიძლება მოგვიყევით როგორ მიმ-დინარეობს ფილმისთვის ემოციების შექმნის პროცესი, თქვენს შემთხვე-ვაში?

რაც ფილმისთვის მუსიკის შექ-მნაში მომწონს, არის ის, რომ ერთმანეთისგან განსხვავებული ემოციის გადმოცემა გიწევს მუ-სიკით. როდესაც შენთვის წერ მუსიკას ძალიან ვიწრო არჩევანი გაქვს, მაგალითად, პოპ მუსიკის თემატიკა არის სიყვარული, დღე-სასწაული, ცეკვა და კიდევ ერთი ორი რამ. როდესაც მუსიკას წერ ფილმისთვის, ყველაფერს მოიცავ: სიკვდილს, ამაოებას, ლოიალურო-ბას... და შენც როგორც კომპოზი-ტორი ვითარდები, აკეთებ იმას, რისი გაკეთებაც სხვა შემთხვევაში აზრად არ მოგივიდოდა. მაგალი-თად, არასდროს ჩავწერდი ალბომს სიკვდილზე, ფილმისთვის კი არა-ერთხელ მიმუშავია ამ თემაზე.

„სტენლი კლარკის ფონდი“, რა არის ძირითადი მიზნები?

“სტენლი კლარკის ფონდი“ უკ-ვე 12 წელია, რაც არსებობს. მე და ჩემი ცოლი სოფია, ვცდილობთ დაფინანსება მოვიპოვოთ და დავეხმაროთ იმ ბავშვებს, რომ-ლებსაც მუსიკალურ სკოლაში გა-ნათლების მიღების საშუალება არ აქვთ. 50-მდე ბავშვს უკვე დავეხ-მარეთ და ამ საქმიანობას დღესაც ვაგრძელებთ. ძალიან მნიშნელო-ვანია ის, რასაც ვაკეთებთ. მე არ მქონდა ბევრი ფული და ძალიან რთული იყო... სტიპენდია რომ არ მომეპოვებინა, მუსიკალურ გა-ნათლებას ვერ მივიღებდი. ამაზე ბევრს ვფიქრობდი და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ამ ფონდის შექმნა. დახმარების კარგი გზაა. ეს სამყარო რაც დრო გადის, მით უფრო მკაცრი ხდება ახალგაზრ-დების მიმართ, რატომ არ ვიცი. სწორედ ამიტომ, მათი დახმარება ძალიან მნიშვნელოვანია.

2014

DAMON ALBARN - EVERYDAY ROBOTS

Blur, Gorillaz, The Good, the Bad and the Queen - ეს ყველაფერი დეიმონ ალბარნის შემოქმედებითი ბიოგრაფიის განვლილი ეტაპია, რადგან ბრიტანელი მუსიკოსი სოლო კარიერის შექმნის აქტიურ ფაზაშია გადასული. სწორედ ამაზე მეტყველებს, რომ ბევრისთვის საკულტო მუსიკოსმა პირველი სტუდიური ალბომი გამოუშვა, რომელიც მიმდინარე წლის საუკეთესო ჩანაწერების ნუსხაშიც მოხვდა. ფოლკი, სოული, ალტერნატიული როკი – Everyday Robots მულტიჟანრული ალბომია, რომელიც დეიმონ ოლბარნს სულ სხვა კუთხით გაგაცნობთ.

PHARRELL - GIRL

როგორ შეიძლებოდა, რომ წლის საუკეთესო ალბომებს შორის ბოლო წლების ყველაზე მოდური და რეალურად კარგი მუსიკოსის ნამუშევარი არ მოხვედრილიყო?! ასეც მოხდა და ფარელ უილიამის GIRL 2014-ის მუსიკალურ ისტორიაში შევიდა. ეს სწორედ ის ალბომია, რომელშიც წლის ჰიტი Happy-ც შევიდა, რისი დამსახურებითაც აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ჰიტაღლუმების მოწინავე ადგილებზე გავიდა. GIRL-ის ჩაწერისას ფარელს პარტნიორობას უწევდნენ მაილი საირუსი, ჯასტინ ტიმბერლეიკი, ალიშა კისი და სხვა მუსიკოსები.

KELIS – FOOD

კელისს სოულის დიდ ექსპერიმენტატორს უწოდებენ და არც თუ ტყუილად. ამისი დასტურია Food-იც, რომელშიც ჟანრს ელექტრონულ გარნირს უმატებს და სულ სხვა ჟღერადობას აძლევს. ჩანაწერში აფრიკული რიტმებიც ისმის, ნეო სოულიც და არ ენ ბიც. 2004 წელს გამოსული Tasty-ს შემდეგ Food კელისის საუკეთესო ალბომადაა აღიარებული, რაც გაყიდვებზეც აისახება და კრიტიკოსების შეფასებებშიც.

BECK - MORNING PHASE

ბექი ამბობს, რომ მისი ბოლო ნამუშევარი 2002 წელს გამოსულ ალბომ Sea Change-ის ერთგვარი გაგრძელებაა. Morning Phase მუსიკოსმა 6-წლიანი პაუზის შემდეგ ჩაწერა, მასში შესული მასალის დიდი ნაწილი კი შორეულ 2005 წელს დაწერა, თუმცა დიდი ხნით თაროზე შემოდო. ალბომის პირველი სინგლი Blue Moon მიმდინარე წლის იანვარში გამოვიდა, მთლიანი ჩანაწერი კი „ბილბორდის“ ჩარტის მესამე ადგილზე გავიდა.

ST. VINCENT - ST. VINCENT

არტ და ინდი როკი, არტ ნოისი – ეს ყველაფერი წმინდა ვინსენტია, რომელიც საკუთარ შემოქმედებას ამავე სახელოდების ალბომში აერთიანებს და მსოფლიოს წინაშე მეოთხე ხმაურიან განაცხადს აკეთებს. ფაქტობრივად არ დარჩენილა 2014 წლის შემაჯამებელი სია, რომელშიც St. Vincent არ მოხვდა, ჩანაწერს წარმატებული წელი ჰქონდა ჰიტაღლუმებშიც, ბოლოს კი იმასაც გეტყვით, რომ St. Vincent-ი ერთი გოგონა, სახელად ენი ერინ კლარკია.

2015

BJÖRK

სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბიორკმა შესანიშნავი Biophilia გამოუშვა, ახლა კი ახალი ალბომის დრო დადგა. დიდი ხნის წინ გახდა ცნობილი, რომ ისლანდიელი დივა ვენესუელელ პროდიუსერ Arca-სთან თანამშრომლობდა. ამბობენ, რომ ისედაც თვითმყოფადი მუსიკოსი სრულიად ახალ ჟღერადობასა და ფორმაზე მუშაობს და რომ მისი 2015 წლის ალბომი ყველაზე განსხვავებული იქნება. ცხადია, ამაში ეჭვი არავის ეპარება, ასე რომ მშვიდად დაველოდოთ მაისს, როდესაც ბიორკის ჯერ კიდევ უსახელო ჩანაწერის გამოსვლა იგეგმება.

FAITH NO MORE

18 წლიანი პაუზის შემდეგ ამერიკული ალტერნატივის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი ჯგუფი ახალ ალბომს გამოუშვებს. ეს ამბავი Faith No More-ის ოფიციალურ საიტზე ჯერ კიდევ ზაფხულში გამოქვეყნდა. იქვე აღნიშნული იყო, რომ ჯგუფის ყველა წევრი ფორმაშია და სტუდიაში სამუშაოდ მზადაა. ძალიან საინტერესოა, რას შემოგვთავაზებს მაიკლ პეტონი და კამპანია, მომავალი ალბომის ერთგვარი თიზერი კი უკვე შეგიძლიათ მოისმინოთ – კომპოზიცია Motherfucker ჯგუფმა iTunes-ზე ნოემბერში განათავსა, მთლიანი ალბომი კი 2015 წლის აპრილში გამოვა.

LIMP BIZKIT

Stampede of the Disco Elephants – ასე ერქმევა „ლიმპ ბიზკიტის“ მეშვიდე სტუდიურ ალბომს, რომლის გამოცემაც ასევე გაზაფხულზეა დაგეგმილი. ეს არის პირველი ალბომი, რომელსაც ჯგუფი DJ Lethal-ის წასვლის შემდეგ უშვებს, ამიტომ საინტერესოა, როგორი იქნება ჯგუფის მთლიანი ჟღერადობა. ალბომი საკმაოდ დიდი ხანია მზადდება, პირველი ჩანაწერები ჯგუფმა 2012 წელს გააკეთა. ალბომში სულ ოთხი ტრეკი იქნება, აქედან ერთ-ერთის, Ready to Go-ს ჩაწერისას ჯგუფი ლილ უეინთან თანამშრომლობდა.

Привычка быть первыми

Сегодня трудно представить мир без крупнейших department store – Harrods и Selfridges в Лондоне, Barneys в Нью-Йорке, Galleries Lafayette в Париже. История их возникновения восходит к середине 19 века – именно тогда, в Париже, появился первый магазин, который предлагал широкий ассортимент товаров. Идею сразу же подхватили по всему миру, и department store один за другим стали открываться во всех мегаполисах.

И вот, наконец-то это произошло и на Кавказе – Emporium, первый мультибрендовый магазин в Баку, открыл и первый в регионе магазин в формате department store.

Самый первый Emporium был открыт в Баку в 2005 году. Быстро завоевав любовь поклонников моды, в 2008 году он открыл еще один, двухэтажный магазин. Если в этих двух магазинах продавалась в основном одежда и обувь, то третий, который открылся в 2011 году в комплексе Port Baku, добавил в свой ассортимент парфюмерию и косметику, детскую одежду, аксессуары и украшения, книги, музыку и необычные подарки, став концептуальным.

Сегодня к услугам покупателей 10 000 квадратных метров стиля, качества и современности, раскинувшихся на 3-х этажах Port Baku Mall. Отныне нет необходимости ходить по магазинам отдельных брендов в поисках туфель – все туфли вы сможете найти в одном отделе. Хотите сумку – вот они, все вместе. Вся парфюмерия и косметика ждет вас в отделе красоты. Так как Emporium с самого начала зарекомендовал себя как передовой магазин, который знакомит Азербайджан с миром моды, многие дизайнеры и бренды рассматривают его как лучший, а некоторые и как единственный вариант быть представленными на нашем рынке. Поэтому неудивительно, что сейчас в Emporium представлено более 400 мировых брендов, среди которых как гиганты модной индустрии, так и занявшие свою нишу представители более молодого поколения.

Быть модным стильным и трендовым – вот к чему призывал нас Emporium со дня своего возникновения. Теперь же он показывает, как можно внести fashion в каждый уголок нашей жизни. Большой отдел модной одежды от известных дизайнеров для наших деток призывает привыкать к качеству с младых ногтей. Отдел товаров для путешествий дает возможность быть в тренде, даже находясь в пути, а в отделе товаров для дома можно найти дизайнерские мелочи, которые украсят наш дом и придадут ему неповторимость.

В заключение не можем не отметить современный дизайн магазина, который является настоящим произведением архитектурного искусства и в совершенстве передает инновационный дух Emporium-а.

Нармин Салаева

ახალი ტექნოლოგიები

მსოფლიო ბაზრის ლიდერმა კომპანიამ "Samsung Electronics" - მა საქართველოში „Samsung Galaxy Note 4"- სა და „Samsung Galaxy Alpha"-ს ოფიციალური გაყიდვა დაიწყო.

კომპანია "Samsung Electronics" ახალი პროდუქციის პრეზენტაცია, ოქტომბერში, სასტუმრო "ROOMS TBILISI" - ში გამართა.

მსოფლიო ბაზრის ლიდერი ელექტროტექნიკის წარმოებაში - Samsung Electronics-ი საქართველოს ბაზარზე 9 წლის წინ გამოჩნდა და მას შემდეგ Samsung-ის ყველა ინოვაციური პროდუქტის ოფიციალური დისტრიბიუტორია ქვეყნის მასშტაბით. კომპანიამ ოქტომებრში კიდევ ერთი სიახლე - Samsung Galaxy Note 4-ი და Samsung Galaxy Alpha წარადგინა.

პრეზენტაცია ოქტომბრის თვეში, სასტუმრო Rooms Tbilisi-ს პავილიონში გაიმართა, სადაც ამ უახლესი ტექნიკის შესაძლებლობები პირველად მედიის წარმომადგენლებმა გამოსცადეს.

განიერი ეკრანით და ელექტრო კალმით (S pen) Galaxy Note-ის სერია გამორჩეულ სიახლედ მიიჩნევა მობილური ტექნიკის სფეროში. ტელეფონის პირვანდელი ფუნქციის გარდა, უბის წიგნაკის დანიშნულებასაც ითავსებს და ინფორმაციის ციფრულ ფორმატში გადატანის საშუალებას იძლევა. თუ ხართ ქუჩაში ან ტრანსპორტში და თავში ახლადმოსული იდეის სასწრაფოდ ჩანიშვნა გესაჭიროებათ, უკვე შეგიძლიათ Samsung-ის ყველაზე მოსახერხებელი სანიშნე, ინოვაციური **Galaxy Note 4** გამოიყენოთ.

„Note ნიშნავს"- ამ სლოგანით ბაზარზე შემოსული Galaxy Note 4-ის კომფორტულობას კიდევ სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციებიც განსაზღვრავს. მაგალითად, განიერი ეკრანი ერთდროულად რამდენიმე ფანჯრის გახსნის შესაძლებლობას იძლევა, ხოლო Quad HD (2560x1440) ხარისხის ფორმატი უფრო მკვეთრ და ზუსტ გამოსახულებას აღბეჭდავს. Smart Optical Image Stabilizer-ის ფუნქციის დახმარებით, ტელეფონში ჩამაგრებული კამერა კადრს რყევისგან იცავს. სწრაფი დატენვის ფუნქციისა და ენერგო ეკონომიის მაქსიმალური რეჟიმის მეშვეობით, Galaxy Note 4 სწრაფად იტენება და მაშინაც მუშაობს, თუ აკუმულატორი დამჯდარია. მუსიკოსებს, ხმის რეჟისორებსა და ჟურნალისტებს აღარ მოუწევთ დიდი თანხის გადახდა დიქტოფონებში, რადგან რამდენიმე მიკროფონითა და ხმის ჩამხმობი დანადგარით აღჭურვილი Galaxy Note 4 -ის შეძენის შემთხვევაში, თქვენ ხმას ჩაიწერთ ყველგან, ხალხმრავალ ადგილასაც კი.

პრეზენტაციისას Samsung Electronics-მა კიდევ ერთი უნიკალური „სმარტფონი" - Samsung Galaxy Alpha წარადგინა. ტელეფონი

ინარჩუნებს Galaxy-ს პროდუქტების ყველა ტექნიკურ უპირატესობას- გამოირჩევა დახვეწილი დიზაინით, კომპაქტური ზომით, მეტალის ჩარჩოთი და კორპუსის გლუვი ზედაპირით. თანამედროვე ბაზრის ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით იგი გახლავთ სტილისა და უახლესი ტექნოლოგიების ოპტიმალური კომბინაცია.

Samsung Electronics-ის ქართული წარმომადგენლობის ინიციატივით, ადგილობრივი მომხმარებლებისთვის შეიქმნა მობილური მოწყობილობის დამცავი ჰოლოგრამა. ეს იმას ნიშნავს, რომ ტექნიკის ქართველ მოყვარულებს „ბრენდი" ადგილობრივ ბაზარზე მორგებულ ადაპტირებულ პროდუქციას შესთავაზებს და გარანტიას მისცემს, რომ საქართველოში შეძენილი ტელეფონი უმაღლესი ხარისხისაა და წარმოებულია ექსკლუზიურად ქართველი მომხმარებლისთვის.

Samsung Electronics-ის უახლესი მოდელების მეშვეობით თქვენ შეძლებთ გაიმარტივოთ პროფესიული საქმიანობა და ასახოთ ყველაფერი ციფრულ ფორმატში.

ყოველწლიური მოლოდინის მიზეზი

ტექსტი - თამარ კიკნაველიძე

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი წლის ერთ-ერთი მთავარი მოვლენაა კულტურაში და სტაბილურადაც ფინანსდება. მეექვსედ ორგანიზებული ინიციატივის მასპინძელი იყო თბილისის მერია, მხარდამჭერი – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, გენერალური სპონსორი – „საქართველოს ბანკი“ (ვინ იცის, მათი ჩამონათვალი იქნებ სტიმული გახდეს ორგანიზაციებისთვის, რომელთა ხელმძღვანელებიც, ფინანსურად დაწინაურებული მდგომარეობის მიუხედავად, კულტურული პროექტების განხორციელებას თავს არიდებენ).

ფესტივალი დასამახსოვრებელია, თუ წარმოდგენათა მხატვრული ხარისხი მაღალია და თანამედროვე მაყურებლის მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს. რამდენიმე ასეთი წლევანდელიდანაც შეიძლება გამოვარჩიოთ. უპირველესად, ადამიანის (და არა ტექნოლოგიების!) შემოქმედებითი შესაძლებლობების ოსტატურად გამოვლენით მომნუსხველი „ლირის სიმღერები“ (რეჟისორი გრეგორეჯ ბრალი, კომპოზიტორები ჟან-კლოდ აკვავივა, მასიეჟ რიჩლი), რომელიც „სამეფო უბნის თეატრში“ პოლონურმა თეატრმა „თხის სიმღერა“ (დაარსდა 1996 წელს, გრეგორ ბრალისა და ანა ზუბრზიჩკის მიერ) წარმოადგინა.

„ევროპის ყველაზე ინოვაციური დასი“ რომ თეატრალური ხელოვნების ზემოქმედების ძალის კვლევით არის დაკავებული, ამაში შექსპირის „მეფე ლირის“ მიხედვით განხორციელებულმა დადგმამ დაგვარწმუნა. მსახიობთა მიმიკისა და ჟესტის, მოძრაობისა და სიმღერის (შესრულებული ხან აკაპელაში, ხანაც ცოცხალი მუსიკალური თანხლებით) ერთიანობა მაყურებელში დრამატიზმის ისეთ განცდას იწვევდა, რომ სუნთქვაშეკრული აუდიტორია სიამოვნებით ხდებოდა მონაწილე და თანაზიარი ამბის, რომელსაც არტისტები ხმით და პლასტიკით სხვადასხვა ენაზე გვიყვებოდნენ. პოლონეთიდან ჩამოსულმა მსახიობებმა ერთი, მაგრამ დაუვიწყარი საღამო მხოლოდ საკუთარი ენერგეტიკის მართვის ცოდნისა და პროფესიის უმაღლეს დონეზე ფლობის წყალობით, ყოველგვარი ტექნოლოგიური მიღწევებისა და თვალისმომჭრელი ეფექტების გამოყენების გარეშე გვაჩუქეს.

2012 წელს დადგმულ „ლირის სიმღერებამდე“, თეატრალებს საშუალება ჰქონდათ ცოცხლად ენახათ ქორეოგრაფიული დადგმა, რომელიც 1994 წელს განხორციელდა და რომელმაც მსოფლიო მოიარა. თანამედროვე ცეკვის ნიმუშად აღიარებული ლინ ჰვაი-მინის „მოხეტიალეთა სიმღერებისადმი“ ქართველი მაყურებლის ინ-

„არ ნელდება ქართველი თუ უცხოელი მაყურებლის ინტერესი“

ტერესი იმანაც განაპირობა, რომ ტაივანური კომპანია „ღრუბლების კარიბჭის“ ძალისხმევით განხორციელებულ წარმოდგენას ანსამბლი „რუსთავი“ ქართული ხალხური სიმღერებით ცოცხლად აფორმებდა. დახვეწილი ქორეოგრაფიისა და პლასტიკის, შთამბეჭდავი სცენოგრაფიისა და მუსიკის სინთეზის დახმარებით, „აზიის მოწინავე თანამედროვე ცეკვის თეატრის“ („თაიმსი“, ლონდონი) დადგმა წლევანდელი თეატრალური ფესტივალის გამხსნელი და მთავარი წარმოდგენა აღმოჩნდა.

სამუზეუმო და კლასიკად აღიარებული დადგმების ჩამონათვალშია შესული წარმოდგენაც, რომელთანაც სხვადასხვა თაობის მაყურებლის ბავშვობა ასოცირდება. ბევრს გახსოვთ ალბათ ჯამბაზი ასისაი და მისი „დიალოგი“ ტელეფონთან, წარმოდგენაში გამოყენებული ვინსენტ ფორინოს პოპულარული სიმღერა Blue Canary, ფერადი და ჯადოსნური სამყარო, რომელიც „ექსცენტრულმა მიმმა“ – სლავა პოლუნინმა გასული საუკუნის 80-იან წლებში შექმნა. მიმიკისა და პლასტიკის ენით „მოსაუბრე“, სასაცილო კოსტიუმებში გამოწყობილ გმირებთან ურთიერთობის საშუალება თბილისელ მაყურებელს ორი დღის განმავლობაში მიეცა. ზღაპარში მოხვედრის განცდამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როდესაც სანახაობამ ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენიდან პარტერში გადაინაცვლა და დარბაზი თამაშისთვის განაწყო. პერსონაჟებთან თუ ჰაერში მიმოფანტულ უზარმაზარ ბურთებთან შეხების საშუალება მაყურებელს ორი დღით მიეცა. პოლუნინმა ჩვენი „ზრდასრულობის ტყვეობიდან გათავისუფლება“ შეძლო.

სამსახიობო ოსტატობის წინა პლანზე წამოწევით გამოირჩეოდა რუსეთის ხალხთა სახელმწიფო თეატრის წარმოდგენა „შუკშინის მოთხრობები“ (რეჟისორი ალვის ჰერმანისი), რომელშიც ევგენი მირონოვი (2006 წლიდან თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი) და ჩულპან ხამატოვაც მონაწილეობდნენ. მათი არტისტიზმის პარალელურად, წარმოდგენის ბოლოს, როდესაც მსახიობებმა „სულიკო“ ქართულ ენაზე იმღერეს, იმა-

შიც დავრწუნდი, რომ ქართველი მოქალაქეები ასეთი აღტკინებით ტაშს ხელოვნებაზე მეტად სწორედ რუსების მორიგ რევერანსს უკრავდნენ.

წლევანდელი თეატრალური ფესტივალი მოიცავდა: საერთაშორისო პროგრამას, საერთაშორისო პროგრამა „ნიუს“ (საკონკურსოა და მიზნად, ძირითადად, უცნობი თეატრების მცირებიუჯეტიანი წარმოდგენების მოზიდვას ისახავს), ქართული სპექტაკლების პროგრამას, რომელსაც დაემატა მიმართულება New Market of Caucasia and Black Sea Countries. აღნიშნულ ფორმატში შემოგვთავაზეს 20-მდე უცხოური (ტაივანი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, პოლონეთი, ლიტვა რუსეთი, უკრაინა, ფინეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი) და 42-მდე ქართული დადგმა. თბილისის (მათ შორის, ცხინვალიდან 1991 წელს დევნილი და ეროვნული მუსიკალური ცენტრის გაუსაძლის პირობებში თავშეფარებული, ასევე, საკუთარი თეატრის შენობის გარეშე დარჩენილი გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო) და საქართველოს სხვა ქალაქების (რუსთავი, თელავი, მესხეთი, ქუთაისი, ჭიათურა, ოზურგეთი, ზუგდიდი) თეატრების წარმოდგენებს ესწრებოდნენ უცხოეთიდან ჩამოსული კრიტიკოსები, პროდიუსერები, მენეჯერები.

აღსანიშნავია გამოფენა „XX საუკუნის ქართული თეატრის ისტორიული სამოსელი – თეატრალური კოსტიუმი“, რომელიც მარჯანიშვილის თეატრის ფოიეში სწორედ ფესტივალის ფარგლებში გაიხსნა. ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ შექმნილი ექსპოზიცია რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრების მუზეუმებსა და გარდერობებში დაცული და ნაკლებად ცნობილი ისტორიული კოსტიუმებით მოწყო. ექსპონირებულთაგან დამთვალიერებელი რამდენიმე ისეთ ნამუშევარსაც ნახავდა, რომელთა ავტორის ვინაობა, ისიც კი, თუ რომელი სპექტაკლისთვის იყო აღნიშნული კოსტიუმი შეკერილი, უცნობია და გამოკვლევას იმსახურებს.

რითი მოვიწონეთ წლევანდელ ფესტივალზე თავი და რა პრობლემების წინაშე დგას ქართული თეატრი, ცალკე განხილვის თემაა. თვალშისაცემია, რომ გაიზარდა პლასტიკაზე აგებული წარმოდგენების რაოდენობა. ფესტივალში მონაწილეობას აგრძელებს მატერიუალურ-ტექნიკური ბაზით გაუმართავი რეგიონის თეატრები. მატულობს სუბტიტრების გამოყენებისა და წარმართვის კულტურა. არ ნელდება ქართველი თუ უცხოელი მაყურებლის ინტერესი, რომელსაც საორგანიზაციო ჯგუფთან თანამშრომლობაში ჩართული კრიტიკა უფრო ობიექტურ და პროფესიულ რეკომენდაციებს თუ შეაშველებს (მაგალითად, ქართული დადგმებისთვის ვარსკვლავების მინიჭების მიმართულებით), მეტად ადეკვატური წარმოდგენა დარჩება თანამედროვე ქართული თეატრის მდგომარეობაზე.

თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს (დირექტორი ეკა მაზმიშვილი) მხარდამჭერთა და ხარისხით გამორჩეული წარმოდგენების არჩევანის შესაძლებლობის ზრდას ვუსურვებ!

ავტოპორტრეტი
საახალწლო სათამაშოში

ტექსტი - თეონა ჯაფარიძე, ფოტო - თინათინ კიღურაძე

თუ გინდათ ბავშვობაში დაბრუნდეთ, ჩემსავით უნდა მოახერხოთ და ახალი წლის წინა დღეებში (დამეთანხმებით, ეს განსაკუთრებული ჯადოსნური დროა) მხატვართა წყვილთან – ნინო ჭილაშვილთან და კოტე სულაბერიძესთან სახელონოში უნდა შეირბინოთ, და მერე ბევრი ილაპარაკოთ ბავშვობისდროინდელ ფერებზე, სურნელზე და ათასგვარ შეგრძნებებზე.

ის პირდაპირ კავშირშია მათ ნამუშევრებთან, თუნდაც ამ ნაძვის ხის სათამაშოზე, რომლის შექმნის ისტორიაც კოტემ ასე მიამბო:

„მაშინაც ახალი წელი დგებოდა. მახსოვს ერლომ ახვლედიანის წიგნის ილუსტრაციაზე ვმუშაობდი. უნდა გამეფორმებინა მისი „აღუ"– წიგნი პატარა ბავშვის ფიქრებზე, ვიდრე ის ხმას ამოიღებს. ფიქრებით ბავშვობაში წავედი: აი იმ დროში, ისეთი პატარა რომ ხარ, რომ ნაძვის ხის პირველ ტოტს ძლივს წვდები, და ნაძვის ხის სათამაშოდან არეკლილი საკუთარი უცნაურად დეფორმირებული გამოსახულება რომ გიყურებს. მართალია, შემდეგ წიგნისთვის სულ სხვა ილუსტრაცია გავაკეთე. მაგრამ ტილოზე ზეთში ამ ფიქრის შედეგად გაჩნდა ნამუშევარი – ნაძვისხის ბურთი, საიდანაც ვიღაც სასაცილო არსება გიყურებს. მახსოვს, ამ დროს ნინოც სახელოსნოში იყო და ქაღალდისგან ჩუქურთმებს ჭრიდა. შემდეგ ამ ჩუქურთმისგან გავაკეთეთ ტრაფარეტი და ტილოზე კუთხეში გადავიტანეთ, რომელმაც რაღაც ჯადოსნური ელემენტი შემატა ნახატს. ასე შეიქმნა ერთობლივი ნამუშევარი, რომელსაც „ავტოპორტრეტი საახალწლო სათამაშოში" დავარქვით. ფაქტობრივად ეს ყველას ავტოპორტრეტია, ვისაც ბავშვობაში ნაძვის ხეზე ჩამოკონწიალებულ სათამაშოში ერთხელ მაინც ჩაუხედავს..."

ცოტა ხანში ამ ერთი შეხედვით თითქოს და მარტივად, ზეთში შესრულებულმა ნახატმა, სრულყოფილი ფერწერული ტილოს ცხოვრება გააგრძელა: ის გაიყიდა და მალევე, ახალი წლის წინა დღეებში 2010 წლის 28 დეკემბერს, როცა „გალა გალერეაში" კოტე სულაბერიძის პერსონალური გამოფენა „თბილისის ცის ქვეშ" გაიხსნა, გალერეის მეპატრონე დედიკა ბულიამ, მხატვარს ნაძვის ხის სათამაშოების პატარა გრაფიკული სერიაც შეუკვეთა. მას შემდეგ თითქოს საახალწლო გოზინაყივით ტრადიცია



ცა - ცისფერია!
დროშა - წითელი!
არაყი - გამჭვირვალე!
ყველაფერი ცხადია
და გარკვეულია!

დამკვიდრდა და უკვე რამდენიმე წელია, თბილისში, ახალი წლის წინა დღეებში მხატვრობის მოყვარულებსა თუ დამწყებ კოლექციონერებში დიდი პოპულარობით სარგებლობს კოტე სულაბერიძის ეს ჯადოსნური ნამუშევრები...

კოტე სულაბერიძის საეტაპო ნამუშევრებისა და გამოფენებზე საუბრისას, ყველაზე მეტად თვალში საცემი მისი ერთი ტილო – „დალტონიკის თვალებით"-აა. ეს ნამუშევარი „ბაია გალერეამ" წარადგინა სოთბის სააუქციონო სახლის გამოფენაზე „გზაჯვარედინზე" 2013 წელს.

იგივე სახელწოდების ნამუშევარი თავდაპირველად 1999 წ-ს შეიქმნა გამოფენისთვის, „7 მხატვრის მოკრძალებული ხიბლი", მაცაცო გაბუნიასა და ნინო გუჯაბიძის კურატორობით. 2011 წელს როდესაც თბილისში „სოთბის" კურატორი საუდ გარაევა ჩამოვიდა ნამუშევრების შესარჩევად, სწორედ კოტე სულაბერიძის ამ პუანტელისტურად გაფანტულმა ფერადი ბურთების დიპტიხმა მიიპყრო მისი ყურადღება. 2012 წელს სპეციალურად „სოთბისთვის", „ბაია გალერეის" დაკვეთით ხელმეორედ შეიქმნა ნამუშევარი – დიპტიხი, რომელიც ფაქტობრივად ერთმანეთის უარყოფაა და ასახავს ერთის მხრივ დალტონიკის თვალით, ხოლო მეორეს მხრივ, ჩვეულებრივი, ფერადოვანი აღქმით დანახულ სამყაროს. ნამუშევარი ეჭვქვეშ აყენებს ხედვის ნორმატივებს. დიპტიხს თან ერთვოდა მხატვრის კვლევა ფერის შესწავლის სფეროში:

„..ნამუშევარი მიეძღვნა ჩემი ცხოვრების ერთ მომენტს – როცა 16 წლის ასაკში, მომავალმა მხატვარმა, სამედიცინო დასკვნის შედეგად აღმოვაჩინე, რომ ფერადოვანი დარღვევა მაქვს.

.. ჩემი თვალები წითელს აღიქვამდნენ მწვანედ, ყვითელს ცისფრად და ა. შ.., მაგრამ 16 წელი ეს დეფექტი არაფერში იჩენდა თავს და მეც ვერაფერში ვგრძნობდი დისკომფორტს, ვინაიდან დაბადებიდან მიჩიჩინებდნენ, რომ

ცა – ცისფერია!
დროშა – წითელი!
არაყი – გამჭვირვალე!
ყველაფერი ცხადია და გარკვეულია!

ახლა კი როცა დროც გავიდა

და შემეცნებაც უფრო გარღმავდა ამ საკითხში, გარკვეულ გაუგებრობებს აქვს ადგილი, როგორც ჩემთვის, ასევე გარემომცველ ადამიანთა უმრავლესობისთვის. მეკითხებიან:

– რა ფერად ხედავ ამ ფოთოლს?

ვპასუხობ: როგორც ჩანს, წითლად, მაგრამ მე ამ ფერს ვეძახი „მწვანეს".

– მოიცა, მოიცა, ეს როგორ?

– „ჩვეულებრივად, შენ რომ ჩემი თვალით შეხედო, დაინახავ წითლად, მაგრამ ჩემთვის ესაა მწვანე.

– კი, მაგარამ აბა ცას როგორ ხედავ?

– შენთვის ყვითლად, ჩემთვის ცისფრად..

– ერთი რამ უდავოა, ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ, ეს მხედველობითი „ხინჯიც" უმრავლესობის მიერ თავს მოხვეულია უმცირესობის მიმართ..." - ვკითხულობთ მხატვრის კვლევაში.



კოტე სულაბერიძის კონცეპტუალური ფერწერით ცნობილი დასავლელი კურატორები თუ გალერისტები ინტერესდებიან: მაგალითისთვის, ცნობილი არტ-კრიტიკოსი, მანიფესტა 1-ის, ვენეციისა თუ სტამბოლის ბიენალეების კურატორი ვიქტორ მიზიანოც საკმარისია, რომელმაც 2007 წელს პოსტ-საბჭოთა ხელოვნების მასშტაბური გამოფენისთვის კოტე სულაბერიძის რამოდენიმე ნამუშევარი შეარჩია. გამოფენა ერთდროულად პრატოს, ათენის, ტალინისა და ჰელსინკის თანამედროვე საგამოფენო სივრცეებში მოეწყო. მიზიანომ ჰელსინკში Kiasma-ს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმსა და პრატოს Luigi Pecci-ის თანამედროვე ხელოვნების ცენტრში კოტე სულაბერიძის მასშტაბური ტილო „ჩემი კავკასიონი" და „წერილები მოსკოვიდან" და ვიდეო-არტი „ომობანა" წარადგინა. ეს კოტე სულაბერიძის ცნობილი ნამუშევრებია და თითეული მათგანი ზუსტად ასახავს მისი მხატვრობის არსს და სულს. მაგალითად „ჩემი კავკასიონის" შესახებ მხატვარი მიამბობს:

„ერთ-ერთი ნამუშევრის დასრულების შემდეგ მომრჩა უცნაური ფორმატის ტილო (6 მეტრი სიგრძე და 50 სანტიმეტრი სიმაღლე). გაჭრა დამენანა, თანაც ამ ფორმატს რომ შევხედე უცებ წარმოვიდგინე კავკასიონის ქედი, დახატული მასშტაბში და ეს გავაკეთე კიდეც: ზედ დავიტანე სიმაღლეები, პირობითი ნიშნები, რეალურ წერტილებს დავამატე არარეალური ადგილები, მაგალითად, „აღმოუჩენელი განძი", სატრფიალო ადგილები, და მთელი მითოლოგია – დევების, ჭინკების, რაშების ადგილსამყოფლები და ასე შეიქმნა „ჩემი კავკასიონი", რომელიც ბავშვობიდან თითქმის მოვლილი მაქვს..."

„ომობანა" 90-იანებში, ფანერაზე დისპერსიული საღებავით შესრულებული მასშტაბური ნამუშევარია (1,10x2მ), ბავშვური ხელის მანერირებით ბავშური ომობანას თამაშის გრაფიკული გამოსახულება, რომლისგანაც მოგვიანებით, ვატო წერეთლის დახმარებით ანიმაციური ვიდეო შეიქმნა. მასთან ერთად გამოფენილი იყო ერთი

საინტერესო ობიექტი, რომელიც კიდევ უფრო ამძაფრებდა ნამუშევრის პაციფისტურ კონტექსტს. ობიექტი წარმოადგენდა მფრინავის მუზარადს (სკაფანდრს)

"ის თავის დროზე გუდაუთის სამხედრო-საავიაციო ბაზიდან წამოვიღე, როგორც სუვენირი, საბჭოთა ჯარში ყოფნის პერიოდიდან. მუზარადს მისივე მფლობელის გვარი – დოლბილინი ეწერა, რომელიც სიტყვიდან – долбить (ტეხვა, ჩეხვა, ჭეჭყვა) მოდის. მოგვიანებით, აფხაზეთის ომის დროს, სოხუმი სწორედ ამ თვითმფრინავებით (Su-27) დაბომბეს. ამიტომაც გამოვიყენე ეს ნივთი, როგორც ობიექტი, რომელიც ნამუშევართან მშვენივრად შევიდა დიალოგში", ამბობს მხატვარი.

ალბათ კონტრასტული გადასვლაა სამხედრო მუზარადიდან გამჭვირვალე წყლის საღებავებსა და ქაღალდის სურნელზე: ეს უკვე ნინო ჭილაშვილის სამყაროა. ის აკვარელისტია და ამით ყველაფერი საკმაოდ ხმამაღლაა ნათქვამი თანამედროვე არტის, ინსტალაციებისა და პერფორმანსების ეპოქაში.

„...აკვარელი არ მოგატყუებს, არ გაპატიებს სიყალბეს", მეუბნება კოტე, როცა საუბარი ნინოს ნამუშევრებზე და შესაბამისად, აკვარელზე ჩამოვარდა. და მართალაც ალბათ მხატვრობას უნდა მიჰყიდო მთლიანად სული, რომ ამ ყველაზე მეტად დაუმორჩილებელ საღებავთან იურთიერთო. მისი სპეციფიკიდან გამომდინარე ის ძნელი შესანახი და გამოსაფენია. სწორედ ამ უამრავი მიზეზის გამო, ნინოს და კოტეს სახლში ერთი „ჯადოსნური ყუთი" ინახება.

ნინო ჭილაშვილი: „აკვარელს საოცარი ძალა აქვს – ძალაუნებურად ინფანტილურს გხდის. წყლის საღებავები, ქაღალდი, ფუნჯი ემოციურად მავსებს და ბავშობაში მაბრუნებს. ბავშვობის დროინდელ შეგრძნებებში მამოგზაურებს, ბებიის საჩუქრად მოტანილ სახატავი ფურცლებისა და ფერადი ფანქრების ლამაზი ყუთების სურნელს მიბრუნებს. ბევრს ვხატავ და და ჩემი აკვარელები ჩემი ყოველდღიური შეგრძნებებია. მაგრამ პრაქტიკულად მათ ვერც ჩარჩოში ჩასვამ და გამოსაფენადაც ძნელია. ერთხელ საჯარო ბიბლიოთეკაში ძველი იაპონური ხელნაკეთი წიგნი ვნახე, ბრინჯის ქაღალდზე გამჭვირვალე ნახატებით და ხელით აკინძული. და მივხვდი, რომ ეს ჩემი ნამუშევრებიც ასე ერთ წიგნად აკინძული უნდა ყოფილიყო, იმიტომ რომ მათი განცალკევება ჩემთვის წარმო-

უდგენელია, იმდენად ერთ მთლიან ნამუშევრად და მთელ ცხოვრებად აღვიქვავ მათ...”

კოტე სულაბერიძე: “სწორედ ამიტომაც ნინოს ნამუშევრებისთვის სპეციალურად „ჯადოსნური ყუთი” გავაკეთეთ. ეს არის კონცეპტუალურად, გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებული ნახატები, რომლებიც 1x1 მ-ზე ფორმატის კალკის გამჭვირვალე ფურცლებითაა ერთმანეთისგან გამოყოფილი და მოთავსებული ბოლტებზე დამაგრებულ ორ ფანერას შორის. ფაქტობრივად, ეს წიგნიც არის, კონცეპტუალური ობიექტიც და უამრავი ცალკეული აკვარელით შესრულებული ნამუშევარიც. კალკის გამჭვირვალე ფაქტურა კი კიდევ უფრო მეტად ხაზს უსვამს აკვარელის სპეციფიკას და საერთოდ ნინოს მხატვრობის თავისებურებას. ”

მხატვართა ამ წყვილზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება, მაგარამ ახალი წელი დგება და ამ დღეებში განსაკუთრებით აქტუალურ, კოტე სულაბერიძის პოპულარული ნამუშევრებს – ”ხინკალსა” და ”ჩურჩხელას” შეგახსენებთ: ეს საპროექტო ფორმატით, გეომეტრიული კანონების დაცვით შესრულებული „ჩურჩხელისა” და „ხინკალის” გრაფიკული გამოსახულება კარგა ხანია გასცდა საგამოფენო სივრცეს და მათი ნახვა ყოველდღიურობაში: არტ-კაფეების მენიუებსა თუ სოციალურ ქსელში შეგიძლიათ. ეს ნამუშევრები ტურისტებისთვის საქართველოს მეინსტრიმ-იმიჯია.

„მინდოდა წიგნი გამეკეთებინა „მოგზაურის დღიური”, როგორც კასტელისა და დიუმას სამოგზაურო ფურცლების ფსევდოფალსიფიკაცია. მინდოდა მთელი სერიის გაკეთება ლითოგრაფიული წესით 10-10 ორიგინალი. ნამუშევრების დასაბეჭდად ტვინის ენცეფალოგრამის ქაღალდი შევარჩიე. ე.წ. „მილიმეტროვკას“ მსგავსია. ამ ქაღალდს ექიმები ტვინის კვლევის დროს იყენებენ ენცეფალოგრამის გადაღებისას. სიმბოლურად ეს მოგზაურის კვლევაა „ხინკლის” ან „ჩურჩხელას” მეშვეობით – თუ რა ხდება ქართველების ტვინებში, ან პირიქით ევროპელების შეგრძნებების კვლევა, როცა ჩვენს ნაციონალურ „ცნობიერებას” აგემოვნებენ..” – მიხსნის მხატვარი და ახალ წელს გვილოცავს ყველას..

{ ეს არის კონცეპტუალურად, გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებული ნახატები }

New Year's Eve!

SALOME GHVINIASHVILI & ZURA KHIZANISHVILI
Photo: ANA BOKO
Makeup & Hairstyle: EKATERINE CHANCHIBADZE
Location&Decoration: AMBIENCE DELUXE

woman: dress ANOUKI, earrings MARINA FOSSATI / Man: Knit DORIANI, Pants CORNELIANI, Shoes STRADA

Dress ANOUKI / Necklace MARINA FOSSATI

woman:
dress MARELLA
ring ASSOS

man:
shirt CARUSO
pants JACOB COHEN

woman: knit MARELLA, pants MARELLA, watch LONGINES
man: knit SVEVO, shirt CARUSO, belt STRADA, pants CORNELIANI watch LONGINES

MARELLA Ambience de luxe ARTIME Boutique TUTTO UOMO

woman: dress ANOUKI / man: suit CORNELIANI, shirt CORNELIANI, watch LONGINES

total look AVTANDIL / earrings MARINA FOSSATI

Gift ideas

ANNE SEMONIN SPA
PARIS

ანე სიმონეს სპა გთავაზობთ
10% ფასდაკლებას
ყველა ტიპის სასაჩუქრე ვაუჩერზე

ფასდაკლება ძალაშია 2015 წლის 15 იანვრამდე
ფასდაკლების მისაღებად წარადგინე ეს კუპონი ანე სიმონეს სპაში ვაუჩერის შეძენისას

ბათუმი
სასტუმრო "რადისონ ბლუ"
ნინოშვილი ქ. 1, 6000 ბათუმი, საქართველო
T: +995 422 255 555, F: +995 422 228 888
info.batumi@radissonblu.com
radissonblu.com/hotel-batumi
Radisson Blu Hotel, Batumi

თბილისი
სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერია"
ბაღლების ფასეულობის ბულვარი 1, 0108 თბილისი, საქართველო
0:+995 322 402 200
info.tbilisi@radissonblu.com
radissonblu.com/hotel-tbilisi
Radisson Blu Iveria Hotel

#annesemoningeorgia

Olympia le-tan

Eshvi

Roja Parfums

Stella McCartney

ვაუჩერის მფლობელს საჩუქრად

თმის ზრდის ბიოსტიმულაცია ამერიკული აპარატით ILLUMIWAVE

Hasselblad

Tom Ford

LUTECIA
Perfume & Cosmetics

2014 წლის დეკემბრისთვის, ლუტეციაში წარმოდგენილი ნიშ პარფიუმერია.

Annick Goutal, Escentric Molecules, Beautiful Mind, Tom Ford, L'Artisan Parfumeur, Penhaligon's

Gucci

Bottega Veneta

Montblanc

TAG Heuer

Salvatore Ferragamo

Canali

Viktor & Rolf

ARTTIME

ახალი წელი თავად-აზნაურებთან

კონცეფცია, ფოტო, ტექსტი: ირინა აბჟანდაძე

1857 წელს სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ, პარიზში ჩასულმა ეკატერინე ჭავჭავაძემ მალევე გაიცნო საიმპერატორო ოჯახის წევრები და ნათესავები, მათ შორის, ნეაპოლის მეფის – იოახიმ მიურატის შვილიშვილი აშილ შარლ-ლუი ნაპოლეონ მიურატი. მას დიდად აფასებდა საფრანგეთის სამეფო კარი, თუნდაც იმ გარემოების გამო, რომ პაპამისს – ნეაპოლის მეფე იოახიმ მიურატს ცოლად ჰყავდა ნაპოლეონ I-ის და. სწორედ აშილ მიურატზე დაქორწინდა ეკატერინე ჭავჭავაძის ქალიშვილი სალომე დადიანი. ევროპის მაღალი საზოგადოება განსაკუთრებით დაინტერესდა დადიანისა და მიურატის ქორწინებით. ჯვრისწერა ტიუილრის კარის ეკლესიაში, საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ III-ისა და დედოფალ ევგენია მონტიხის თანდასწრებით აღესრულა. წყვილს რუსეთის მონარქმა ოცი ათასი ფრანკი უძღვნა, ხოლო იმპერატორმა ნაპოლეონმა თავის ძმისწულს ერთი მილიონი დაუნიშნა, ამასთან ერთად, მონსოს ბაღის ახლომდებარე პერეირასის მშვენიერი სასახლე უყიდა.

აშილ მიურატი, სალომე დადიანი-მიურატი

იმდროინდელი ფრანგული პრესა ახლადდაქორწინებული წყვილის შესახებ ბევრს წერდა: „პრინცესა სალომე დადიანი იყო გრაციოზული და წარმტაცი, როგორც დედამისი, ცხოვრობდა სასტუმრო ლუვრში. საფრანგეთის მაღალი წრის საზოგადოება თავს იყრიდა მათთან".

სალომე დადიანი ქორწინების შემდეგ პრინცესა სალომე მიურატად იწოდებოდა.

ნაპოლეონ III-ის გარდაცვალების შემდეგ 1883 წელს აშილი და სალომე მიურატები უკვე საბოლოოდ გადმოსახლდნენ საქართველოში და სამეგრელოში დამკვიდრდნენ. სამეგრელოში მათი ადგილსამყოფელი ზუგდიდის გარდა, სალხინო და ჭკადუაში იყო.

სალხინოსა და ჭკადუაში მიურატების წამყვანი კულტურა ვაზი იყო. ისინი აშენებდნენ როგორც უცხოურ, მეტწილად ფრანგულს, ისე ადგილობრივ ვაზის ჯიშებს; უცხოურიდან - „კაბერნეს" და „ფორტუგეს", ადგილობრივიდან კი – უფრო „ოჯალეშს".

მიურატები ბევრ სხვა სფეროშიც საქმიანობდნენ: სკოლების, ბიბლიოთეკების, საავადმყოფოების მშენებლობა, სტიპენდიები, ერთჯერადი დახმარებები, ტყვია-ვერცხლის საძიებო საქმე ლეჩხუმსა და სვანეთში – ეს ყველაფერი მათ სახელს უკავშირდება.

მიურატებმა შესანიშნავად მოწყობილ სასახლეებში საფუძველი დაუდეს ევროპული ყაიდის ცხოვრებას. ამ წამოწყებამ საკმაოდ მალე მიიზიდა მაშინდელი ზუგდიდისა და მახლობელ ადგილებში მყოფი, როგორც ქართველი, ისე უცხოელი სამხედრო არისტოკრატია. მათთვის დადიანების სასახლემ ნამდვილი ევროპული სალონის იერი შეიძინა.

აქ იმართებოდა წვეულებები, დაბადების დღეები, მეჯლისები.

სასახლეში განსაკუთრებული ელფერით აღნიშნავდნენ ახალი წლის შემოსვლას. საახალწლო მზადება სასახლეში 2 თვით ადრე იწყებოდა. სადღესასწაულო სუფრისათვის, სასახლის დარბაზებისა და ბაღის გასაფორმებლად საჭირო აქსესუარებს, სტუმრებისთვის მისართმევ ძვირფას საჩუქრებს, კოსტიუმებს ოჯახის თითქმის ყველა წევრისთვის, ევროპის სხვადასხვა ქალაქიდან იწერდნენ. საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა კუთხეში 2 კვირით ადრე აგზავნიდნენ ორიგინალურად გაფორმებულ, ასევე რუსეთიდან ან ევროპის რომელიმე ქალაქიდან გამოწერილ მოსაწვევ ბარათებს, სადაც აღნიშნული იყო მეჯლისის ან ნადიმის დაწყების თარიღი და დრო. ვის არ ნახავდით მათთან სტუმრად: ქართლიდან – ბაგრატიონებს, ამილახვარებს და ორბელიანებს, იმერეთიდან – წერეთლებს, კახეთიდან – ჭავჭავაძეებს, ანდრონიკაშვილებს, მაყაშვილებს, ჯორჯაძეებს, გურიიდან – გურიელებს, ნაკაშიძეებს, სვანეთიდან – გელოვანებს, დადეშქელიანებს, აფხაზეთიდან – შარვაშიძეებს.

თანამედროვეთა გადმოცემით, დადიან-მიურატების კარზე, ისევე, როგორც ევროპაში, მრავლად იყვნენ მასხარებიც, როგორც პრინცესას სუფრის საზეიმო მიღებებისა და ცერემონიების მონაწილენი, ზოგიერთი მათგანი სასახლეშიც ცხოვრობდა.

საახალწლო ნადიმს წინ უძღოდა მეჯლისი, ქართულ-ევროპულ სამოსში გამოწყობილი თავადაზნაურობა ძირითადად ევროპულ ცეკვებს ასრულებდა.

საახალწლო მეჯლისის დაწყების წინ სასახლეში ზედმიწევნით ზრდილი, ტანადი ახალგაზრდები ტრიალებდნენ, რომლებიც საუცხოოდ ფლობდნენ რუსულ და ფრანგულ ენებს. ისინი მოახსენებდნენ პრინცესა სალომეს და მის მეუღლეს სტუმრების შესახებ. ოჯახის უფროსის ბრძანებით სწორედ ეს ახალგაზრდები გადაცემდნენ სტუმრებს მათთვის კუთვნილ საჩუქარს.

საახალწლო სუფრა ძირითადად ქართული სამზარეულოს ელემენტებისაგან შედგებოდა. თუმცა უხვად იყო ფრანგული ან იტალიური რეცეპტებით დამზადებული კერძები (სასურველ სურსათს 2 თვით ადრე იწერდნენ ევროპიდან). აშილ მიურატი არაჩვეულებრივად ნადირობდა, საახალწლო სუფრაზე ხშირად ნახავდით მის მიერ მონადირებული შველის, გარეული ღორის, კურდღლის ფრანგული რეცეპტით დამზადებულ არაჩვეულებრივ კერძებს. ძირითადად, ოჯალეშის ღვინოს სვამდნენ, თუმცა უხვად იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მორთმეული საუკეთესო ღვინოები. სუფრაზე მომსახურე პერსონალი ჭურჭელს, რომელიც ასევე ევროპული წარმოების გახლდათ, ძალიან ხშირად ცვლიდა.

ლხინი ზოგჯერ გათენებამდეც კი გრძელდებოდა. სტუმრები ხშირად 2 კვირის მანძილზეც კი რჩებოდნენ სასახლეში.

სტუმრად დადიანებთან ჭკადუაშის სასახლეში

სტუმრად ჯამბაკურ - ორბელიანებთან

მე-19 საუკუნის მიწურულს, ქართული საზოგადოებისათვის არისტოკრატული წრის ერთ-ერთი წარმომადგენლის მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის სახელი კარგად იყო ცნობილი.

მარიამის მამა ცნობილი რომანტიკოსი პოეტი ვახტანგ ორბელიანი ერეკლე მეფის ასულის, თეკლა ბატონიშვილის უმცროსი შვილი გახლდათ.

მარიამი ლამისყანელ მემამულეზე ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანზე დაქორწინდა. ორბელიანებს ლამისყანაში მდიდარი ოჯახი ჰქონდათ. ფართო, ახლად გადაკეთებული, უზადო გემოვნებით მოწყობილი სასახლე, მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელსაც ყოველ კვირას ემატებოდა თბილისიდან, ბერენშტამის წიგნების მაღაზიიდან საუკეთესო ევროპული გამოცემები; „ბეკერის" ფირმის როიალი, კარგად მოწყობილი თავლა რამდენიმე ათეული საუკეთესო ცხენით და ეტლებით, წისქვილები თავისი პერსონალით, მოგვიანებით მარიამს დედამთილმა – ნინო ერისთავმა საჩუქრად გადასცა თავისი უძრავ-მოძრავი ქონება (გორის მაზრის 26 სოფელი, მამულები სოფელ ატენში და იმავე სოფელში მდებარე სიონის ტაძარი).

ჯამბაკურ-ორბელიანების სახელს უამრავი საქველმოქმედო აქტი უკავშირდება: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფუძნება, სათავადაზნაურო სკოლის გახსნა, პირველი ქართული ორკესტრის შექმნა და მისი მფარველობა. მარიამი 33 წლის მანძილზე პატრონობდა „მასწავლებელ ქალთა სკოლას". მისი დაუღალავი მცდელობით 1906 წელს გაიხსნა პირველი ქართული ქალთა სკოლა. როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს მემამულისგან მისი მხარდაჭერით დაარსდა „საქველმოქმედო საზოგადოება", რომელიც ეხმარებოდა რევოლუციონერებს და მათ ოჯახებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მარიამ და ალექსანდრე ორბელიანების თანადგომა და დახმარება ივანე ჯავახიშვილისთვის თბილისის უნივერსიტეტის დაარსების საქმეში (ი. ჯავახიშვილი მარიამის ძმიშვილის, პირველი ქართველი მევიოლინე ქალის ანასტასია ორბელიანის მეუღლე გახლდათ). სწორედ მარიამმა ჩამოიტანა შვეციიდან უნივერსიტეტის პროექტი. შვეციის პრინცმა მარიამის ძმისშვილს თამარ (ატა) ორბელიანს უსახსოვრა 27 მოზრდილი ბრილიანტისგან შემდგარი კოლიე, რომელიც ორბელიანებმა დაშალეს და სხვადასხვა ქველმოქმედებისათვის გამოიყენეს.

7 დეტალი უნივერსიტეტის მშენებლობას შეწირეს, 7 ამჟამინდელი ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე სკოლისა და ეკლესიის მშენებლობას. დანარჩენი კი ნიჭიერი სტუდენტების სტიპენდიას რუსეთსა და ევროპის სხვადასხვა ქალაქში.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი

ორბელიანების ოჯახი ლამისყანის სასახლეში

ორბელიანები გარდა ლამისყანისა, სასახლეებს ფლობდნენ სოხუმსა და ბათუმში, თუმცა ძირითადად თბილისში ცხოვრობდნენ. მათ სახლში მუდმივად ცხოვრობდნენ ახლო ნათესავებიც და უცხოეთიდან ჩამოსული მეგობრებიც.

მარიამის ოჯახში განსაკუთრებულად ემზადებოდნენ შობა-ახალი წლისათვის. სასურველ სტუმრებს წინასწარ უგზავნიდნენ მოსაწვევ ბარათებს. საახალწლო სუფრისთვის სახელდახელოდ უკვეთავდნენ ჭურჭელს პარიზსა და ვენეციაში. შთამომავლებთან დღესაც შემორჩენილია ფაიფურის ჭურჭელი ორბელიანების გერბით და ვენეციური მინის ჭურჭლის ნაშთი. ჭურჭლის სისქეც კი განსაზღვრული ჰქონდათ. საახალწლო სადილისთვის ოდნავ სქელი უნდა ყოფილიყო, დესერტისთვის განკუთვნილი კი გაცილებით თხელი. მარიამი ოჯახის ყველა წევრისთვის ადრესატის ინიციალებიან საჩუქარს უკვეთავდა. ევროპიდან იწერდნენ საახალწლო ზეიმისათვის შესაფერ ტანისამოსს.

ორბელიანების ოჯახში გოზინაყის და ორბელიანის ნუგბარის დამზადების განსაკუთრებული რიტუალი არსებობდა. მარიამმა საფრანგეთში, ქალაქ ბიარიცში, სადაც მას სახლი ჰქონდა და ხშირად ნათესავებთან ერთად სტუმრობდა, ორიგინალური ფრანგული კანფეტის რეცეპტი შეისწავლა, რომელსაც თავისი ფანტაზიით რამდენიმე ინგრედიენტი დაუმატა და ორბელიანის ნუგბარი უწოდა. ნუგბარის მოსამზადებლად განსაკუთრებული სიფრთხილით არჩევდნენ ნიგოზს, რომელიც სპილოსძვლისფერი უნდა ყოფილიყო და აუცილებლად მთელი, ხოლო კარამელი კი მზისფერი. ბუხარში ცეცხლზე მოათავსებდნენ თუჯის უზარმაზარ ქვაბს, ნაკვერჩხალს ხშირად აბრუნებდნენ, რომ ცეცხლი თანაბარი ყოფილიყო, პროცესის დასრულებას კარამელის დუღილის ხმით ხვდებოდნენ. მარიამი თავად ამზადებდა გოზინაყს და „ორბელიანის ნუგბარს".

საქართველოში პირველად ნაძვის ხე მარიამ-ჯამბაკურ ორბელიანმა შემოიტანა. დღემდე შემორჩენილია მის მიერ ჩამოტანილი ნაძვის ხის უნიკალური სათამაშოები და სხვადასხვა აქსესუარები. საახალწლო სადილს ან ვახშამს აუცილებლად ახლდა არაჩვეულებრივად შესრულებული კლასიკური მუსიკა. მარიამის ძმა, იმ დროისათვის ცნობილი იურისტი ნიკოლოზ ჯამბაკურ-ორბელიანი პეტერბურგის მახლობლად მიწებს ფლობდა. მისი ვალი ჰქონდა პეტერბურგში მცხოვრებ, ძველი უნიკალური ინსტრუმენტების კოლექციონერს. ვალის სანაცვლოდ ნიკოლოზს სთხოვა მისი კოლექციიდან 2 ინსტრუმენტი აერჩია. ასე მოხვდა ორი უძვირფასესი ვიოლინო (სტრადივარიუსის და გვარნერის ფირმის) ჯამბაკურ-ორბელიანების ოჯახში. ახალი წლის საღამოს, სტუმრებისათვის საგანგებოდ მოწყობილ კონცერტზე არაჩვეულებრივად უკრავდნენ ვიოლინოზე ნიკოლოზის ქალიშვილები. მარიამი თავადაც არაჩვეულებრივად უკრავდა ფორტეპიანოზე. მან პირველმა შეასრულა საქართველოში ბეთჰოვენის მე-3 საფორტეპიანო კონცერტი.



სიუხვით და ფერადოვნებით გამორჩეული საახალწლო დღესასწაულები გასაბჭოებამდე გრძელდებოდა ორბელიანების სახლში. საოცარი ხელგაშლილობით გამოირჩეოდა მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი. იგი ძალიან ხშირად ჩუქნიდა სტუმარს გერმანული ფირმის უძვირფასეს როიალს, აღმოსავლური ვარდის ფესვის ტუმბოს, წითელი ხის კარადას. გასაბჭოების შემდეგ ლამისყანის სასახლეშიც თავიანთი ხალხი ჩააყენეს ბოლშევიკებმა. მარიამი მათ „მდგმურებს" უწოდებდა. დაიწყეს უმოწყალო ძარცვა. სასახლეში ჩასახლებული ქალები კედელზე გაკრულ, უნიკალურ, იაპონურ აბრეშუმის შპალერს გლეჯდნენ და კაბებს იკერავდნენ.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი
ნათესავთან ერთად

ივანე (ნიკო) ამილახვარი

ამილახვართა გვარს ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია. ივანე გივის-ძე ამილახვარი, ვის ოჯახზედაც უნდა გიამბოთ, პირდაპირი შთამომავალი გახლდათ ცნობილი ისტორიული პიროვნების გივი ანდუყაფარის-ძე ამილახვარის, რომელსაც უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქართველი ერის წინაშე:

მან აღადგინა ბეთჰაინის (ბეთლემის) ეკლესია თბილისში, ააშენა წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, დღეს იმ ადგილზე ქაშუეთის ეკლესია დგას. აღადგინა შიომღვიმის მონასტრის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, სადაც იგი თავის მეუღლესთან ერთად არის დაკრძალული. მაგრამ ყველაზე დიდი დამსახურება თავისი ერის წინაშე ეს გახლავთ მის მიერ თბილისის სიონის ტაძრის გადარჩენა, როდესაც 1727 წელს, თბილისის აღების შემდეგ, თურქეთის სულთნის ბრძანებით ახალციხის ისააკ-ფაშას სიონის ტაძარი მეჩეთად უნდა გადაეკეთებინა. გივი ამილახვარმა ცალკე მუქარით და ცალკე უძვირფასესი საჩუქრებით მას ხელი ააღებინა განზრახვაზე.

ივანე (ნიკო) როგორც მას ახლობლები ეძახდნენ სოფელ ქვემო ჭალაში, მისი დიდი წინაპრის მიერ, უზადო გემოვნებით აშენებულ სასახლეში ცხოვრობდა. მოგვიანებით ცოლად შეირთო ალექსანდრე ქსნის ერისთავის ქალიშვილი ანეტა, რომელსაც მზითევში სხვა უძრავ-მოძრავ ქონებასთან ერთად ქ. გორის ცენტრში (დღეს საქართველოს ბანკის გორის ფილიალი) ევროპული სტილით აგებული სახლი, ბაღითურთ მოჰყვა. მათ 15 შვილი შეეძინათ, აქედან ერთ-ერთი – გივი სამხედრო პირი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე გახლდათ.

ივანე (ნიკო) ამილახვარი ოჯახის წევრებთან ერთად

ივანე (ნიკო) ამილახვარი სამხედრო პირი – ინფანტერიის გენერალ-ლეიტენანტი გახლდათ რუსეთ-თურქეთის ომის აქტიური და ძალზე მნიშვნელოვანი მონაწილე. ოჯახი ხან პეტერბურგში, ხანაც ჩრდილო-კავკასიაში ცხოვრობდა, მაგრამ ახალ წელს ძირითადად გორში ხვდებოდნენ. სასურველ სტუმრებს წინასწარ ატყობინებდნენ საფოსტო ბარათებით საახალწლო ვახშმის შესახებ. ამილახვრების ოჯახში მოხვედრაზე ძალიან ბევრი წარჩინებული პირი ოცნებობდა. ახალი წლის დადგომამდე მათ ოჯახში სტუმრობის მსურველი, მათ სახლში სადარბაზო შესასვლელში შინამოსამსახურეს დაუტოვებდა მისალოც და სავიზიტო ბარათს. ოჯახის უფროსის სურვილის შემთხვევაში, სურდა თუ არა მას ამა თუ იმ პირის მოპატიჟება, შინამოსამსახურეს მიჰქონდა მისალოცი ბარათი და მოსაწვევი, რომელიც ძალიან ორიგინალურად იყო გაფორმებული ქსოვილზე. საგანგებოდ ირთვებოდა ბაღი, საახალწლო გირლიანდებით და სათამაშოებით.

იწვევდნენ მუსიკოსებს, რომლებიც ახალი წლის საღამოს ბავშვებს ენაცვლებოდნენ. ოჯახის თითქმის ყველა წევრი უკრავდა კლასიკურ რეპერტუარს სხვადასხვა საკრავზე. სტუმრად ძირითადად გორში მცხოვრები ამილახვრები და ერისთავები დადიოდნენ. მათი ხშირი სტუმარი გახლდათ კარალეთელი თავადი, ქსნის ერისთავების შთამომავალი მიხეილი. რომელიც თავის დარბაისელ, ლამაზ ცოლთან – ელენე საგინაშვილთან ერთად გორში ხშირად მართავდა კლასიკური მუსიკის და პოეზიის საღამოებს. რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II, რომელიც გავლით იმყოფებოდა საქართველოში, გორში ივანე (ნიკო) ამილახვრის სახლში იყო გაჩერებული.

დიდი სანთლებით გაცისკროვნებული სასადილო ოთახში უზარმაზარი მაგიდა იშლებოდა, საგვარეულო ჭურჭელით და აქსესუარებით. სუფრა მუდამ ხალვათი, მაგრამ მრავალფეროვანი იყო. ფრანგი კულინარი, რომელიც სპეციალურად ჰყავდა მოწვეული ოჯახში, თავად აკონტროლებდა რომელი კერძი რის შემდეგ უნდა მოერთმიათ. რას არ იხილავდით სუფრასთან, ფრანგული და ქართული კერძების ნაზავს. კალმახს თეთრ ღვინოსა და ლიმონის წვენით შეზავებულს! შემწვარი ხბოს კანჭს ქლიავით და სხვადასხვა სანელებლებით, ფარშირებულ გოჭს, სადღესასწაულო ვარდისფერ სალათს, აღმოსავლურ ფლავსაც კი. მომსახურე პერსონალს დიდ ფაიფურის ან ვერცხლის ლანგრებზე ლამაზად გაფორმებული კერძები რიგ-რიგობით შემოჰქონდათ. ღვინო მხოლოდ ქართლის ისმებოდა, ძირითადად ატენური და გორული მწვანე. ლხინიც და ღვინის სმაც ძალზე ზომიერი იყო. თამადა რასაკვირველია აუცილებლად ოჯახის უფროსი უნდა ყოფილიყო. სულ რვა, ცხრა სადღეგრძელო შეისმებოდა, ისიც ძალიან მოკლედ. დესერტის მცირე მაგიდები სახლის სხვადასხვა ოთახში იყო გაშლილი, აღმოსავლური ტკბილეულით, ფრანგი კულინარის მიერ მომზადებული საუცხოო კარამელის და შოკოლადის ნამცხვრებით. ყველა მაგიდაზე ბროლის ან შუშის ჭურჭელში მოთავსებული იყო თავად დიასახლისის ანეტა ამილახვრის მიერ მომზადებული სხვადასხვა ფერის ბოსტნეულის უგემრიელესი მურაბები. ვახშმის დასრულების შემდეგ სტუმრების ნაწილი აუცილებლად საცეკვაო დარბაზისკენ გაემართებოდა და ევროპულ ცეკვებს ასრულებდა. ნაწილი კი ბანქოსა და ნარდის სათამაშო მაგიდას მიუსხდებოდა. ლხინის დასრულების შემდეგ ბავშვები ყველა სტუმარს ლამაზად შეკრულ საჩუქარს გადასცემდნენ, ძირითადად სამშვენისებს, სამკაულებს და უძვირფასეს წიგნებს.

ანეტა ერისთავი-ამილახვარი

ქალი და მამაკაცი - ვარდისფერი სათვალიდან H_2O-მდე

ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა ყველა დროში აქტუალური თემაა. ბიზნესსა და საქმიან სფეროში წარმატებულ არაერთ ქალბატონს მამაკაცთან ურთიერთობის სწორად წარმართვა უჭირს, რაც ხშირად ფსიქოლოგთან სტუმრობის მიზეზი ხდება. ბედნიერების ძიებაში ქალები პროფესიულ და კარიერულ კიბეზე ზემოთ და ზემოთ მიიწევენ, თუმცა, ამასობაში პირადი ცხოვრება ენგრევათ. არავინ იცის, რა არის ბედნიერება. ეს განცდა ყველა ადამიანისთვის ინდივიდუალურია, თუმცა კვლევებმა აჩვენა, რომ მამაკაცისგან განსხვავებით, ქალისთვის ბედნიერება, პირველ რიგში, პირად ცხოვრებას უკავშირდება. რატომ აქვთ წარმატებულ ქალებს ხშირად ოჯახური პრობლემები? რატომ ვერ ინარჩუნებს მათი უმეტესობა საყვარელ მამაკაცს? ამ და სხვა საინტერესო თემებზე ფსიქოლოგი მარინა გოქსაძე გვესაუბრება:

ერთი შეხედვით უცნაურია, როდესაც სამსახურსა და საზოგადოებრივ ასპარეზზე რეალიზებული ადამიანი პირად ცხოვრებაში პრობლემებს ვერ აგვარებს, თუმცა მსგავს ფაქტებს არცთუ იშვიათად ვაწყდებით. მიზეზი ბევრია. ერთ-ერთი და ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჩვენ, ქალებმა არ ვიცით ფსიქოლოგიური განსხვავება ქალსა და მამაკაცს შორის.

სიღრმისეულ არაცნობიერ დონეზე სქესთა შორის სხვაობა არ არსებობს, მაგრამ არსებობს სოციალური როლები, რომლებიც ათასწლეულების მანძილზე ჩამოყალიბდა და აზროვნების თავისებურებებიც განაპირობა. შეცდომაა, როდესაც მამაკაცებს ვაიძულებთ, ჩვენნაირად იაზროვნონ. რეალობა სხვაგვარია. კაცისთვის ცხოვრებაში წამყვანი ბრძოლა და გამარჯვებაა. ბრძოლა, რომელიც აუცილებლად უნდა მოიგოს. ეს ყველაფერი კი რაღაც დოზით ძალას უკავშირდება.

მამაკაცისგან ძლიერებას ყველა დროში ითხოვდნენ. ჯერ კიდევ პირველყოფილი ქვის ხანაში თავისი ქალისა (იმ დროს ცოლის „ინსტიტუტი" ჯერ არ არსებობდა) და შვილის გამოსაკვებად გამოქვაბულიდან გასვლა და ნადირის მოკვლა უწევდა. მასვე უნდა გაეჩაღებინა ცეცხლი და ძვირფასი ადამიანების უსაფრთხოებაც უზრუნველეყო. საუკუნეების მანძილზე მამაკაცში სწორედ ასეთი სოციალური როლი ჩამოყალიბდა. რატომ მამაკაცში და არა ქალში? იმიტომ, რომ ქალს დედობის მისია ჰქონდა. ბუნებამ და ფიზიოლოგიამ შედარებით პასიური როლი მიანიჭა – შვილებისთვის უნდა მოევლო, ცეცხლისთვის მიეხედა და კერა არ გაეციებინა. ამის გამო შორს ვერ მიდიოდა და იქვე, გამოქვაბულისა თუ ქოხის სიახლოვეს ტრიალებდა. ცხოვრების ასეთმა წესმა ქალს დაკვირვების უნარი გამოუმუშავა. თუ მამაკაცის სტრატეგია შედეგზე იყო ორიენტირებული, ქალის როლი პროცესზე დაკვირვებით განისაზღვრა.

მას შემდეგ ძალიან დიდი დრო გავიდა, თუმცა არაცნობიერ დონეზე არც XXI საუკუნეში შეცვლილა რამე. ევროპელი და ამერიკელი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ თანამედროვე მამაკაცის ქცევის 70%-ს ინსტინქტი და ემოცია განსაზღვრავს. პირველყოფილი ინსტინქტე-

> ორი ადამიანი ქმნის საერთო ველს, სადაც ისინი საკუთარ თავს არ კარგავენ.

ბი დღემდე მძლავრად აქვთ გამოხატული, რაც მათი სისუსტეც არის და სიძლიერეც. ფიზიკური მონაცემები მნიშვნელოვანია, მაგრამ საკმარისი ნამდვილად არ არის. ქალებს მოსწონთ ნავარჯიშები სხეული, მაგრამ ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, მამაკაცი იყოს წარმატებული, ფინანსურად უზრუნველყოფილი და ოჯახის რჩენა შეეძლოს. ბევრი ქალი კაცისგან ემოციურ „პარტნიორობასაც" მოითხოვს. წინასწარ ვაფრთხილებ ყველას – ეს ილუზიაა. ჩვენგან განსხვავებით, მამაკაცს ორივე როლში ყოფნა არ შეუძლია. წარმატებულ კაცს არც სურვილი აქვს და არც განწყობა, ქალის პრობლემები ემოციურად „გადახარშოს". ის მკაცრია და მომთხოვნი, როგორც სხვების, ასევე საკუთარი თავის მიმართ. მეორე ტიპი ურთიერთობაში უფრო კომფორტულია, რაღაც დოზით მოსმენაც შეუძლია და გრძნობების გამოხატვაც, მაგრამ ასეთი მამაკაცისგან საგმირო საქმეებს ნუ ელით.

ქალები და მამაკაცები ერთ პლანეტაზე ვცხოვრობთ, ერთ ენაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ძალიან ხშირად ერთმანეთის არ გვესმის. ჩვენ დეტალები გვაინტერესებს, მათ – გლობალური საკითხები. შეკითხვებს ვუსვამთ და ქალური ცნობისმოყვარეობის გამო ბოლომდე ვეძიებით, მათ კი ჰგონიათ, ვაკრიტიკებთ. ქალებს დათმობას, გაგებას, მოქნილობას გვასწავლიან, კაცის გონება კი ბრძოლისა და გამარჯვებისკენაა მიმართული. როგორ უნდა გავუგოთ ერთმანეთს? მოკლედ, ერთი დიდი გაუგებრობაა, თუმცა იმისათვის, რომ ერთმანეთის გვერდით ცხოვრება შევძლოთ, კომპრომისზე წასვლა ორივე მხარეს გვიწევს.

ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგი, ნეიროლინგვისტური პროგრამირების სფეროს ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, რობერტ დილტსი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში სამ ეტაპს გამოყოფს: პირველი – „ვარდისფერი სათვალის" პერიოდია, მწვავე შეყვარებულობის ხანა, რომელსაც ზეაწეული ემოციური ფონი ახლავს. ადამიანი დაფრინავს, ერთგვარ ტრანსშია, გვერდით მყოფში ყველაფერი ხიბლავს და მოსწონს. ამ დროს გამოიყოფა ჰორმონი, რომელიც ძლიერი ნარკოტიკული ნივთიერების, ამფეტამინის მოქმედებას ჰგავს. კვლევების თანახმად, ასეთმა მდგომარეობამ მაქსიმუმ ოთხნახევარ წლამდე შეიძლება გასტანოს, თუმცა რეალურად წელიწადნახევარს გრძელდება.

მომდევნო ფაზაში ვარდისფერი სათვალე ქრება და გვერდით მყოფს უკვე რაციონალური გონებით აფასებ, რასაც ხშირად იმედგაცრუება მოსდევს. ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადასულს ყველაფერი ცუდად გეჩვენება. შედეგად ჩნდება კონფლიქტი, რაც დაშორებითა და ოჯახის დანგრევით მთავრდება. ზოგიერთი წყვილი არ შორდება, მაგრამ ამ კონფლიქტში „იჭედება". მიზეზი მიჯაჭვულობაა, რომელიც ისეთივე დაავადებაა, როგორც ნარკომანია, ალკოჰოლიზმი და აზარტული თამაშები. ემოციური თანადამოკიდებულება, ანუ მიჯაჭვულობა უფრო სუსტი სქესისთვისაა დამახასიათებელი. იმას, რომ სცემენ და არ შორდება, ამცირებენ და ითმენს, ქალები სხვადასხვა მიზეზით ამართლებენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ძირები იგივე აქვს, რაც ნარკომანია-ალკოჰოლიზმს და სერიოზულ მკურნალობას (ფსიქოთერაპიას) საჭიროებს.

იშვიათი წყვილები აღწევენ მესამე ეტაპს, რომელსაც რობერტ დილტსი H_2O-ს უწოდებს: ორი ადამიანი ქმნის საერთო ველს, სადაც ისინი საკუთარ თავს არ კარგავენ. პარტნიორთა ურთიერთობის ამ ფორმას ქართულად მშვენიერი სახელი, „მეუღლეობა" ჰქვია. ეს არის ეტაპი, როდესაც ადამიანში დადებითსაც ხედავ და უარყოფითსაც, მაგრამ პოზიტიური მხარე ჭარბობს. შენს გვერდში მყოფს სიღრმისეულად აძლევ უფლებას იყოს ისეთი, როგორიც არის. როგორ ფიქრობთ, მსგავსი დამოკიდებულების ფონზე ეს ადამიანი წავა თქვენგან? რასაკვირველია, არა, რადგან იდეალურ პირობებს უქმნით და არც ურთიერთობებში თამაშობს. სამწუხაროდ, თანამედროვე ქალების უმეტესობა ამას ვერ აცნობიერებს. ისინი წარმატებით ართმევენ თავს საკუთარი ცხოვრების პროფესიულ და ფინანსურ მხარეებს, მამაკაცთან ურთიერთობა კი კვლავაც მათი მთავარი მარცხის სფეროდ რჩება.

„მე ვიცი, როგორ უნდა მიიღოს ჩემმა კომპანიამ ასობით ათასი მოგება, როგორ შევიძინო უძრავი ქონება, მაგრამ კვლავაც ვერ ვხვდები, როგორ დავამყარო კარგი ურთიერთობა მამაკაცთან" – მითხრა ერთმა წარმატებულმა ბიზნესლედიმ. ამ ქალბატონის, ისევე, როგორც მრავალი ჩვენგანისთვის, მამაკაცი „მიუწვდომელ ჰორიზონტად," ცხოვრების ამოუცნობ საიდუმლოდ რჩება. როგორც ჩანს, ფანჯრების ფართოდ გამოღება და სუფთა ჰაერის შემოშვება ყველას არ ძალუძს. გზა H_2O-მდე არც ისე მარტივია.



TBILISI FASHION WEEK® Guest Style

თბილისის მოდის კვირეული გაიმართა 27-31 ოქტომბერს „დიზაინ ცენტრში"

ტატუნა ნიკოლაიშვილი

ანუკი არეშიძე

თამუნა ღვაბერიძე
სილვია ბერგომი

ლადო ბოკუჩავა

თანუნა ინგოროყვა,
თეონა ელიზბარაშვილი

ნინო ელიავა

ქეთი ბოჭორიშვილი,
მარიკა უთარაშვილი

ანა ვეცკო

სარა ალიევა

მაკა კვიციანი

სტას კარავაევ
მარია კოლოსოვა

ივან როდიჩი

გიორგი ვაზოვსკი

ნათია ბუკია

ირაკლი ნადარეიშვილი
თეონა თავართქილაძე

ნინი ზარქუა
სალომე ღვინიაშვილი

ლენკა ციციშვილი

თაკო ჩხეიძე

ანანო დოლაბერიძე

ლევან მდინარაძე

სალი გოგიბერიძე

ლალო დოლიძე

ნატუკა ქარქაშაძე

სალომე ხელაშვილი

თბილისის მოდის კვირეულის სტუმრები

ლიკა კვარაცხელია

დათუნა სულიკაშვილი
დალი ჩიტალაძე

ნატაშა სტივენ

ნატალია ზახაროვა

AP STUDIO
Guram Kapanadze
Aka Prodiashvili
Ana Kostomarova

Sam Raan

Spa & Wellness Center

3 ნოემბერს გაიმართა სამრაან სპასა და ალდო კოპოლას ახალი ფილიალის გრანდიოზული გახსნა.

ანა კოშაძე თიკა ფაცაცია

მეჰრიბან მურადოვა ნონა მაჭავარიანი

პაულინ მბონდო

სულხან პაპაშვილი, ხატია მოისწრაფიშვილი, ზაზა შენგელია, პაატა ღაძაძე

მაკა თათეშვილი, დავით ზუბითაშვილი, თათია თათეშვილი

ეკა მამალაძე, ნინო დიასამიძე

ნინო ბაჩიაშვილი, თაკო ლალაზაშვილი, ნინი სტურუა

ავთანდილ ცქვიტინიძე , ხათუნა თოთლაძე

ნარგიზ ჰუსეინ, მეჰრიბან მურადოვა

ბასა ფოცხიშვილი

მარი დაშნიანი

ხათუნა ვაშაძე, ნუკა ცაციტაძე

ეკა ბახტაძე,ნონა მაჭავარიანი, ნინო თეზელაშვილი

ანუკი არეშიძე

ემილია ხალილოვა,გიორგი მოსიძე

რუსლან აბაშიძე, თაკო ჩხეიძე

ჯაბა სიხარულიძე

ჰოროსკოპი

ვერძი

იანვარი

იანვრის პლანეტების ასპექტები გაძლევთ ინტელექტისა და სურვილების განხორციელების ჰარმონიას. სავსე იქნებით იდეებით, გექნებათ უდიდესი სურვილი წამოიწყოთ სამეწარმეო საქმიანობა. გადაწყვეტილების მიღება მოხდება ძალიან სწრაფად. კარგი შედეგის მისაღწევად, ეცადეთ ჭკვიანურად დასახოთ და სწრაფად განახორციელოთ თქვენი გეგმები. თვის შუა რიცხვებში, თქვენი მხრიდან, გრძნობების და ფინანსების დახმარებით, ხალხის მანიპულაციის შანსები არსებობს, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს თქვენს რეპუტაციაზე.

კარგი დღეებია: 4, 15, 18, 28.

თებერვალი

თებერვლის პირველი ორი დეკადა ძალიან საინტერესო იქნება. თქვენ მოგიწევთ ზოგიერთი, სოციალურად მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა. თუკი არ მოახდენთ პირადი ურთიერთობების აფიშირებას 11, 19 და 22 თებერვალს, მაშინ პრობლემები არ შეგექმნებათ. თვის მეორე ნახევარში გაგიჩნდებათ შესაძლებლობა გაემგზავროთ უცხოეთში თქვენს მეორე ნახევართან ერთად და აუცილებლად გამოიყენეთ ეს შანსი. თვის მესამე დეკადა მოითხოვს თქვენგან ფოკუსირდეთ საქმეზე, რომელსაც თქვენს გადრა ვერავინ გადაჭრის.

კარგი დღეებია: 2, 4, 8, 15, 16, 26.

კურო

იანვარი

ეს არის დიდი აქტივობის პერიოდი სამსახურში. შესაძლებელია ხელფასის ზრდა და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. ყველა სურვილი შესაძლოა გახდეს რეალური. თქვენი მოთმინების უნარი და ნიჭი – დაელოდოთ შესაფერის მომენტს, იმისათვის, რომ მიიღოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, შექმნის მოქმედების სწორ წინაპირობას, რომელიც მიგიყვანთ წარმატებამდე. პირველი და მესამე დეკადის ბოლოს შეიძლება გაჩნდეს უთანხმოება ბიზნეს პარტნიორებთან და მეორე ნახევართან. მხოლოდ საკითხისადმი დიპლომატიური მიდგომა დაგეხმარებათ გამოხვიდეთ რთული სიტუაციებიდან.

კარგი დღეებია: 10, 14, 17, 27.

თებერვალი

თვის პირველ ნახევარში, იუპიტერის დადებითი ასპექტი გაძლევთ ხელსაყრელ პერიოდს განვითარდეთ ბიზნესსა თუ მეცნიერებაში, შეძლებთ მოახდინოთ დიდი ხნის წინ დაგეგმილი საქმეებისა და პროექტების რეალიზაცია. ასევე მარტივად შესაძლებელი იქნება კრედიტების აღება ან უცხოელი პარტნიორებისგან ფინანსების მიღება. 19-დან 22 თებერვლის ჩათვლით არ უნდა ენდოთ თქვენს კოლეგა ქალბატონებს, რაგდან მათ აქვთ ინტრიგების მოწყობის რეალური შანსები. თვის ბოლოს შეგეძლებათ დატკბეთ თქვენს მეორე ნახევართან და მეგობრებთან ურთიერთობით.

კარგი დღეები: 2, 3, 6, 10, 28.

ტყუპები

იანვარი

თვის დასაწყისში არაა სასურველი დიდი თანხების გასესხება. უცხოელ პარტნიორებთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა სასურველია 4, 15, 18 და 28 რიცხვებში. ამ პერიოდებში შეძლებთ სწრაფად და ეფექტურად მოლაპარაკებას, ოპერატიულად მიიღებთ ყველა საჭირო ინფორმაციას და ყველაფერში მარტივად გაერკვევით. ასევე ხელსაყრელი პერიოდია მივლინებებისათვის. სახლიდან შორს შეხვდებით საინტერესო ადამიანს, რომელთანაც შეძლებთ ააწყოთ რომანტიული ურთიერთობები.

კარგი დღეებია: 1, 5, 6, 14, 15, 18, 22, 23.

თებერვალი

ნებისმიერი ურთიერთობა თვის დასაწყისში ხელს შეუწყობს თქვენი ჰორიზონტის გაფართოებას. თებერვალში უფრო სერიოზულად და პასუხისმგებლობით მოეკიდებით სამუშაოს, მეგობრებს და თანამოაზრეებს და მაშინაც კი, თუ თქვენს შორის შეიქმნება გარკვეული პრობლემები და უთანხმოება, მათთან დისკუსიით შეძლებთ მარტივად გაუმკლავდეთ პრობლემებს. აქედან გამომდინარე, რაც არ უნდა მოხდეს, ეცადეთ არ ჩაიდოთ გულში წყენა, ბევრი კონტაქტი და გულწრფელი საუბარი ძალიან დაგეხმარებათ, გარდა თებერვალის 9, 14, 19, 22 და 25 რიცხვებისა.

კარგი დღეებია: 6, 8, 12, 26.

კირჩხიბი

იანვარი

თვის დასაწყისში და შუაში თქვენი მეორე ნახევრის საქციელი შეიძლება ითქვას, რომ ექსცენტრიული ხასიათის მატარებელი იქნება, ამიტომაც არ გაგიკვირდეთ, თუკი თქვენი პარტნიორი, რაიმე უჩვეულოს ჩადენს. მოეკიდეთ ამას იუმორით და გაგებით. მისი მოქმედებები განპირობებული იქნება, თქვენი სიმპატიისა და ინტერესის გასაღვივებლად. ამ თვეში შეგიძლიათ გქონდეთ სამსახურეობრივი ზრდის იმედი. 7 და 30 იანვარს არახელსაყრელი დღეებია ბიზნესის დასაწყებად.

კარგი დღეებია: 4, 10, 17, 23, 26.

თებერვალი

კირჩხიბებისთვის დამახასიათებელი იქნება იდეოლოგიური დავები და აზრთა სხვაობა. ძალიან აქტიურად დაიწყებთ საკუთარი იდეებისა და გეგმების პროპაგანდას მათ განსახორციელებლად. თებერვლის ბოლოს იგრძნობთ სულიერ სიმშვიდეს და კავშირს ახლობელ და საყვარელ ადამიანებთან. როგორც არასდროს, გაუგებთ ერთმანეთს. კარგი პერიოდია ოჯახური დასვენებებისათვის.

კარგი დღეებია: 4, 6, 7, 12, 15, 16, 28.

ლომი

იანვარი

ნუ გააღიზიანებთ თქვენს მეორე ნახევარს, განსაკუთრებით 3, 7, 13 და 30 რიცხვებში. მათთვის ეს საკმაოდ რთული პერიოდია ცხოვრებაში და მძიმე იქნება გაუმკლავდეს საკუთარ ხასიათსა და ემოციებს. ამიტომაც ეცადეთ, კრიზისულ სიტუაციებში თავშეკავებულად მოიქცეთ, არ მიაქციოთ ყურადღება მცირე პრობლემებს. თვის ბოლოს მამაკაც ლომს გაუჩნდება სურვილი ასიამოვნოს თავის პარტნიორს, მაგალითად, გაუკეთოს საჩუქარი.

კარგი დღეებია: 4, 12, 18, 26.

თებერვალი

თვის დასაწყისში არ არის აუცილებელი ფოკუსირება მოახდინოთ ძველ წყენებსა და უთანხმოებებზე. თქვენ შეგიძლიათ იპოვოთ ბევრი არასტანდარტული გზა პრობლემების გადასაწყვეტად. დაკავდით რაიმე ახლით, ეს დაგეხმარებათ. ამავე დროს, ეცადეთ არ დაარღვიოთ ძველი ხელშეკრულებები და ვალდებულებები. 2, 14 და 22 თებერვალს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. სუნთქვითი ვარჯიშები დაგეხმარებათ კრიტიკულ მომენტში. სამსახურში მოგიწევთ დაიცვათ თქვენი პოზიციები.

კარგი დღეებია: 3, 7, 12, 15, 21, 25.

ქალწული

იანვარი

როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს მოუწევთ დატვირთვის მინიმუმამდე შემცირება, განსაკუთრებით მათ, ვინც დაკავებულია სპორტით. განსაკუთრებით 7 და 30 იანვარს. თვის მეორე ნახევარში სასიყვარულო ურთიერთობები დადებით გავლენას მოახდენს თქვენს ჯანმრთელობასა და განწყობაზე. შეეცადეთ მიიღოთ მხოლოდ კარგი ემოციები თქვენი მეორე ნახევრისგან. თვის პირველი და მეორე დეკადა ხელსაყრელია

დაკავდეთ საყვარელი საქმიანობით.
კარგი დღეებია: 1, 5, 6, 14, 15, 18, 22, 23.

თებერვალი

აუცილებელია დაკავდეთ ჯანსაღი ცხოვრების სტილით. მოიცილეთ ცუდი ჩვევები, მიიღეთ მონაწილეობა პრევენციულ ღონისძიებებში, გაიარეთ კონსულტაციები ექიმებთან, იარეთ გამაჯანსაღებელ ცენტრებში, იკეთეთ სხეულის მოსადუნებელი და სახის მასაჟები – ეს შეიძლება პლასტიკური ქირურგიის ალტერნატივა გახდეს. მეორე დეკადაში შესაძლოა მნიშვნელოვნად გაგაოცოთ რომანტიულმა ურთიერთობებმა.
კარგი დღეებია: 6, 8, 12, 26.

სასწორი

იანვარი

ეს პერიოდი არ არის ხელსაყრელია უძრავი ქონების შესაძენად. გარიგებებისთვის საუკეთესო პერიოდია 14-დან 23 იანვარის ჩათვლით, მაგ პერიოდში ყველა კმაყოფილი დარჩება – გამყიდველიც და მყიდველიც. თვის ბოლოს კარგი იქნება, თუ ბავშვებთან ერთად სპორტით დაკავდებით. ეს გაამყარებს თქვენს ურთიერთობებს, მოგიტანთ მორალურ კმაყოფილებასა და კარგ განწყობას.
კარგი დღეებია: 10, 14, 17, 27.

თებერვალი

თვე გაივლის აქტიურად და იქნება შემოქმედებითად დატვირთული. თქვენს გარემოში შესაძლოა გაჩნდნენ ახალი ადამიანები და დაიწყოთ ახალი სასიყვარულო ურთიერთობები. თვის მეორე ნახევარი გაცილებით უფრო პროზაულად წარიმართება, მოგიწევთ უფრო მძიმე სამუშაო გრაფიკით ცხოვრება და პასუხისმგებლობის აღება ოჯახურ საკითხებზე, იზრუნეთ საკუთარ და ოჯახის წევრთა ჯანმრთელობაზე.
კარგი დღეებია: 2, 3, 6, 10, 28.

მორიელი

იანვარი

თქვენი გრძნობები თითქოს მიძინებულ მდგომარეობაში იქნება, შინაგანად რაღაც შეგიშლით ხელს მათ ბოლომდე გამოვლენაში, მთლიანად ჩაეფლობით საქმიანობაში. ეცადეთ, რომ გამოიჩინოთ უფრო მეტი სინაზე, სითბო და ნაკლები არაპროგნოზირებადი საქციელი თქვენი პარტნიორის მიმართ. განსაკუთრებით უფრთხილდეთ 13 რიცხვს. მხოლოდ 10-დან 12-ის და 14-დან 23 ჩათვლით შეძლებთ ურთიერთობის დალაგებას.
კარგი დღეებია: 6, 15, 17, 26, 28.

თებერვალი

თვის დასაწყისში საკმაოდ მკაფიოდ გაგრძნობინებენ, რომ თქვენი შეხედულებები ოჯახურ ცხოვრებაზე ყველასთვის მისაღები არ არის. სამსახურშიც შესაძლოა აღმოაჩინოთ წარსულში დაშვებული შეცდომები, რისი გამოსწორებაც ეხლა მოგიწევთ. თებერვლის შუა რიცხვებში ეცადეთ გაერთოთ, რათა განიმუხტოთ დაძაბულობისაგან. დაახლოებით 9, 10, 11, 14 და 22 თებერვალს უახლოესი ადამიანები წარმოგიდგენენ პრეტენზიათა ნუსხას, რაც საკმაოდ გაგაკვირვებთ და აღმოაჩენთ, რომ გმართებთ ბევრი ადამიანის. ყურადღებით მოეკიდებთ იმ ადამიანებს, ვისთანაც არ გინდათ ურთიერთობების გაწყვეტა. თვის ბოლოს შეძლებთ დასვენებასა და მოდუნებას.
კარგი დღეებია: 8, 12, 15, 16, 26.

მშვილდოსანი

იანვარი

არ მიიღოთ საბოლოო გადაწყვეტილებები, რაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან და სერიოზულ საკითხებთან, განსაკუთრებით 7 და 30 იანვარს. ნეგატიური ასპექტების გამო შეიძლება დაკარგოთ რეალობის შეგრძნება ამ პერიოდში. არ ენდოთ თქვენს ინტუიციას – ყველაზე კარგი იქნება, თუ დაეყრდნობით ლოგიკურ აზროვნებას. დადებითი ასპექტები საქმიან და პირად ურთიერთობებში იწყებენ მუშაობას 4, 6 და 14-დან 23 რიცხვებში.
კარგი დღეებია: 4, 5, 14, 18, 23, 26, 28.

თებერვალი

თქვენს ინიციატივებს დადებითად აღიქვამენ და აფასებენ თქვენი ახლობლები, კარგი იქნება, თუ გაამყარებთ ურთიერთობებს ადამიანებთან, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ თქვენთან ახლოს. 9-დან 11-ის ჩათვლით, აგრეთვე 14, და 19-დან 22 თებერვალის ჩათვით მატულობს შეცდომების ალბათობა. დაუფიქრებლად ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებებს. რაც შეეხება სიყვარულსა და პირად ცხოვრებას, ეს არის თვე, როდესაც თქვენ იქნებით სექსუალური და ემოციური ტალღის პიკზე. ყველაფერი კარგად განვითარდება, გარდა 11, 19 და 22 თებერვლისა.
კარგი დღეებია: 7, 12, 13, 18, 23, 24, 28.

თხის რქა

იანვარი

თვის პირველ ნახევარში მოსალოდნელია ოჯახური უთანხმოება ფინანსების გამო. შესაძლოა გადაწყვიტოთ გარკვეული თანხის გასესხება, რაც თქვენს მეორე ნახევარს არ მოეწონება და წინააღმდეგობაში მოვა მის გეგმებთან. ამიტომაც დაპირისპირებისა და კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად შეუთანხმეთ თქვენი გეგმები პარტნიორს. თვის მეორე ნახევარი ხელსაყრელია, როგორც დასვენების, ასევე საქმიანი მივლინებებისათვის.
კარგი დღეებია: 6, 12, 14, 17, 21, 27.

თებერვალი

თებერვალში, გელოდებათ პოზიტიური ფინანსური ცვლილებები. ასევე მოგეცემათ შანსები და ახალი შესაძლებლობები ფინანსების საშოვნელად. შემოსავალთან ერთად იზრდება ხარჯებიც. შესაძლოა ავტომობილის შეცვლის სურვილი გაგიჩნდეთ, რის გაკეთებასაც შეძლებთ თვის შუა რიცხვებში. თებერვლის ბოლოს თქვენი პირადი ურთიერთობები დალაგდება. მთავარია იყავით მაჟორულ განწყობაზე. მხოლოდ 19 და 22 თებერვალს არ აყვეთ ნეგატიურ ემოციებს.
კარგი დღეებია: 7, 12, 16, 21, 28.

მერწყული

იანვარი

თვის დასაწყისში და თვის ბოლოს შესაძლოა კონცენტრაციის დაქვეითება, ლოგიკური აზროვნების შესუსტება და ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება. მოთმინების უნარი მცირდება, რასაც მოყვება კონფლიქტური სიტუაციები და დაპირისპირებები. ეცადეთ გააკეთოთ კონცენტრირება თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანზე, არ დაახარჯოთ თქვენი ძალები წვრილმანებს და არ გადაუხვიოთ მიზნებს.
კარგი დღეებია: 5, 15, 22, 27.

თებერვალი

დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას შეძლებთ 20 თებერვლამდე. შეეცადეთ იმოქმედოთ არასტანდარტულად, რაც გაზრდის თქვენს პოპულარობას. ეცადეთ არ გაამჟღავნოთ გეგმები, რაც თქვენი წარმატების შანსებს გაზრდის. თვის მესამე დეკადაში ეცადეთ არ გარისკოთ იმით, რაც თქვენთვის ძვირფასია. იმის გამო, რომ ბევრი დროის გატარება მოგიწევთ სამსახურში, თქვენი პირადი ცხოვრებისთვის დრო აღარ დაგრჩებათ, რაც გამოიწვევს გაციებას და დისტანციას პარტნიორულ ურთიერთობაში.
კარგი დღეებია: 6, 12, 25, 28.

თევზები

იანვარი

თვე შესაძლოა საკმაოდ დამღლელი აღმოჩნდეს თქვენთვის. თუკი მოგიწევთ გამგზავრება უცხოეთში, დაიჯირეთ თადარიგი და თან იქონიეთ აუცილებელი მედიკამენტები. ვისაც ჭირდება წონაში დაკლება, კარგია თუ ამ პერიოდში დაიწყებს დიეტას, თუმცა აუცილებელია გაიაროთ ამ საკითხზე კონსულტაცია სპეციალისტთან. თვის მეორე ნახევარში ქრონიკული დაავადებები მოულოდნელად ალაგდება, რასაც არასტანდარტული მედიცინით მკურნალობა შეუწყობს ხელს.
კარგი დღეებია: 1, 10, 23, 26.

თებერვალი

თვის მესამე დეკადის დაწყებამდე კარგი პერიოდია საკუთარ თავში გასარკვევად. კარგია განმარტოვება და თვითანალიზის გაკეთება. ეს დაგეხმარებათ უკეთ გაერკვეთ რა გსურთ და რა მიმართულებით უნდა იმოძრაოთ. ასევე შეგიძლიათ გქონდეთ თქვენი მეგობრებისგან დახმარების იმედი. თვის მესამე დეკადამ ნაკლებად სავარაუდოა გაგახაროთ სწრაფი შედეგებით. ხოლო რაც შეეხება სასიყვარულო ურთიერთობებს, ამ პერიოდში ის მოგიტანთ ჰარმონიას და რომანტიულ განწყობას, გარდა 22 თებერვალისა.
კარგი დღეებია: 3, 4, 6, 21, 28.

Georgia's First Lady

Today, we are going to introduce you to Maka Chichua. Maka Chichua, not as the wife of the president, nor as the first lady or the second half of the commander in chief. We will show her just as she is – as one of the most noticeable girls in Tbilisi years ago already, who was known to many people and much loved by them; who was listened to when she sang or acted in front of a camera, and whose works were watched when she painted and drew… She still lives the same life: she draws, sings, and is shot in movies, but she is now simultaneously playing a new and very important role – she is going to be Georgia's first lady for several years.

One year ago, Maka Chichua's life changed totally. But this is what one can see from the outside, as for Maka herself, "first lady" is just a title used at official meetings, and everything is the same – her relations and living conditions have not changed. The only thing that has changed is the number of security cameras fixed in the yard. **"Position, power, and material wealth do not determine the inner world of a person. Today I am the first lady and my husband is the president, but we live the same way as a year ago. Nothing has changed and especially for me, because my status was determined by Giorgi's position, I have not done anything for it, I have not achieved it myself**." – says Maka Chichua.

But our story does not end here, as now we are now approaching the subject of what did change. This is the responsibility and also a kind of accountability toward society that are the obligations of every first lady. Defending the rights of children, women, animals, and protecting the environment are all important priorities to Maka Chichua, although she sees herself mostly in the field of ecology.

And she herself lives in suitable surroundings, in Dusheti, in a house with a green garden, part of which serves as a farm. She farms the land herself, takes care of a small vegetable garden, and harvests the crops.

A dog and a cat inhabit the house in Dusheti together with the number one couple of the country. It is a home for some wild guineafowls as well. There is a small vegetable garden on the slope, on which 80 young trees of pomegranate, a present from the president of Azerbaijan, grow in the garden. The walnut harvest was good this year, and at tea you'll be served jam made by the president himself.

This is the only house that the family of president Giorgi Margvelashvili owns. It is simpler than you expect: roughly plastered walls, wooden floor, a table made by the president himself and chairs painted by the first lady. At first glance, it is a typical village house. As Maka Chichua says, it is an ideal house for her.

She can talk much about animals and environment protection. These are the issues she likes thinking and talking about, and she is happy when she can assist on the matter, but she does not forget that people are the main subject of concern. She is actively involved in a campaign against violence toward women and family violence in general**. " I would like our women to remember that they are strong, I think that women who live in a violent surrounding are able to protect themselves, to save their health and lives and live normal lives. But we can not leave such women alone with their problems, society and the state must stand by them."**

She is pregnant. A baby boy will be born in February. She wants to call him Giorgi, as she had wanted before she even married her husband Giorgi. The child born in the number one family of the country will live an ordinary life like the other children, and privileges and special conditions will not be familiar to him – just like for his parents.

Self Portrait
With New Year Toys

When Kote Sulaberidze's personal exhibition "Under the Sky of Tbilisi" opened in GALA Gallery on the 28th of December 2010, only a few days shy of New Years' Eve, the curator had ordered him a small graphic series of New Year tree toys. It seems that this New Year tradition has now firmly established itself, since from then on, Kote Sulaberidze's magic New Year creations have been very popular each year with both collectors and amateurs of the artist's works.

When we talk about the creations and exhibitions of Kote Sulaberidze, we must particularly mention one of his paintings, "With Colorblind Eyes", the painting that Baia Gallery displayed at the exhibition "At the Crossroads" in 2013 at Sotheby's auction house.

Well-known art critic Viktor Misiano, curator of Manifesta 1, Venice and Istanbul Biennales, selected several of Kote Sulaberidze's works for a wide scale post-Soviet art exhibition. The latter took place in several cities simultaneously – in Prato, Athens, Tallinn and Helsinki's exhibition halls. Misiano displayed Kote Sulaberidze's large painting "My Caucasus", "A Letter from Moscow", as well as his video art "A war game" at the Kiasma Museum of Contemporary Art in Helsinki and at the Luigi Pecci Center for Contemporary Art in Prato.

Nino Chilashvili is a watercolor painter. She thinks that watercolor has great power, and that paper and brush can fill people with emotions and bring them back into childhood. She paints a lot and her watercolors relate her everyday feelings. But it was always difficult for her to put them in frames and exhibit them. Then she once saw an old Japanese handmade and hand-bound book with transparent paintings on rice paper, and she understood that all her works should have been bound together as a book too, because separating them seemed impossible to her, as all her works are a whole and one whole life to her.

We would like to talk to you about Kote Sulaberidze's popular works "Khinkali" and "Churchkhela" (traditional Georgian dishes), two graphical works performed with geometrical shapes. The paintings have left exhibition spaces long ago and can now be seen in everyday life – on the menus of art-cafes, on social networks... They have become a kind of mainstream image for tourists in Georgia. Much more can be said about this couple of artists, but New Year is approaching, so let us go and prepare for it.

Jazz-Rock & the Motherland

Musician Stanley Clarke, who had a great influence on the formation of jazz-rock, a living legend for is unbelievable skill in both acoustic and electronic bass, recipient of all important musical awards, including several Grammy awards, is on a world tour accompanying 18-year-old Georgian pianist Beqa Gochiashvili, and trying to share his knowledge and experience with him. The knowledge that Miles Davis, Horace Silver, Art Blakey, Stan Getz and other famous musicians have shared with him at the beginning of his career.

"The best diplomat for Georgian people" – This is how Chick Corea described 18-year-old Beqa Gochiashvili, who is a member of your group now. How did your cooperation start and what did he attract you with?

I agree with Chick Corea, Beqa really is the best ambassador of his country. What I like in him most of all, is his love for his homeland. I like when people have great love for their families and their country. This is one of the reasons why Beqa plays so good. Performing music is not based exclusively on technical skills; it is the passion toward something that makes you play well. It is very pleasant that I can see it in Beqa despite his young age.

Beqa Gochiashvili: "Two years ago, in March, 2012, I was told by Lenny White that Stanley was going to perform at the BLUE NOTE, but had not yet decided who would be the pianist. I did not know Stanley in person at that time. He had heard about me from Lenny White and Chick Corea. Stanley was afraid that a 16-year-old pianist would be too young to perform solos for a week at the BLUE NOTE. But Lenny knew my abilities better and finally persuaded Stanley to take me as a pianist at concerts. The BLUE NOTE, one week, two shows a day, Stanley, Lenny and me, that is how we met and started…"

What is the most important thing that you have learned from your mentors and what would you share with the younger generation?

I have learned so much from my mentors, especially from Stan Getz and Art Blakey… The best group leader I have ever had was Horace Silver… Beqa is a wonderful musician for his age, but he is still very young, and I would like to share everything I have learned from my mentors with him – and when he is 30-35, he will share his knowledge with the younger generation too.

Beqa Gochiashveli: "Stanley teaches me that I must not resemble anyone. He always tells me that individualism is the most important thing. I would like to be like Stanley with regard to that… I have not found myself in music yet, there is still a long journey ahead of me, but I am not afraid at all."

Sam Raan
Spa & Wellness Center
300 Aragveli Str, 24 Tbilisi-Georgia
Tel (+995 32) 2157715 / Fax (+995 32) 2158815 / Mobile (+995) 577228013
www.samraan.com

DeSheli

ჭეშმარიტ ბუნებრივ

0179 თბილისი | კოსტავას ქ.37/39 | "გრატო პასაჟი" | www.desheli.ge | - desheli.ge | Tel: +995 32 2 430 030